ვეფხისტყაოსანი



შ ი ნ ა ა რ ს ი

პ ო ე ზ ი ა:

ხარიტონ ვარდოშვილი—სათხოვარი სულთან

იასამანი—წერილი

დ. მეჩონგურე—სევდის წუთი

ობოლი მუშა { 1. ორი სარკე
2. ფიქრი შორეულზე

ვ. რუხაძე { 1. რისხვა
2. * * *

გ. ქუჩიშვილი—თბილისის ქუჩებში

ბ ე ლ ე ტ რ ი ს ტ ი კ ა:

შიო არაგვისპირელი—გაბზარული ვული

ს. გამსახურდია—ექზოტიური ნოველები

არჩილ რუხაძე—* * *

დ რ ა მ ა:

ტრიფონ რამიშვილი—ფრთა მოტეხილი ყორანი

ავტორები მოთავსებულია ანბანზე

8(05)
ω-733

ცისარტყელა

ყოველ-თვიური ჟურნალი

პოეზია ☆☆☆☆
ბელეტრისტიკა
დრამა ☆☆☆☆
კრიტიკა ☆☆☆
ბიბლიოგრაფია



№ 11
ოქტომბერი
1920

ᲗᲛᲔᲖᲘᲡ

ხარიტონ ვარდოშვილი

სათხოვარი სულთან

სულო: გადაგრევს ეს მღელვარება
ყოფნა უფერო და შემხუთველი;
შენ გაგიყოლა მზის ელვარებამ
მაგრამ ვერ ჰპოე ნავთსაყუდელი.

დამშვიდდი კარგი, გემუდარები
ტირილით თავი ნუ მოიკალი.
დახშული არის ბედის კარები
და სავლელ გზებზე ღმუის გრიგალი.

შენ არ გიყვარდა შური და კვეხნა,
თუმცა ბევრი გყავს დასაგმობელი.
ავდრიან ღამეს მოხველი ქვეყნად
და უღიმილოდ შეგხვდა სოფელი.

წარსულში გახსოვს ბევრი ალერსი
მაგრამ არა ხარ ჩემში შენ ხშირად.
გიყვარს სიმაღლე უმწვერვალესი
პოეზიისთვის თავ-გასაწირად.

გზებზე დაგიხვდა ბევრი ზამთარი
და ჯოჯოხეთის შავი სანთელი.
სახრჩობელები შენთვის მზად არი
და გელოდება კორიანტელი.

შუაღამეში შედიხარ მარტო
ღამის ტირილი გესმის ნანებათ.
შენც ატირდები და ჩემზე დარდობ
ჩემთვის სიკვდილი არ გენანება.

ელვიან ცეცხლის ხარ მადევარი
გიყვარს ვულკანის დიდი ანთება.
გაშინებს მეხი და სატევარი
შორიდან როცა მოგელანდება.

ჯავრი და სევდა შენ უნებური
უხილავ გზებზე დაგდევენ მხლებლად.
და ვარსკვლავები გახუნებული
შემოგხედავენ დასაშინებლად.

ანგელოზები აღარ გფარავენ
წმინდა ჯვრებით და შავი დანებით.
შენ ღამეები მოგიპარავენ
და გაწამებენ კუდიანები.

გიყვარდა ღმერთი, შენი მიზანი
და აღარ იცი რაღა ხარ ეხლა.
შენ თებერვალი გვიან იცანი
და ისევ გელის გრიგალთან შეხლა.

ცხოვრება რუხი და საძაგელი
ის აღარ არის რაც იყო წინად.
და შავი მთები, მეხით ნაბელი
მოსჩანან გზებზე ცოდვის გვირგვინად.

სულო: დიდის ხნით ნუ წახვალ სხვაგან
გაქცეულ ფირალს ნუ ედარები.
მე ვიღუპები სიცივისაგან
დაბრუნდი ჩემთან გემუდარები.

იასამანი

წერილი

წარმოვიდგინე: მკრთალი ლამპარი.
სანთლით მოთლილი უცხო თითები.
არვისთვის სანდო, არვის სადარი,
რაზმი ზვიადი, დასარიდები.
ვთქვი: არა ერთხელ მძიმედ დამწვარი,
ვიდრე ჩავქრები, კვლავ ავინთები.

ერთხელაც არის გიპოვის თვალი,
მუდამ დაღლილი შენი ხსენებით.
დაგხატავს აზრი, სიამით მთვრალი—
რიდობით, კრძალვით და შესვენებით.
უკანასკნელათ ჩაჰქრება ალი
გარდაუვალი ჩემივე ნებით.

დ. მეჩოტნგზურე

სევდის წუთი

როიალი ქვითინებდა,
და თითები ცეკვაობდენ.
წარსულისა ყრმობის ამბავს
ნაღვლიანად მომითხრობდენ...
სულ სიყვარულს დავეძებდი,—
მარად მდევდა შური-მტრობა.
აწ ჭალარას არა რა სურს,
დამიჩლუნგდა აზრი-გრძნობა...
მე წარსულში ვიხედები,
აწმყომ გული დამისერა...
განაჩენი ჩემის ყოფნის,
მუხთალ ბედმა დამიწერა...
იქვითინე, როიალო,
ოცნებაში დამამკვიდრე,
სინამდვილეს განმაშორე,
ჩამოაძრე შავი რიდე...
როგორ მისწყდა ეგ შენი ხმა,
როგორ ნელა აქვითინდი!
აქ არა ვარ—იქ, სადღაც შორს
აზრ-გონებით გადავფრინდი.
მაშ დასრულდა?!. ამაოა...
რაც რომ არის—ჩემთვის კვდება.
რალათ მინდა მე აქ ყოფნა,
ყოველივე თუ გაჰქრება?...
დაჰკა, დაჰკა მაგ კლავიშებს,
გადალახე ყოფნა კრული.
იქვითინე და ქვითინით
დამიმშვიდე გულის წყლული...

ოგოლი მუშა

ორი სარკე

1

ყრმობა, ოცნების ლამაზ ფერებით
წითელ რიჟრაჟზე შეყვარებული,
ნაზი ალერსით და მოფერებით
მზის მოლოდინში ამღერებული.
დროთა ტრიალის ცვალებადობა.
რწმენა, იმედი და ბორკილები.
ღამის წყვდიადში ფიქრის განდობა,
და ველურ მტერთა ბასრი კბილები.
გიჟურად ბრძოლის ცეცხლის დანთება,
და გოლგოთაზე სულის ქვითინი.
წამების ჯვარიც აღიმართება,
გაისმის ირგვლივ გველთა სისინი.
მაინც ოცნება უხილავ მხარეს
ისე სიამით გადაექსოვა,
რომ ძველი ყოფნის დროთა სამარეს
სამარადისოთ გამოეთხოვა.
და ყრმობის დილა ლამაზ ფერებით
პირველ სარკეში ლანდათ მჩინარე
ისე მიღიმის ტკბილ მოფერებით,
ვით ნაზი ბავში პირ-მომკინარე.

2

ნანგრევთა შორის მოხეტიალეს
გულს რისხვის ალი მოეკიდება:
ნეტავი რისთვის დაიგვიანეს,
ბნელ წარსულს ჩრდილი რომ ეფინება?!
ძველი დიდება ქარიშხლის ფრთებზე
დაიმსხვრა, როგორც შავი ყორანი.
გოლიათებმა ფოლადის მხრებზე
აათამაშეს ყოფნის ბორანი.
არის ძიება უფსკრულთა შორის
წმინდა მიზნისკენ მიმავალ გზების,
შორეულ სხივთა ფრქვევა ამბორის,
წინსვლა მებრძოლთა რიცხვმრავალ წყების.
ქაოსის სახე განუჭვრეტელი
და ალთა გზნება წითელ ენებით.
დრო, მიწის შვილთა ბედის მჭედელი
მიაფრენს ცის რაშს ელვის ჭენებით...
და ამ სარკეში უცხო ზმანებას
სურს სიყრმის აჩრდილს ნაზათ ემთხვიოს,
რადგან შორს, ცისკენ მიექანება,
რომ იქ ვარსკვლავებს გადაეხვიოს.

ფიქრი შოკრეულზე

დროთა მდუმარე სასაფლაოზე
გავშალე ყოფნის დიდი რვეული;
ის ღაღადებდა მხოლოდ ქაოსზე
ცივი სიკვდილის ჩონჩხად ქცეული.

და მელანდება შეუცნობელი
საშინელება და ყინულეთი.
ნეტავ უბედო წუთისოფელი
სტკბებოდა რომელ საუკუნეთი?!

სად იყო, სადა ბედნიერება—
ლამაზ ოცნების ნაზი ლამპარი!
თუ მარტოოდენ ქვეყნიერება
სასაფლაოა გაუმაძღარი?!

გაივლის ჟამი. და იმედები
ახალი ყოფნის ნეტარებაზე
ამღერდებიან, როგორც გედები
შავად დანისლულ უკვდავებაზე.

მოვა ოცნების ნაზი მშვენება
და აღსრულდება ნატვრა სულისა.
მაგრამ არ იცის დრომ დასვენება:
რასაც აშენებს, ანგრევს სულ ისა.

ელვარებს ცეცხლი ფერად ალებით
და სცვივა ფერფლი სამარის კარზე.
და უკუნეთი შავი თვალებით
ოცნებობს მარად, ოცნებობს ქარზე.

და ვფიქრობ: როცა დრო შორეული
სულს წმინდა დროშათ ააფრიალებს,—
ნუ თუ ბნელეთი პირ-ახეული
მასაც დამარხავს, გაატიალებს?!

იქნება ისევ სწრაფვა ჟამისა,
და ყოფნა იგი კვლავ განახლდება...
მაშინ ბედშავი ძე-ადამისა
რომელ მხარეში გადასახლდება?

და მელანდება შეუცნობელი
ცივი ქაოსი და ყინულეთი,
ამაოება დაუნდობელი,
ბნელი უბსკრული და უკუნეთი!

ვარლამ რუხაძე

რისხვა

ა

ჩამოვიარე მთელი ქალაქი,
არ დამიგდია არც ერთი ქუჩა.
ვნახე მსაჯული, ვნახე დალაქი,
დიდი ბატონი და ქარხნის მუშა:
ყველას სახეზე ამოვიკითხე
სხვა და სხვა ფიქრი, სხვა და სხვა გრძნობა
და გულ-ნატკენი თავს დავეკითხე:
ვინ დაამყაროს ერთობა, ძმობა?

ბ

ახ, ქრისტეე, ქრისტეე! წამების ჯვარი
იმისთვის ზიდე, მისთვის ატარე,
იმისთვის შესვი ნაღველი, ძმარი,
ეკლის გვირგვინს ქვეშ თავი დაჰხარე,
რომ სათუთ გრძნობას: სიყვარულს, ძმობას,
საუკუნეთა დახშოდა კარი,
ტახტი დაედგა სიწმიდის გმობას,
ცას აწვდენოდა გლოვა და ზარი?!

გ

მომეცით ცეცხლი! მომეცით ცეცხლი!
მინდა დავბუგო ქვეყანა ძველი,
გავაცამტვერო ოქრო და ვერცხლი,
რომ არ ხარობდეს იუდა გველი!
ეგება მაშინ მაინც აშენდეს
ახალი ალთქმის წმიდა ტაძარი,
ჭეშმარიტების დროშა დაშვენდეს
და აციმციმდეს ძმობის ლამპარი!

* * *

დღიურ ვარამით დატვირთული, ქანცმილეული,
როგორც ეული, მივეგდები სალამოს ჟამზე,
წამიდან წამზე მსურს მეწვიოს ძილი გრძნეული,
სული ეული რომ ჩამოხსნას წამების ჯვარზე.
შემოვა ღამე ფანჯარაში საშიშ თვალებით,
გიშრის რკალებით შემოზღუდავს ჩემს ვიწრო სამყოფს,
დილამდე დაჰყოფს, სულს დაჰფარავს სევდის ალებით.
და ვალალებით გავათენებ: ვგავ ომში ნამყოფს.
მაგრამ როდესაც აფეთქდება დილის ცისკარი,
როგორც სიზმარი, ღამე წყნარათ გაიპარება,
დაიფარება ფერადებით ბრძოლის ფიცარი
და მზე—ცისთვალი—გაიღიმებს, ვით ნეტარება,—
მეც ახალ ძალით, ახალ რწმენით შევიმოსები,
ფიქრთა მგოსნები მეწვევიან ვარდისფერ ფრთებით,
მავსებენ ხმებით, ვკრიმანჭულობ როგორც ფრთოსნები,
და ჭრელ ოცნების სარეცელზე ვისვენებ შევებით.

გ. ქუჩიშვილი

თბილისის ქუჩებში

ვიხეტიალებ, ვიდრე მოქანცულს
სადმე ქუჩაში მიმეძინება,
დამეხიზმრება ჩემი ბავშობა,
ია და ვარდი დამეფინება,
დამავიწყდება შავი ცხოვრება
შვების ცრემლები დამედინება,
მოვა დარაჯი და ბურანში მყოფს
შემომესმება დედის გინება,
ვამეღვიძება, შევხედავ ცერად
და მწარედ, მწარედ გამეცინება.

—

გავყვები ქუჩებს, თბილისის ქუჩებს,
ამიტირდება ბალღივით გული;
და ამ წანწალში, ამ ხეტიალში,
ვგრძნობ, ალმომხდება ნათრევი სული.

ბელეტრისტიკა

შიო არაგვისპირელი

გაგზარული გული[1]

(ქართული ანეკდოტი)

5

ასე ცხოვრობდნენ მახარე და ირემა ტყეში, ვიდრე თოვლმა არ დაჰფარა არემარე. მახარე ისე დავაჟკაცდა და ისე ბრგე გახდა, რომ მამისაც კი ველარ იცნობდა ეხლა რო ენახა. მუდმივმა მოძრაობამ სრულებით შეუცვალა ელფერი.

საქონელი სულ ბარში ჩალაგდა და ზამთრის საძოვრებს მოედო. ცხვარი და ცხენის ჯოგი ყველაზე ადრე წავიდა მთის საძოვრებიდან. ეხლა ჯერი მიდგა მეღორეებზე. მარტო ეხლა ამორეკეს მეღორეებმა ტყეში ღორი. საზამთროდ აუარებელი საზრდო იყო ღორებისთვის ტყეში. მუხამ და წიფელმა ბევრი მისცა ღორს. მიდამო მთლად მოფენილი იყო რკოთი და წიფლის თესლით.

ღორების ჭყვიტინი შემოესმათ თუ არა, ირემამ უთხრა მახარეს:

— ცოტა ხანს კიდევ დავრჩეთ აქ და შემდეგ კი ქვევით — ბარში ჩავიდეთ. დარწმუნებული ვარ აღარავინ მეძებს და თამამად შეგვიძლიან მწყემსებთან ერთად ბინა დავდოთ...

— მეჯოგეებთან!..

— ვისთანაც უნდა იყოს! უპასუხა ირემამ და ცეცხლი გააჩაღა მწვადებისთვის.

რაც ეთერი დაკარგა და ტყეში გამოიჭრა, მახარეს გონებას სულ ერთი და იგივე კითხვა არ ჰშორდებოდა: „რითი დაიმსახურა სეფეწულმა ეთერის სიყვარული?!.“ იმას ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, ვითომც სეფეწული უნდა ყოფილიყოს ყოველის მხრივ შემკული, თორემ ეთერი იმას არ აირჩევდაო... „მაშ მარტო ხელოსნობა, რისამე შემოქმედება არა კმარა სიყვარულის დამსახურებისთვის,— ფიქრობდა მახარე და ირემას ხშირად, ვითომც ისე, სეფეწულის ღირსებებზე ჰკითხავდა... მაგრამ მახარე დარწმუნდა ირემას პასუხებიდგან, რომ არც ისე შემკო-

[1] იხილე „ცისარტყელა“ № 10.

ბილი იყო სეფეწული, როგორც ეგონა. თითონ ცდილობდა დაწინაურებულიყო, სრული ყოფილიყოს. სხეულს ავარჯიშებდა მედგრად. აკი კიდევაც სრულებით შეიცვალა. ეს მახარე გამხდარ შეგირდ მახარეს აღარა ჰგვანდა. ნადირობაში უკვე ირემას გაუსწრო. შვილდ-ისრების კეთებაში ხომ ირემასთან შედარებით საჩქაროდ ოსტატის ადგილი დაიჭირა, რამაც ირემა სულ გააკვირვა და დაუმონავა. შვილდს უფრო ძლიერი ლარი აუბა, ლარი გაუკეთა ისრისთვის, თითონ ისარი კი უფრო მძიმე ხისა გამოსჭრა. შედეგი ამისა ჩქარა ნახეს. პირველ ნადირობისასვე ამნაირ შვილდ-ისრით სწორედ იმ ადგილას მოარტყა ისარი, რა ადგილასაც ნადირს დაუმიზნა, და ნადირი იქვე ჩააჩოქა ისე ღრმად ეტაკა ისარი...

ირემას პასუხებმა დაარწმუნეს მახარე, რომ სეფეწული საუკეთესო ცხენოსანი იყო. ამისთვის მახარემ მოინდომა მეჯოგეებთან ყოფნა, რომ ცხენოსნობა ეცადნა...

ირემამ უკვე მწვადები დააშიშხინა, რომ ამ დროს თავს წამოადგათ შვილდ-ისრით შეიარაღებული შუახნის ვაჟკაცი, რომელსაც უკან დასაპალნებული ცხენით ახალგაზრდა ვაჟი მოსდევდა.

ირემა მწვადებით და მახარე კიდევ თავის ფიქრებით ისე იყვნენ გართულები, რომ ვერ შენიშნეს, თუ როგორ მოვიდნენ, ვიდრე შუახნის კაცმა არ წამოიძახა:

— აქა მშვიდობა!..

— მშვიდობა მოგცეს ღმერთმა! უნებურად უპასუხა ორივემ და განცვიფრებით შეჰხედა ახლად მოსულებს.

წამს გონს ვერ ჰოვიდნენ ირემა და მახარე. მაგრამ ირემამ იცნო მეღორეთ უხუცესი, მაშინვე მიჰხვდა და მიიპატიჟა...

— კეთილი იყოს შენი მოსვლა! ჰჩანს ბარშიაც თოვლი მოსულა, ტყისკენ ამოგიწევია და აქ ბინის დადებას აპირობ...

— განა შენც ეგევე არ ჩაგიდენია!..

— არა, ბიძიავ, ჩვენ ეხლა ამ რამდენიმე დღის შემდეგ აქიდან დავიძვრებით!.. უპასუხა ირემამ და შემდეგ მახარეს შეეკითხა:

— არა, უგულოვ?!.

მახარე მიჰხვდა, რისთვისაც შეეკითხა ირემა და მოკლედ ეპასუხა:

— ჰო, ჩემო ლომავ!...

ახლად მოსულისთვის ეხლა გამოირკვა, რომ ესენი ბინის შემცილებლები არ იყვნენ, და ამისთვის სახე გაუბრწყინდა. თორემ ამან ამ ზაფხულსვე დაათვალიერა ტყე, ნახა, რო მუხას და წიფელს მშვენივრად ასხია, დაბინავებაც კი ამ პანტის ქვეშ ირჩია მაშინვე, რადგანაც შუა ტყეშია... წყალიც ახლო აქვს ამ პანტას. ღორი საითაც უნდა გაერეკათ, საღამოთი ამ პანტაზე ახლო ადგილს ვერ იპოვიდი...

როცა ამ პანტის ქვეშ ვიღაცეები დაინახა, განრისხდა, ჩხუბის ატეხასაც უპირებდა, თუმცა ჯერ მიესალმა.

ეხლა კი გამხიარულდა, რაკი მოცილეები არ აღმოჩნდნენ და ბიჭს განკარგულება მისცა:

— მოჰხადე ე ცხენს და არაყი ამოიღე!..

მერე გადაჰხედა ნახევრად გატყავებულ ჩასუქებულ ხარ ირემს და წამოიძახა:

— ოი, ოი, რაზე ჰბუგავთ ამ მშვენიერ ირმის ხორცს ცეცხლში!.. მეღორისთვის ხორცის ყველა წვეთი ოქროთ ღირს... თქვენ კი აგრე უდივრად მშვენიერი ნაჭრები წამოგიცვავთ ჩხირებზედ და მთლად სიპოხიერე ცეცხლში იბუგება... უთუოდ მეფისა ან რომელიმე ბატონის მოსამსახურენი ხართ?!.

ირემა აწითლდა.

მახარემ მაშინვე უპასუხა:

— მეფე თვალით არ გვინახავს... ბატონებთან კიდევ ჩვენ არავითარი საქმე არა გვაქს... ჩვენ მონადირეები ვართ და ერთი ადგილიდგან მეორეზე გადავდივართ.

— თქვენც იმათ გზას დასდგომიხართ!.. დაზოგვა არ გცოდნიათ... ეხლავე გასწავლით.

სთქვა, თუ არა მაშინვე ტყავი გაიხადა, ამოიძრო ქამარში გარჭობილი ქარქაშიდგან სათული და ირმის ხორცს კაფვა დაუწყო... მშვენიერი მსუქანი სხეული ირმისა ითლებოდა ულმობლად ძვლებიანად იმის ხელით პატარა ნაჭრებად.

— ახლავე მოვლენ ჩვენებიც. ქვაბებს მოიტანენ და... ბუტბუტებდა ამ მუშაობის დროს მეღორეთ უხუცესი...

მართლაც არ ვასულა დიდი დრო, რომ თავს წამოადგა რამდენიმე დასაპალნებულ ვირებით კარგა დატლუებული ახალგაზდა იგეთივე ტყავებით, როგორიც ეცო უხუცესს...

ამათ რა ნახეს ირმის ხორცის ნაჭრები, თვალები აენთოთ სიამოვნებით. „აქა მშვიდობა“ თქვეს, თუ არა, მაშინვე ვირები გაანთავისუფლეს, შესაფერი ქვაბი საჩქაროდ მოამზადეს. ისეთივე სიჩქარით ლოდები მოიტანეს, შორი შორს დააწყეს, შუაში ცეცხლი გააჩაღეს უგანკარგულებლივ და დაჭრილი ხორცი, ჯერკი ცალკე გადაწყობილი ქონი ჩაყარეს... მერე შემოდგეს ქვაბი ცეცხლზედ და ხუფი დააფარეს. ირემა და მახარე თვალს ადევნებდნენ...

— ჩქარა იქნება!.. წამოიძახა მეღორეთ-უხუცესმა... და შემდეგ ერთს, რომელიც ყველაზედ უმცროსი იყო, უთხრა:

— აბა, დედისავ, აგერ ი ბუნწკნარის იქით ამ ზაფხულს ხშირი შვინდი ვნახე. გაიქე და, თუ ტოტებზე შერჩენია რამ, მოიტანე.

მაშინვე იქით გაქანდა დედისა და სულ მოკლე დროს მთელი კონა შვინდის ტოტებისა მოიტანა. ტოტები გაკუნწლული იყო შემხმარ შვინდით, ჯერ თოვლს თავისი გავლენა ვერ მოეხდინა და ისევ ზედ იყო...

— უჰ, რამოდენა შერჩენია!.. წამოიძახა მეღორეთ-უხუცესმა. ნახევარი საკმარისია ქვაბში ჩაჭყაროთ. დანარჩენი კი შეინახეთ... მერე, დედისავ, ძალიან ცუდი ჩაიდინე, რო ასე ჩამოგილეწია შვინდი... ხვალ ყველანი წავიდეთ, ტოტებს კი ნუ მოვამტვრევთ, შვინდი მოვკრიფოთ და შევინახოთ. ამ ზამთარს გამოგვადგება...

6

მახარესთვის ცხოვრების ეს მხარე სულ უცნობი იყო და ამისთვის ის გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა მეღორეთ-უხუცესის მოქმედებას და სიტყვებს. ირემაც აგრევე იქცეოდა... იმას ხელში შეჰრჩა თავისი შემწვარი მწვადები და არც კი მოჰგონებია, რომ ამას შეჭმა უნდა...

— აბა, ეხლა ე შენი გამოფიტული, ლომავ, მწვადები მოგვაწოდე და, სანამ მომზადდება სადილი, შევნაყრდეთ...

ირემამ ეხლა ღა მოისაზრა, რომ თხილის ტოტებზე წამოცმული მწვადები ხელთ ეჭირა...

— აბა, დედისავ, არაყი მოაწოდე ჩვენ სტუმრებს...

მახარე სწრაფად აენთო და წამოიძახა:

— სტუმრები თქვენა ხართ და არა ჩვენ!..

— მართალს ამბობ, უგულოვ, თუმცა გული ჩქარა მოგვიდა, მაგრამ გავიწყდება: ჩვენ ამ ზამთარს აქ ვრჩებით, თქვენ კი ორი-სამი დღის შემდეგ წასვლას აპირობთ... ტკბილი ღიმილით უთხრა მეღორეთ-უხუცესმა და იმავე კილოთი განაგრძო: „მაშ დღეის შემდეგ თქვენზე ზრუნვა, როგორც მასპინძლებს მოგვანდეთ. ჩვენ დიდი მადლობლები ვართ, რო მაგრე დაგვიხვდით. მაშ ამის სამადლობელოდ თქვენზე დღეის შემდეგ ვიზრუნებთ...

ასეთმა კილომ მახარე სულ დაარბილა, და მოხუშული სახე გაეშალა.

ამ დროს დედისამ გოზაური*) მოუტანა და პატარა ყანწი გადასცა.

— დედისავ, დედისავ, პური და მარილიც მოაყოლე... რად გინდა ყველაფერი გითხრა?! ხომ ჰხედავ პური არა ჩანს, მაშ რალა თქმა გინდა?!

---

*) გოზაური დიდი თიხის ჭურჭელია, რომელსაც ტუჩი აქვს წამოშვერილი, რომ ცოტ-ცოტად შეიძლებოდეს დასხმა.

დარცხვენილი დედისა სწრაფად გატრიალდა...

— ეს ღმერთმა ადღეგრძელოს სტუმარ-მასპინძელი... დაიწყო მელორეთ-უხუცესმა, როცა დედისამ პური მოიტანა, მახარემ კიდევ მწვადების ნაჭრები ზედ წააძრო, თხილის ტოტები გაანთავისუფლა... უძლიეროს მკლავი და ქონება ულეველი, საქონელი უმრავლოს და მინდორ-ტყეში კიდევ სანადირო ნადირი...

— აგრე იყოს!.. უპასუხეს ერთხმად: ყანწი მძიმედ გამოცალა მელორეთ-უხუცესმა, სახე სიამოვნებით დაეჭმახა და ძლივას წამოსთქვა.

— ძალიან ცხარეა!.. ჭაჭის*) წინწანაქარია. განგებ ტყეში წამოსაღებათ მქონდა დაგლესილი, ვინახავდი, და, მართლაც, კარგად შენახულა!.. ულვაშები ჩამოიწმინდა, პურის ლუკმა პირში ჩაიდო და ერთი ნაჭერიც მწვადისა მიაყოლა...

ჭამით ყანწი ისევ შეავსო და მახარეს გაუწოდა.

— აბა უგულოვ, იგემე და მითხარ როგორ მოგეწონება!..

მახარემ ჩამოართვა ყანწი.

— რაღაც აკლია ამ მწვადს!.. წამოიძახა მელორეთ-უხუცესმა, როცა დაღეჭილი ლუკმა ჩაყლაპა და ჩაიგემოვა...

— დედისავ... დედისავ!.. ჩქარა მარილიც მოგვაწოდე, თორემ...

— ჩვენ სულ უმარილოს ვჭამთ!.. წამოიძახა ირემამ...

— ღვთის მადლით, ლომავ, ჩვენ მონადირეები არა ვართ!.. მარილის გემო კარგად ვიცით...

ირემას უნდოდა ეთქვა; „ჩვენც კარგად ვიცითო“, მაგრამ ჩაიცოხნა და ამის მაგივრად წამოსთქვა:

— ჰო, მონადირეს არ შეუძლიან სამყოფი სანოვაგე თან ატაროს...

— შენ რაღას დაჰცქერი მა არაყს, არ დაჰლევ?!. მიჰმართა მელორეთ-უხუცესმა მახარეს...

მახარე მართლაც დაჰცქეროდა ყანწს და თან უსმენდა ლაპარაკს.

როცა მელორეთ-უხუცესმა მოაგონა, რომ არაყს დალევა უნდა, მაშინვე ხელი ყანწით პირთან მიიტანა და ოდნავ წაილუღლუღა:

— ასრულდეს შენი ნათქვამი!.. და საჩქაროდ გამოცალა ყანწი...

მახარეს სუნთქვა შეუდგა, თვალები დაეჭყიტა და გამოცლილი ყანწით ხელი ჩამოუვარდა... წამს ასე დარჩა, ვიდრე ჩაფორიაქება სითხისა ძირამდის ჩავიდოდა, მერე კი მოეშვა. სიამე იგრძნო... თვალები გაუბრწყინდა...

მელორეთ-უხუცესი თვალს არ აშორებდა, როცა მახარე არაყს ჰსვამდა, და იმის შემდეგ ხელი ჩამოუვარდა. ილიმებოდა...

---

*) ჭაჭას აღმოსავლეთ საქართველოში ყურძნის დაწურვის შემდეგ ნარჩენებს არყისთვის ამზადებენ...

როცა მახარეს თვალები გაუბრწყინდა, შეეკითხა:

— როგორია?!

— ცეცხლწყალა!..

— ცეცხლწყალა!.. ოჰ, რა ნამდვილი სიტყვა სთქვი?!. ნამდვილია. რატომ ეგ სახელი თავში არ მომივიდა?!. გაიძახოდა მელორეთ-უხუცესი და ალერსით შეჰსცქეროდა მახარეს... მახარემ ყანწი გადააწოდა და ისეც მადა აშლილს წინწანაქრის შემდეგ უფრო მადა აეშალა... დედისამაც ამ დროს მარილი წინ დაუყარა, და მახარე დამშეულ მგელსავით წაესია. მართლაც ეხლა იგრძნო მარილის მნიშვნელობა...

ირემამაც გადაჰკრა ყანწი. იმანაც იგრძნო სიმწვავე და სინელე და წარმოსთქვა:

— მართლა ცეცხლწყალა ყოფილაო!..

— უგულოვ, დარჩი ჩვენთან... ჩემ შემდეგ უთუოდ შენ გაჰხდები მელორეთ-უხუცესი!.. შეეკედრა მახარეს, მაგრამ მახარემ ყური მოიყრუა. ის გამალებით ანადგურებდა პურს და მწვადს...

ამ დროს ღორი მოედო ჭყვიტინ-ღრუტუნით არე-მარეს. ყველა მელორე თავს წამოადგა და სადილს მოელოდა. რასაკვირველია ერთი ფარა ძაღლისაც.

ქვაბი უკვე ჩუხჩუხებდა, მელორეთ-უხუცესი კი გაიძახოდა სიამით: „ცეცხლწყალა, ცეცხლწყალა“!..

7

სამი დღის შემდეგ მახარემ და ირემამ წასვლა დააპირეს. მახარეს მელორეებთან სავარჯიშო არა ჰქონდა რა. მართალია სასიამოვნო იყო მელორეთ-უხუცესის დარიგება და სადილის მომზადება. კინალამ თითები ჩაიკვნიტა, ისე გემრიელი გამოდგა მელორეთ-უხუცესისგან მომზადებული სადილი... მეტს აქ ვერას ისწავლიდა...

წასვლის წინა ღამეს მელორეთ-უხუცესმა მშვენიერი ბურვაკი დაუკლა ვახშმად და თავისებურად მოუმზადა. რასაკვირველია, ვახშმის წინ იმან „ცეცხლწყალა“ ჩამოარიგა, მერე ღვინოც და კარგად მოქეიფდნენ. უკვე კარგა შელამდა, რომ მელორეთ-უხუცესი, მახარე და ირემა ისევ ისხდნენ და ბაასობდნენ... დიდიხანია მწყემსები ვახშმის შემდეგ ტყეში შევიდნენ ღორების საყარაულოდ. ირგვლივ ტყეში ღორები იყო მოთავსებული მუუდრო ადგილებში. იმათი ძილის ღრუტუნი და დრო გამოშვებით გამოურკვეველი ძილის ჭყვიტინიც მოისმოდა. ამას ყოველთვის მოსდევდა რომელიმე ძაღლის ზანტი წამოყეფვა, და აგრეთვე ზანტი მძინარე მწყემსის წამოძახილი: „ჰაი, ჰაი“!..

მთვარე ქათქათებს... ირგვლივ დათოვლილი ტყე მთვარის ჩრდილ-შუქზე დიდებულ საოცნებო ბჭყვრიალა თვალ-მარგალიტებით შემკულ სასახლეებს მოამგზავსებდა... პანტის გარშემო კიდევ პატარა ველი, თუმცა აჭიჭყნილი იყო მწყემსების ფეხით, მაინც კარგა ადგილი იყო დარჩენილი უმანკოდ, და, აი, ეს ადგილი მთვარის შუქზედ მოელვარებდა, ბრჭყვინავდა, თითქოს გულუხვს მძლავრის ხელით დაუზოგველად გადუსროლია ძვირფასი თვლები და აუალმასებია ეს მიდამო. ხარბი თვალი აქ სამუდამოდ დაღლილობისგან სამუდამოდ დაიხუჭებოდა, რადგანაც ვერ აჭკრეფდა ყველა საუნჯეს...

მახარე გაიტაცა ამ სანახაობამ... დიდხანს აცქერდებოდა ტყის ერთ ადგილს. ყურს არ უგდებს მობაასებს...

რას ჰხედავს?!.

ეთერი გადმოწოლილა კოშკის სარკმელში თავის თლილი მკლავებით და იწვევს თავისკენ...

მახარე სწრაფად წამოდგა და იქით გაეშურა...

— აბა ჩქარა დავიჭიროთ, თორემ დაიღუპება!.. წამოიძახა მეღორეთ-უხუცესმა და მახარეს დაედევნა.

ირემა მაშინვე წამოხტა და სწრაფად მახარეს წინ გადაუდგა...

მახარე შესდგა...

— საით მიემგზავრები, ძმობილო? შეეკითხა ირემა.

მახარემ ირემას მხარს გადაჰხედა... იქ ეთერი აღარ იყო... გამოერკვია და უპასუხა:

— ისე, გავლა მინდოდა!..

ამ დროს მეღორეთ-უხუცესიც მოვიდა და უკან დაბრუნდნენ...

— ამას წინად გთხოვე, უგულოვ, ჩვენთან დარჩი მეთქი, მაგრამ ეხლა გეუბნები: წადი... წადი... ამ წამსვე წადი, თორემ ცუდი შედეგი მოგელის. იმ წყეულს, შეგატყე, ტყის დედოფალს თვალში ამოუღიხარ და უეჭველად დაგღუპავს... უთხრა მეღორეთ-უხუცესმა, როდესაც ისევ ცეცხლს გარს შემოუსხდნენ...

— რა ტყის დედოფალი, რას ამბობ?!. გავლა მინდოდა მხოლოდ, სხვა არაფერი!.. უპასუხა მახარემ და ნუგუზლები წაჩინჩხვრა.

წამს აკვამლდა ცეცხლი, სულ ჩქარა კვამლს მოელვარე აწოწიებული ენა აეელვა და სწრაფად ეს ენა ნუგუზლებს მოელვარე გვირგვინად დაემხო... კვამლი სულ მიიმალა, და იქ მჯდომთ სახე ალაპლაპა...

— ტყის დედოფლისკენ კი არ წავალ, თუ წავედ როდისმე, ჩემი დედოფლისკენ წავალ!.. ვიცნობ ჩემ დედოფალს!..

მკვეთრი სახე მეღორეთ-უხუცესისა ცეცხლის ალზე უფრო გამოიმკვეთრდა... თვალები გაუელვდა, და ოდნავი მწუხარების ღიმი ბაგეზე გაუკრთა...

ჩქარა იმას სახე დაუმშვიდდა და წყნარის ხმით დაიწყო...

— გული შემომივარდა, ჩემო უგულოვ, შემიყვარდი, როგორც ჩემი შვილი და ამისთვის გაფრთხილებ... ტყის დედოფალთან ხუმრობა არ ვარგა... გულში ჩაგიკრავს თუ არა, მაშინვე გაგყინავს და წუთი-სოფელს გამოგასალმებს... ძალიან მაცდურია. ნამეტნავად მეღორეებს ემტერება... უთუოდ მეღორე ჰგონიხარ, რო შენ ამოგირჩია... იმან იცის საუკეთესო ბიჭის ამორჩევა. თითქმის ყოველ-წლივ ხდება ხოლმე ეს, მაგრამ ჩვენ ფრთხილად ვართ: რაწამს ამოირჩევს რომელიმე მწყემსს, მაშინვე იმას ტყეს ვაშორებთ და ამით სიცოცხლეს ვუნახავთ. სხვანაირად ვერ გადურჩება იმ წყეულს...

— ყური დამიგდეთ, ეხლა გიამბობთ ტყის დედოფლის ოინებს... განაგრძო მეღორეთ-უხუცესმა... თუ რა დაჰმართა ბიძაჩემს...

მახარემ და ირემამ ყურები ცქვიტეს და მთლად სმენად გარდიქცნენ...

8

„... ჩემ ბალღობისას ბიძაჩემი იყო მეღორედ... მეც ღორებში დავდევდი ხოლმე ბიძაჩემს... აი, სწორეთ ამ დროს ღორები ტყეში ამოვლალეთ...

„ღვთისნიერი იყო მეღორეთ-უხუცესი. ბიძაჩემი ახალგაზდა, წამოსადეგი ვაჟკაცი, გამბედავი და უშიშარი... შე რო დაგინახე თავაღებით მიმავალი, მაშინვე ბიძაჩემი მომაგონდა... მიჰმართა მახარეს ამ სიტყვებით და განაგრძო: „მაშინვე გვიამბო ტყის დედოფლის ოინები და გაგვაფრთხილა... ნამეტნავად ბიძაჩემი ამ სიტყვებით: მგელავ,—მგელა ერქვა ბიძაჩემს—ამ ზამთარს შენ უნდა უფრთხილდეო... შენზე უკეთესი ჩვენ შორის არავინ არის და ი წყეული, თუ ბრმა არ არის, შენ ამოგირჩევს... ამისთვის ნურც ნახულს აჰყვები და ნურც გაგონილსაო... თუ რამ დაინახო, ან ძახილი გაიგონო, მაშინვე გამაღვიძეო...

„ბიძაჩემს ხელზე შეჩვეული ჰყვანდა ერთი კერატი*). გვერდიდგან არ ჰშორდებოდა ბიძაჩემს. საცა ბიძაჩემი დაწვებოდა დასაძინებლად, ისაც იქ ფეხთით უწვებოდა და ტკბილ განცხრომას ეძლეოდა... უნდა ვსთქვა, კერატი ძაან გალაღებული იყო და დათვსაც კი შეებრძოლებოდა... მერე ისეთი ტანი ჰქონდა, რო კვებულა ზაქს მოგაგონდებათ... იმ ღამესვე თურმე მოეჩვენა ბიძაჩემს ტყის დედოფალი...

*) კერატი—მამალი ღორია სანაშენოდ გაშვებული.

„... ყველას ჩაეძინა—ასე დაიწყო მეორე დღეს ბიძაჩემმა, როცა გონს მოვიდა მთლად ნაკაწრი და ნათრევი—მე კი რაღაც არ მეძინებოდა... გული რაღასაც მიჩქროლავდა და რაღაც არ მემორჩილებოდა... დიდხანს ვიბორგე და უეცრივ ვიღამაც დამიძახა: „მგელავო!..“ ისეთი ნაზი იყო ეს ხმა, რო სულ გულ-ღვიძლამდის ჩამივიდა... თვალის დახამხამებაზე წამოვჯექ და აქეთ-იქით მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ ვერავინ ვნახე... ცოტა ხანს ასე ვიჯექი. მინდოდა მივწოლილიყავ, მაგრამ რაღაც ფეხზე მაყენებდა... თითქოს რაღაც ჩაუბამთ ჩემ სხეულში და წამოყენებას ვიღაცა ცდილობსო... მთვარე ამოსულიყო და ყველაფერი მოსჩანდა... აქნობამდის შორი არე-მარეს ვათვალიერებდი... ეხლა კი წინ დავიხედე და სწორედ ჩემ ფერხთით ჩემ კერატს შევასწარ თვალი, რომელსაც გულიანად ეძინა... ამ დროს ჩემ და უნებურად წამოვდექი და რამდენიმე ნაბიჯი წინ წავსდგი... და რას ვხედავ?!. ერთ წიფლის ქვეშ სდგას მზით-უნახავი ქალი სულ ვერცხლის ქსოვილით შემოსილი და დედოფლურად შემკული თვალ-მარგალიტით... მიცქერის და მიცინის... თან ხელს, ბროლის ხელს მიქნევს და თავისკენ მიწვევს. მეც გავეშურე იმისკენ. მივდივარ გამალებული იმისკენ, ისიც იმავე მომხიბლავი ღიმილით და ბროლის ხელის ქნევით თან და თან საითკენღაც მიდის... მიდის... მიდის და მეც თან მივდევ... აგერ გადაეშო რაღაც ხევში და იმის აჩრდილი გზის მაჩვენებლად ხევის პირას ამემართა... მივირბინე საჩქაროდ... აჩრდილი გაჰქრა. იმის ადგილას მე დავდექ და გადავიხედე... ღმერთო, რა სანახავი იყო!.. თავბრუ დამესხა. პატარა ხევის პირას ბროლის სასახლე. სარკმლები სულ ღია იყო. ერთ სარკმელთან ის დავინახე... მოესწრო კიდევაც გახდა და თავის სარეცელში ჩაწოლა... მერე რა სარეცელში!.. სულ ენთებოდა და იქიდგან ბროლის მკლავებს მიწვდიდა და თავისკენ მიწვევდა ჩასახუტებლად... წამს შევდექი. თავში უეცრივ გამიელვა აზრმა: „ოჰ, რა ნეტარებას განვიცდი იმის მკერდზე!..“ და მაშინვე ფეხი ავიღე გადასაფრენად, რათა ჩქარა ჩავხუტებულიყავ ნეტარებას, რომ ამ დროს ლაჯებშუა რაღაც გაინძრა და ამგლიჯა დედამიწას... უკან გამაქანა, მოტრიალდა, ხევისკენ ზურგი მაქნევინა და გაეშო...

„ჯერ გონს ვერ მოვედი, თუ რა დამემართა... დავიხედე წინ და ჩემი კერატი ვიცანი... არ მეგონა, თუ კერატი ამედევნებოდა... ამისთვის შევშინდი... თმა კალხზე ამიდგა... ეშმაკი ჩემ კერატად მომეჩვენა მეთქი. მოვდუნდი, მოვილეშე და კერატიდგან გადმოვვარდი... მაშინვე ისაც შესდგა და თავით მომექცა. მეშინოდა იმისკენ მიხედვა. ვგრძნობდი, ის იქ იდგა... ამ დროს დავინახე ჩემ პირ-და-პირ ხევის პირას, იმავე ადგილას, საიდგანაც ხევში ჩაეშო, ის... ეხლა უკვე პერანგის ამარა... ღმერთო, რა ლამაზი იყო?!. იმისი სხეული, ბროლის სხეული, თავის უსწორ-მასწორობით ისხივებოდა პერანგიდგან... ბნედა მომგვარა... წამოვხ-

ტი მაშინვე, თითქოს ახლად დავიბადეო და არც რამ შიში მიგვრძნიაო!.. დამავიწყდა ეშმაკი ჩემი კერატის სახით და გავქანდი დედოფლისკენ... მაგრამ სწრაფად კერატი წინ გადამეღობა და ისე ძლიერად მკრა გვერდი, რო იქვე გადვიჩეხე... თვალი მაინც არ მომიშორებია ჩემი დედოფლისთვის... ის ისევ იქ იდგა და უკვე ნაღვლიანის ღიმილით მაინც თავისკენ მიწვევდა... კერატი კი წინ მედგა ეხლა გაალმასებულის ეშვებით. გამიკვირდა კიდევაც, რო ეშვები არ მოიხმარა და მარტო გკერდი მოიხმარა... აღარ მეშინოდა კერატის... ისევ წამოვდექი და დავაპირე წინ სვლა დედოფლისკენ, მაგრამ კერატმა ისე შემომაკვესა თვალები და ეშვები ისე გააკაპუნა, რომ ფეხის გადადგმა ვეღარ შევძელი... უეცრივ მოვიფიქრე, ზურგი მეჩვენებინა კერატისთვის... ასეც მოვიქეცი, ვუბრუნე ზურგი და სწრაფად გავიქეცი... ვგრძნობდი, დედოფალი იქვე მელოდა... კერატისა კი აღარა მესმოდა რა... კარგა ხანს მივრბოდი და როცა ბუწკნარს წავაწყდი, მაშინ შევდექ და ვიბრუნე პირი... ჩემი დედოფალი მომმახლოვებოდა იმავე სახით... სწრაფად ხელები იმისკენ გავიწოდე და მინდოდა გავქანებულიყავ, რომ ამ დროს კერატმა წაიღრუტუნა და... გაწვდილი ხელები ჩამომცვივდა... თვალთ დამიბნელდა... კერატი წინ იყო აალმასებული... პირ უკუღმა ნელ-ნელა წაველ... თვალს დედოფალს არ ვაშორებდი, რომელიც უფრო ნაღვლიანად მიწვევდა თავისკენ... ზურგი ბუწკნარს მივაბჯინე... მე მაინც უკან ვიხევდი... ზურგით ბუწკნარს მივარღვევდი... ვგრძნობდი საშინელ კაწრვას მაყვლისგან, მაგრამ მაინც უკან ვიხევდი, რომ კერატისგან მიმემალა თავი...

„კერატის სუნთქვაც აღარ ისმოდა... შევდექი...

„დედოფალს ადგილი ეცვალა. ჩემ დასანახავად სხვა ადგილი ამოერჩია... ის თავისკენ მიწვევდა... ჩაება ჩემი სხეულისთვის ძაფები და ისე მიზიდავდა... არ შემეძლო არ წავსულიყავი... ჩემი სხეული იმისკენ მიისწრაფებოდა...

„მეც მაშინვე ისევ იმისკენ წამოველი... ბუწკნარიდან გამოვყავ თავი თუ არა, მაშინვე კერატმა ისე გამიკაპუნა ეშვები, რომ უკანვე წავძვერი... აქეთ ვეცი იქით ვეცი, მაგრამ ვერას გავხდი... თურმე გაუვალ ბუწკნარში შევმძვრალიყავ... ერთად-ერთი გზა ისევ უკანვე გამოსასვლელი იყო...

„მეც ასე მოვიქეცი, მაგრამ მცველად ამ გზისა ისევ კერატი იყო... ისევ შოელვარე ეშვებით...

„ხელთ არა მქონდა რა, რომ შევბრძოლებოდი კერატს...

— არ ჰგვანებია უგულოს, თორემ... უნებურად წამოიძახა ირემამ.

— როგორ?.. შეეკითხა მელორეთ-უხუცესი.

— ისე რომ...

მაგრამ ამ დროს მახარემ ირემას ცერად შეჰხედა და ეს საკმარისი იყო, რომ ირემა გაჩუმებულიყო და აღარ განეგრძო...

— ლომამ ძალიან უდრო-უდროს იცის შეკითხვა... განაგრძე... განაგრძე უხუცესო!.. შეეხუმრა მახარე მეღორეთ-უხუცესს, რაკი იმან ირემას გაჩუმებაზე ორივეს რაღაც უცნაურად გადაჰხედა...

მეღორეთ-უხუცესი მაინც იმავე სახით ხან ერთს შეჰხედავდა, და ხან მეორეს, ამბის გაგრძელებას მაინც არ აპირობდა...

— მოუთმენლად მოველი შენი ამბის ბოლოს, უხუცესო... მიჰმართა ცოტა სიჩუმის შემდეგ მახარემ... შენ კი, ლომავ, კრინტი აღარ დასძრა, თორემ...

— ჰო!., თითქოს გამოერკვიაო მეღორეთ-უხუცესი ამ მიმართვაზე... ჰო... რას ვამბობდი?!.

— ბიძაშენს ხელთ არა ჰქონდა რა!..

— ჰო!.. ბიძაჩემმა სთქვა: „ხელთ არა მქონდა რაო, რომ კერატს შევბრძოლებოდიო... ჩემი სული და გული დედოფალთან იყო, რომელიც ისე მომხიბლავად მიწვევდა თავისკენაო... მაგრამ მიახლოვებას კი ვერ ვახერხებდი, რადგანაც შუაში გაალმასებული ეშვები გვერჭოო...

„... რიჟრაჟამდის ასე ვიყავით... რიჟრაჟისას კი დედოფალი მიმემალა... მაშინვე იმ ადგილისკენ გავქანდი, სადაც ის იდგა, რადგანაც კერატი ეხლა მუხების ქვეშ რკოს დაეძებდა და ღრუტუნებდა... შუაში ეშვებს აღარ გვიალმასებდა... მაგრამ ველარ ვიპოვე დედოფალი... ხევსაც გადავხედე, მაგრამ იქ სასახლე არ იყო... თოვლის ნამქერი იყო მიყრილი, სადაც დედოფლის სასახლე იდგა... გამოვტრიალდი გულჩაწყვეტილი და... ჩემი კერატი ღრუტუნით მეალერსება... შემეზიზღა... ფეხი ვკარი... წაიჭყვიტინა, მაგრამ ისევ ალერსით შემომღრუტუნაო“...

— იმავე დღეს ბიძაჩემი ცხონებულმა მეღორეთ-უხუცესმა შინ გაისტუმრა... კერატიც უკან აედევნა, მაგრამ ბიძაჩემმა ისე ჰკრა კომბალი გვერდში, რომ კინაღამ გვერდის ძვლები არ შეუმტვრია, და შეევედრა მეღორეთ-უხუცესს: „გეთაყვა, ე კერატი არ გამამაყოლოვო!“ კერატი დაიკარგა...

— რამდენი კაი ვაჟკაცი გაუფუჭებია იმ წყეულს!.. ზამთარი არ გავა, რომ რომელიმე ბიჭი არ გამოგვაკლდეს. თუ ნადირმა არ გააფუჭა, ბინის ახლო სადმე ნამქერში გაყინულს ვპოულობთ ხოლმე... ეს სულ ტყის დედოფლის ოინებია... კიდევ კარგი ბიძაჩემი გადარჩა... მაგრამ რა გადარჩენა იყო?!. იმას შემდეგ აღარ ვაუცინია... საქალეთი შესძულდა... ვერ უხსენებდნენ ცოლის შერთვას... ან კი ვინ მოეწონებოდა ი დედოფლის შემდეგ. ვზიდან ისე გადავარდა, რომ უცოლშვილოდ ამოიფხვრა...

— ღმერთმა მტერსაც კი აშოროს იმისი ხილვა... განაგრძო ცოტა სიჩუმის შემდეგ... ხილვა კიდევ არაფერი. თუ გაიტყუა და თავისთან ჩაიგორა, მაშინ ცოცხალი აღარავინ გადურჩება... თურმე ისე ჩაიხუტებს, ისე დაეწაფება ვაჟკაცს, რომ ნეტარებით რაც კი რამ სიმხურვალე აქვს სულ დედოფალს აძლევს და თითონ კი იყინება...

— არა სჯობდა ბიძაშენს ეგ დაჰმართნოდა, ვიდრე ისე გაუცინრად ამოფხვრა?!. წამოიძახა მახარემ და დააშტერდა მეღორეთ-უხუცესს...

მეღორეთ-უხუცესი ჩაფიქრდა... კარგახანს ასე ჩაფიქრებული იყო და შემდეგ წამოიძახა:

— იქნება!.. მაგრამ შენ და შენი ამხანაგი დილაზე ადრე წახვალთ. ბიჭს გამოგაყოლებთ და პირდაპირ მეჯოგეებთან მიგიყვანთ ისეთი გზით, რომ არც ერთი სოფელი არ შეგხვდებათ...

— მაგას ძალიან დაგვავალებ, წამოიძახა ირემამ...

— თქვენც დამავალებთ, თუ ამაღამ უჩემოდ აქედან ფეხს არ მოიცვლით... ნამეტნავად შენ, უგულოვ!..

— ეხლა, ჩემო მეღორეთ-უხუცესო, ძალითაც რო გამაგდო, ფეხს არ გავდგამ, თორემ ჩემი ნებით ხომ არსად წავალ!.. ღიმილით უთხრა მახარემ და მაშინვე თავის სარეცელზე მიწვა, რომელიც ქოხში ტყავებისგან შესდგებოდა და ზევიდგანაც ტყავები წაიხურა... ასევე მოიქცნენ დანარჩენებიც...

ირემას და მახარეს ჩქარა ჩაეძინათ; ხოლო მეღორეთ-უხუცესი ჯერ კიდევ ფხიზლობდა და ყურს უგდებდა მახარეს სუნთქვას...

როცა კი დარწმუნდა, რომ მახარეს მართლა ეძინა, მაშინ იმასაც ძილი მოერია...

მეექვსე კარი

1

გასაგიჟებელი დღე გამოვიდა ეს დღე გაზაფხულის პირას... სუსხიანი ზამთარი იყო... ძრწოდა ბუნება. ადამიანი ხომ შინადგან გარედ ცხვირს ვერ გამოჰყოფდა... და, თუ გამოჰყოფდა აუცილებელ საჭიროებისთვის, საცოდავი სანახავი იყო... ბედშავად გამოიცქირებოდა და ცდილობდა ჩქარა მოესაქმიანებინა და ისევ კერას დაჰბრუნებოდა...

მეფე ნადირაც მაგ დღეში იყო... დიდმა მეფემ სამუდამოდ უარი სთქვა მეფობაზე, რაკი ტახტი თავის წულს გადასცა და ნადირას ხვეწნა, რომ ერთ წელი-

წადს კიდევ ემეფნა, არად მიიღო და თავის საყვარელ ბაღს შეეხიზნა, რომელშიაც თავისთვინ წინადვე პატარა სასახლე მოიმზადა...

— არა, შვილო, ერთ წელიწადს კი არა, ერთ წუთსაც ველარ დავრჩები მეფედ...—უთხრა დიდმა მეფემ თავის წულს, როცა ის შეემუდარა და აუხსნა მიზეზი... ეთერს სახლში არ გაუშვებდი, თუ კი შენზე მაგრე იმოქმედებდა იმისი წასვლა...

— მამავ, უმაგისობა არ შეიძლებოდა!.. სამუდამოდ დავკარგავდი, რომ არ დავთანხმებულიყავ... ეხლა კი, შემომფიცა, ერთი წლის შემდეგ შენი ვიქმნები სამუდამოდო... ძალმომრეობა ვერ ვიხმარე... იმას კი ყოველი ჩემი მიახლოვება შიშის ზარს სცემდა... და ამ დროს აბა ცოლქმრობაზე ვინ იფიქრებდა?!.

— რაც უნდა სთქვა, შვილო, არ უნდა გაგეშო... ერთი წლის შემდეგ კი შენი იქმნება?!.

— შემომფიცა!..

— „შემომფიცა!.. შემომფიცა!..“ გაჯავრებით გაიმეორა დიდმა მეფემ, მეფე ნადირას სიტყვა... ქორწინება კი შეფიცვა არ იყო?!.

— მამავ, მეც მოვაგონე ეგ, მაგრამ იცი რა მიპასუხა?! „ჩემი ქორწინება მოტყუებით იყო... მაშინ სულ დავიბენიო... მე შენ გიცქეროდი, როგორც კარის კაცს... პირობა მომეცი: „სეფეწული სულ არ გეჩვენებაო“ და ის კი არა შენა ჰყოფილხარ სეფეწული, და ისე მოტყუებით წამომიყვანეო“... სრული ჭეშმარიტება ამოდიოდა იმის ბაგიდგან... მერე ი „ზარი“ რო გაიბზარა, თითქმის გულ წასული მომესვენა გულს და, აი, მაშინ მოვხადე თავ-მანდილი და მკლავზე გადვიგდე... „გონს რო ვყოფილიყავ მაშინ, თავ-მანდილის მოხდას არ დაგთანხმდებოდიო... მერე კი, როცა გამოვერკვიე, სიზმარში მეგონა ჩემი თავი და არა მესმოდა რაო“...

— მართლადაც, ის იმ დღის შემდეგ, განაგრძო მეფე ნადირამ: თავის გონზედ აღარ იყო. სულ ვერ ვცნობილობდი. ხომ ჰნახე, მამავ, იმ დღეს, რა მომხიბლავი იყო ეთერი, ვიდრე გამოვუცხადებდი ჩემ ვინაობას?!.

— მერეც, შვილო, მერეც!.. მერე უფრო ნამდვილი დედოფლის ეერი ჰქონდა...

— დედოფლისა, მამავ, დედოფლისა, მაგრამ ჩემთან ცივისა... მხოლოდ ამისთვის დავთანხმდი ერთი წლით დაშორებას... ამ ერთი წლის განმავლობაში დაუფიქრდება, შეეჩვევა ჩემ ცოლობის აზრს და მოლხვება... მერე გადია გვერდით ჰყავს. ის დამპირდა: „ყოველ დღე შენ სახელს გავახსენებო“...

— იქნება გადია უფრო ჰრევდეს!..

— არა, მამავ, გადიამ ბევრჯელ დამიმტკიცა თავისი ჩემდამი ერთგულობა... ვერ წარმოიდგენ რანაირად ჰტუქსავდა ეთერი გადიას, მაგრამ ის მაინც ამას არ-

ერიდებოდა... თუ რამე გაბედული ნაბიჯი გადავდგი, მხოლოდ ვადიას დახმარებით... გადიას ძალიან უნდოდა, ერთ ღამეს მაინც დავრჩენილიყავ ეთერთან, მაგრამ, აკი გითხარი, ვერ მოვახერხე... სულ ცოფი ერეოდა და გიჟდებოდა...— ხშირად როცა კი მე შევიდოდი ეთერთან, რასმე მოიმიზეზებდა და მარტოკეებს გვტოვებდა... ეთერი კი ცდილობდა არ გაეშვა, მაგრამ ის ყოველთვის ახერხებდა...

— როცა ეთერს დავთანხმდი ერთი წლით დაშორება, და გადიამ ეს გაიგო, მაშინვე ტირილით ჩემთან შემოვარდა და საყვედურებით ამავსო...

— ღვთისნიერი ადამიანი ყოფილა, ვფიცავ უფალსა!.. წამოიძახა უფროსმა მეფემ და ჩაფიქრდა...

— აკი გეუბნები, მამავ, ის არ მიღალატებს და ყოველთვის ცნობას მოგაწვდის, თუ კი იქ ახლო სადმე ვიქმნები, ისე კი, რომ ეთერმა არ იცოდეს... ამ ერთ წელიწადს ისევ შენ იმეფე და მე კი...

— ააარა, შვილო, მაგაზე კი ნურას უკაცრავად... წამოიძახა დიდმა მეფემ და წამოდგა... აკი გითხარ ძლივას ჩამოვიხადე ეგ ტვირთი და ეხლა ხელმეორედ ერთი წამითაც არ შემიძლიან ისევ ავიკიდო... მეყოფა. ოც-და-ათი წელიწადი ვზიდე... ეხლა შენ ზიდე... მე კი...

— მამავ, მხოლოდ ერთ წელიწადს!... უკანასკნელად შეემუდარა ნადირ მეფე... მაშინ მარეხიც ისევ გამხიარულდება და...

— შვილო, ნადირ, მარეხსაც შენ ჩაუკალ გული... მეფე ეხლა შენა ხარ... რაღაც ზარია ისე რო არ გადაგენარცხებინა და რიგიანად შეგეთავაზნა, იქნება არ გაბზარულიყო... იმის შემდეგ მარეხს პირზე ღიმი აღარ აჰთამაშებია, თორემ გაცინებას ვინღა იტყვის... მეფე ხარ, გაამხიარულე ისიც... მოანახვინე ვიღაც მახარე ყოფილა, გაამთელებინე ზარი და იმედი მაქვს მარეხიც გამხიარულდება და იქმნება ეთერიც იმ წამს აქ დაიბადოს... როცა ზარი გაიბზარა, შევამჩნიე, სწორედ მაშინ ორივემ გონება დაკარგეს... ეხლა კი მშვიდობით იყავ... ჩემ სასახლეში მივალ სამუდამოდ და... მგონი, მარეხიც ჩემთან გადმოსახლებას აპირებს...

— უკანასკნელი შენი პასუხი ეს არის?!.

— ეს არის!.. სთქვა და მოჰშორდა ნადირ მეფეს...

ასეთ პირობებში მოემწყვდა ნადირ მეფე თავის მეფობის პირველ ზამთარს. დარჩა მარტოკა უეთეროდ, უმამოდ, უმარეხოდ და უერამოდ... ირემა მაინც რო ჰყოლოდა გვერდით, კიდევ არას ინაღვლიდა... იმას გაენდობოდა და თავის მაგივრად გაჰგზავნიდა ეთერის ამბების შესატყობინებლად, მაგრამ ეხლა რა ჰქმნას?!.. ვის გაენდოს?!.

რამდენი ღამე უთევია ამ ზამთარს და სიგიჟემდის მისულა, მაგრამ ვერა მოეხერხებინა რა...

სამეფოზე ზრუნვა ხომ სულ გადაავიწყდა... კიდევ კარგი, სამართლისთვისაც არავის აუტალახებია კარი ამ სუსხიან ზამთარში... თორემ კაი სამართალსაც მიიღებდა მეფის სასახელოდ... სუსხიანმა ზამთარმა გაზაფხულის თვეებიც მოიყოლია და დიდი ზარალი მისცა მწყემსებს... ბევრი გაყინა... საქონელი ხომ აუარებელი დაუზარალა... ნამეტნავად ცხვარი...

და, აი, მხოლოდ გაზაფხულის მეორე თვის მიწურულებში ღა უეცრივ მოლხვა. პირველ დღესვე ახმაურდა არე-მარე, ყოველ ღელე-ხევში ჩხრიალი დაიწყო წყალმა... მცხოვრებთ თითქმის გამოეპარათ ეს პირველი დღე, ისე შეშინებულები იყვნენ ზამთრის სუსხით... იმ ღამეს გულიანად ეძინათ... სახლებშიაც შეატანა სითბომ და, როცა გამოელვიძათ, იგრძნეს სითამამე, სხეულის ამოძრავება... ტანში გასწორდნენ და გარეთ გამოიფინენ... აქ ხომ სახე გაეშალათ და მომღიმრებს სრულებით მიავიწყდათ საშინელი სუსხი... ყველა მხიარულობდა. კაცი, თუ ქალი, დიდი, თუ პატარა... შინაურ ფრინველმა ხომ მხიარული ქორწილი გააჩაღა.

მეფე ნადირასაც ეს დაემართა... სუსხიანი ზამთრის დღე-ღამეების წუხილი უეცრივ მიავიწყდა და ეხლა მთლად იმედებით აივსო... დადიოდა თავის სახლის წინ და სახე უცინოდა... ეხლა ისე უიმედოდ არ ეჩვენებოდა ეთერის შორს ყოფნა. ეგონა, სწრაფად ფრთები შეესხმოდა და წამს იმასთან გაჩნდებოდა და უხილავად ისევ უკან დაბრუნდებოდა...

ამ ოცნებაში იყო, რომ შემოესმა რაღაც ხმაურობა... წამს ყური ათხოვა. გამოერკვია და შენიშნა, რომ ხმაურობა უახლოვდება...

მეფე ნადირას შეუწყდა ოცნების ძაფი და ჩქარა დაინახა: სასახლის წინ რამდენიმე უცხო ტომის ტლანქად გამოკვეთილ კუნძებივით ტყაპუჭეებით, გრძელწვერა რამდენიმე ათეული...

იმათ დაინახეს თუ არა მეფე ნადირა, მაშინვე თავები მიწას ახალეს და შესძახეს:

— თქვენ უმაღლესობასთან ვართ გამოგზავნილი და, აი, ეს ძღვენიც თქვენი მეუღლისთვის არის!..—მოწიწებით უთხრეს მეფეს, მაგრამ იმათ თვალში რაღაც მზაკვრობა გამოკრთოდა...

— ვისგან?.. შეეკითხა მეფე ნადირა განცვიფრებით...

— ჩვენი მეფისგან...

— ვინაა თქვენი მეფე?..

— ჩრდილოეთისა!..

— ჰოო!.. მაგრამ ასე სწრაფად როგორ გაიგო ჩემი დაქორწინება, და ან ასე როგორ სწრაფად იარეთ, რომ მოასწარით ასეთი დიდი მანძილის გადმოლახვა ამ ზამთარში?!.

— ჩვენი მეფე სულ ახლოს არის. დავიპყარით მთელი ხმელეთი... ამ დროს შენი ქორწინების ხმაც მოესმა და ჩვენც გამოგვზავნა საჩუქრებით...

2

უფროსმა მათგანმა უბრძანა დანარჩენებს მოეტანათ საჩუქრები, რაც სწრაფად შეასრულეს და ერთი დატვირთული ჯაგვა სასახლის წინ დააყენეს, რომელშიაც ოთხი ძლიერი ცხენი იყო შებმული და უკან კიდევ ცხრაკეც გაბმით გამობმული რაში, რომელს კიდევ ოთხი უზარმაზარი კაცი ჯაჭვებით ძლივას იმაგრებდა. შედგა თუ არა, ერთი ისეთი დაიჭიხვინა, რომ ზეცას ასწვდებოდა იმისი ჭიხვინი, და თვალებიდგან ცეცხლის ნაპერწკლები წამოყარა...

მეფე ნადირას ამის დანახვაზე ფერი ეცვალა. დიდი მეფეც ამ ხმაზე ქლოშინით სწრაფად აქ დაიბადა და შვილს შეჰხვდა... უკან მოჰყვა ფერწასული მარეხიც...

რა ესენი, სწრაფად მთელი ქალაქი აქ დაიბადა და ყველა განცვიფრებული და შეშინებული გამოიცქირებოდა ამ ცეცხლისმფრქვეველ რაშის მნახველი...

მეფე ნადირამ სასახლეში მიიწვია უფროსი, რომელმაც განკარგულება მოახდინა, შეეზიდათ საჩუქრები...

რა ძვირფასი ბეწვეული არ გადუშალა თვალ-წინ, რა თვალ-მარგალიტი და რა ოქრო და ვერცხლი... მარეხს თვალი ზედა ჰრჩებოდა...

შიკრიკი მომხიბლავის ხმით ამკობდა თავის მბრძანებელს, როცა ალაგებდა ნივთებს და ცალი თვალით მარეხს უმზერდა...

— რაც შეეხება რაშს, ნება მიბოძეთ ცალკე მოგახსენოთ... დაუმატა შიკრიკმა, როცა ამოლაგება მორჩა და დაატყო, რომ საჩუქრებმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება იქონიეს ყველაზედ...

— აქ უცხო არავინ არის, სთქვი!.. უპასუხა მეფე ნადირამ...

— შეიძლება, მაგრამ ჩემმა მეფემ დამავალა საიდუმლოდ მოგახსენოთ!.. სთქვა და თან მარეხს და უფროს მეფეს გადაჰხედა...

ისენი მაშინვე გატრიალდნენ და დარბაზიდგან გავიდნენ...

— მითხარი, რა დაგავალა შენმა მბრძანებელმა... ეხლა მარტონი ვართ...

ჩამოვარდა წამით სიჩუმე... შიკრიკი შეფიქრიანდა... თითონვე იგრძნო უკმეხობა დავალებისა და ამისთვის ენა აღარ ემორჩილებოდა... მერე ხელი ჩაიქნია, უკმეხად წამოიძახა:

— თავი რა ბევრჯერ ვიმტვრიო, პირდაპირ გეტყვი: ჩემმა მეფემ შემოგითვალა: „ეს რაში გამიხედნინე და უკანვე გამომიგზავნეო და, თუ ვერ გაჰხედნიო მანდ, მაშინ შენი ცოლიც მაგ გაუხედნავ რაშს უნდა გამოაყოლოვო“...

მეფე ნადირა ამ სიტყვებზედ აენთო... წამს ხელები აუთამაშდა, მკლავებში ძარღვები დაეჭიმა, და ის იყო უნდა შიკრიკისთვის ყანყრატოში ეტაცა ხელი, რომ ამ დროს შეშინებულმა შიკრიკმა მეფე ნადირას სახის ცვლილებით აკანკალებულის ხმით წამოიძახა:

— ვიცი, შენო უზენაესობავ, ძნელია დათმობა იმისთანა უზენაეს სინაზის და სიმშვენიერის, რომელიც ვიხილე... ამისთანა სიმშვენიერეს კაცი თავს ანაცვალებს, მაგრამ რატომ არ გნებავს შეეცადო გახედვნას?.. იქმნება სულ...

— კმარა!.. უკივლა მეფე ნადირამ და გასვლა უბრძანა... ხვალ მოხვალ აქ... მანამდის კი თავისუფალი ხარ, და ყველა თქვენგანი დაბინავებული იქმნება... რაშს თქვენ უპატრონეთ ამალამ.

— ვასრულებ შენს ბრძანებას, ჩემო მეფევ!.. წამოიძახა შიკრიკმა და ყურთუკულმა მოწიწებით დარბაზიდგან გავიდა...

მეფე ნადირა აღელვებული დარბოდა დარბაზში და არ იცოდა, რა გადაეწყვიტა... უეცრივ გაუელვეს გონებაში შიკრიკისგან წარმოთქმულმა სიტყვებმა: „ძნელია დათმობა იმისთანა“... ნუ თუ მარეხი იმ ბრიყვს ჩემი ცოლი ეგონაა?!.

— სწორედ ასეა, თორემ ასე არ იტყოდა... ეთერი რო ენახა, მაშინ რაღას იტყოდა?!, იქმნება აღარც კი გაებედნა თქმა და ისე წასულიყო.... მაგრამ რა დროს ამაზე ფიქრია?!. ასეთ უკმეხ წინადადებას უკმეხივე პასუხი უნდა შეეთვალოს, მაგრამ ჩრდილოეთის მეფე...

ამ დროს შემოვიდა დიდი მეფე და, რა შვილი აღელვებული ნახა, შეეკითხა:

— რა მოგივიდა, შვილო?

— მამავ, მამავ, ვერ წარმოიდგენ რა უკმეხი წინადადებით მომმართა ჩრდილოეთის მეფის შიკრიკმა!.. ის რაში გასახედნად გამოუგზავნია ჩემთან და მითვლის: „თუ ამ რაშს ვერ გაჰხედნი მანდ, მაშინ შენი ცოლი უნდა გამომიგზავნოო“...

— მერე შენ რა უპასუხე?

— გავაგდე დარბაზიდგან და ვუთხარ: „ხვალ მიიღებ პასუხს!“ მინდა მოვიფიქრო, ისეთი რა პასუხი შევუთვალო, რომ იმასაც ისე გული აეწოს, როგორც მე ამეწო...

დიდი მეფე ჩაფიქრდა. მეფე ნადირა კი განაგრძობდა წყრომას...

— ვერ უყურებ იმ... იმ... უნდოდა ისეთი რამ სიტყვა ეთქვა ჩრდილოეთ მეფის გასალანძღავად, მაგრამ შესაფერი სიტყვა ვერ მოენახა და იმეორებდა: „იმ... იმ“...

— არა!.. მიანება სიტყვის ძებნას თავი და განაგრძო: ეთერი ჯერ მე ცოლად არ მიგრძვნია და ის კი მითვლის, თუ ამას ვერ გაახედნინებ მანდო, შენი ცოლი უნდა გამომიგზავნოვო!... კარგია, შენმა მზემ ასეთი პირობები?!. არა...

ხვალვე ავაკაფინებ იმ რაშს, ჩავწყობ იმისივე ჯაგვაში და შევუთვლი: „ასე ვხედნით შენისთანა მეფეების რაშებს!..“

გამოერკვია ამ დროს დიდი მეფე და შეეკითხა შვილს:

— რა გადასწყვიტე, შვილო?!.

— ხვალვე ავაკაფინებ რაშს და ისე გავუგზავნი...

— ნუ, შვილო, მაგას ნუ იზამ!.. არა სჯობია, მართლა შევეცადოთ გახედნვას. იქნება, მართლა გავხედნოთ და ბოროტება თავიდგან ავიცილოთ... თორემ შენი გადაწყვეტილება უეჭველად თავს დაგვატეხს უაზრო ხალხის ჟლეტას... შარიანი და უკმეხები არიან ჩრდილოეთის მეფენი... სჯობია, შარს ერიდო... შენ გგონია ეგ წინადადება შარის გულისთვის არაა მოგონილი, რომ...

— თუ მაგრეა, ის ყოველთვის მოგდებს შარს და... გააწყვეტინა სიტყვა მეფე ნადირამ... არა სჯობია ერთხელ და სამუდამოდ ავლაგმოთ, რომ...

— არა, შვილო, იმას მრავალრიცხოვანი სამეფო აქვს... კალიასავით შემოგვესევა, მაგრე უეცრად რო გამოვიწვიოთ... გგონია, მარტო შენ შემოგითვალა ეგეთი საშარო წინადადება?.. არა... ბოროტი ადამიანი ყველასთან ბოროტია... უეჭველია, ის სხვა მეზობლებსაც შარს უდებს... სანამ ჩვენ ამ გზით ცოტათი ავიცდენთ იმის შემოსევას, სხვებს ამ დროს წეესისინება და მაშინ ჩვენც გავმაგრდებით... ბოროტი ადამიანი თავის ბოროტებაშივე ჩაიხრჩობა... ვეცადნეთ, როგორმე მოვიგერიოთ, ვიდრე ჩაიხრჩობოდეს...

— საყვარელო მამავ, კარგი, შევეცდებით გახედნვას, მაგრამ რომ ვერ გავხედნოთ, ნუ თუ ეთერი უნდა გავუგზავნოო?!.

— ვინ გეუბნება, შვილო, მაგას... იმედი მაქვს ჩვენ სამეფოში გამოჩნდება ვინმე, რომელიც რაშს ზურგზედ მოახტება და დაიწყებს ხედნას... თუ ვერ გახედნა და გადმოაგდო, იმედია, რაში უკან არ დაბრუნდება და აღარც დაებმის... გადიკარგება სადმე, ან უკანვე მიუვა პატრონს... შენ შეუთვლი: ერთი შეეცადა გახედნას, მაგრამ ვერ შეჰსძლო... რაში უეჭველია უკან დაბრუნდა... გამოგზავნე, სხვა მრავალი მხედნავი მყავს. ბოლოს და ბოლოს მაგ რაშს უეჭველად გავახედნინებ... ვიდრე ესენი შენ პასუხს მიუტანენ და ის რასმეს მოიფიქრებს, იმედია, მანამდის იმას სხვა ჭირი აუტყდება და, შეიძლება, ჩვენთვის აღარ სცხელოდეს...

მეფე ნადირა ჩაფიქრდა ცოტა ხანს და შემდეგ უფრო დამშვიდებით წამოიძახა:

— მართალს ამბობ, მამავ, მართალს!.. სჯობია, დრო მოვიგოთ... მაგრამ არ ვიცი, ვინ გაჰბედავს იმაზე შეჯდომას... მგონია, ჩემზე კარგი გამხედნი არავინ იყოს, მაგრამ, სიმართლე გითხრა, მამავ, ვერ გავბედავ იმ ცეცხლზე შეჯდომას...

— იქნება, შვილო, ყველაზე უკეთესი მხედნავი იყო, მაგრამ ყველაზე გამბედავი კი არა...

— არც გაბედულობა მაკლია, მაგრამ...

— მაინც, სჯობია, შვილო, მეჯოგეთ უხუცესი დაიბარო, ის აქ არის. სწორედ გუშინ ამოვიდა საჯოგოდან... შენ კი რო გაჰბედო კიდევაც, არ გირჩევდი... რო ვერ დაიმორჩილო რაში და გავნოს რამე, მაშინ ხომ იმ ბოროტს ველარ მოვიშორებდით და აქ შემოგვეჭრებოდა... მაშ, აბა, აფრინე ვინმე მეჯოგეთ უხუცესთან...

მეფე ნადირა გავიდა... დიდი მეფე მწუხარებამ შეიპყრო. სწრაფად დაელარა სახე... შვილთან თავს იმაგრებდა და, როცა ნადირა გავიდა, მაშინ კი ველარ შეიმაგრა თავი და თითქმის თვალი აუცრემლიანდა... ბევრი რამ ავი ახსოვდა ჩრდილოეთის მეფისა... ბევრი დამცირება, მაგრამ ამას არ ეუბნებოდა თავის შვილს... უმალავდა... ასე, თუ ისე თავიდგან იცდენდა იმის შემოსევას, და აჰა, ეხლა კიდევ ეს უკმეხი შეურაცხყოფა შვილისა...

მარეხი შემოვიდა დარბაზში მამის წასაყვანად, რაკი ნადირა გარედ დაინახა... უკვე სამხრობა იყო... დაინახა რა, შეკრთა... ხმის ამოუღებლივ მივიდა მამასთან და ალერსით მხარზე ხელი დაადო... მაგრამ დიდმა მეფემ ვერც კი შენიშნა...

— მამავ, ვეფხვა თითონ მოვიდა, დაძახება აღარ მომინდა... მარეხი შეჰნიშნა და მიჰმართა იმას: მარეხ, მამა მოიკითხე?!. მოაგონდა კიდევ შიკრიკის სიტყვები... „რას ჩამაცივდა ეს შიკრიკის სისულელე?!.“ წამს შეეკითხა უსიტყვოდ თავის გონებას მეფე ნადირა...

დიდმა მეფემ სწრაფად გაშალა ნაოჭები შვილის ხმის გაგონებაზედ და ეხლა ღა შენიშნა მარეხი... ტუჩები ღიმად გადაეშალა და.

— მომნახე, ჩემო ანგელოზო?!.

— ჰო, მამავ, სამხრობაა, მომშივდა!

— ეხლავე, ჩემო კარგო!.. ცოტა ოდენი ღა დაგვრჩა...

— მაშ წავიდე?!.

— არა! შვილო ნადირ, ვგონებ მარეხის აქ ყოფნა ხელს არ შეგვიშლის მეჯოგეთ უხუცესთან მოლაპარაკებას...

— არა!.. მე უკვე ვუთხარი და ძალიან იძნელა...

— აბა წინ წამოდექ, ჩემო ვეფხვავ!

— ვახლავარ დიდ მეფეს!

— ჰნახე ი რაში?!.

— როგორ არა, დილასვე! იმისმა ჯიხვინმა ქალაქში ვინღა დააყენა აქ მოუსვლელი?!.

— მაშ იმის გამხედნავი არავინ გეგულება მწყემსებში?!.

— გამხედნავი არ ვიცი, და გამბედავი კი ერთი მეგულება... ამ ზამთარს შემოგვეხიზნა ორი ვაჟკაცი ლომა და უგულო... უგულომ არც ერთი ცხენი არ გაუშვა გაუხედნავი... რაც უფრო გიჟი ცხენი იყო, იმას ეტანებოდა... ეხლა გაუხედნავი ჯოგში ცხენი აღარ მეგულება... მოახტებოდა ხოლმე უბელოდ და დაიკარგებოდა... მხოლოდ მეორე, ან მესამე დღეს მოვიდოდა ცხენით უსაბელოდაც კი...

იქმნება იმან გაბედოს, მაგრამ ვეჭვობ... ეგ ცხენი რაღაც ღვთის რისხვაა...

— მაშ, აბა, აფრინე კაცი და ხვალ აქ იყოს ის უგულო... უბრძანა დიდმა მეფემ მეჯოგეთ უხუცესს...

— ეხლავ!.. უპასუხა და გატრიალდა.

— ეხლა კი ვისამხროთ, ჩემო მარეხ!.. ნადირაც ჩვენთან ისამხრებს...

— ოჰ, დიდის სიამოვნებით!..

— უგულო!.. პირველად მესმის ეს სახელი!.. წამოიძახა მარეხმა...

3

მართალია ეთერმა გამობრუნების შემდეგ გადიის ჩაგონებით გადაჰწყვიტა გაეწია ნამდვილი ცოლობა მეფე ნადირასათვის; ამაში კიდევაც გამოუტყდა ნანადირას, რამაც უმაღლესი სიხარული გამოიწვია იმაში, და ნადირას სულმა მწარედ დაიწყო შელამების ლოდინი... ეთერი კი ჩვეულებრივად იქცეოდა, მარეხს ემასხრებოდა, ანუგეშებდა, რომ გამოჩნდება როდისმე ზარის გამთელებელიო...

ეთერისთვის ეს დღე შეუმჩნეველად დაღამდა. მეფე ნადირასთვის კი მთელ საუკუნოდ იქცა... სამაგიეროდ რა მწვავე და აუტანელი გახდა ეს ღამე ეთერისთვის... რო ჰსცოდნოდა, თუ ასეთი ღამე დადგებოდა, ინატრებდა, რომ ის დღე არ დაღამებულიყოს.

ნადირასაც რო სცოდნოდა, არც ის მოისურვებდა იმ დღის დაღამებას...

იმ ღამისთვის დიდიხანია მომზადებული იყო მეფე დედოფლის საძილო ოთახი, მაგრამ თვენახევარს ელოდა ახლად ნაქორწილევთ...

დიდიხანია ეს ოთახი გულ-ჩათხრობილი იყო... რაც დედოფალი ნანე დიდი მეფის თვალს მიეფარა, იქ ფეხი არავის შეუდგავს... ელოდა.., ელოდა და, აი, ახალგაზდებისთვის ძლივას მოამზადეს და ამათაც, აგერ თვენახევარი ალოდინეს...

ამ დღისთვის ხელმეორედ დაალაგეს ეს ოთახი გადიას ხელმძღვანელობით. დილიდგან საღამოს ჩასვლამდის მზე ეალერსებოდა და უკანასკნელი სხივებიც კი აქ შემოასრიალა და ისე ჩავიდა, რომ დილაზე პირველი სხივი ისევ ამ ოთახისთვის ეძღვნა...

ნავახშმევს გადიამ შეიყვანა ამ ოთახში, მიეალერსა რამდენჯერმე, როცა ტანთ ჰხდიდა და, რაკი ლოგინში ჩააწვინა, „ღამე სიხარულისა“ უსურვა და გავიდა...

ეთერი ცვლის სანთლის შუქზე ოდნავ ამჩნევდა ოთახის მოწყობილობას. რამდენჯერმე თვალი მიავლ-მოავლო... და ის იყო გადაბრუნებას აპირობდა და ჩაძინებას, რომ ამ დროს მეფე ნადირამ კარი შეაღო და აღელვებული პირდაპირ საწოლისკენ გაეშურა...

კარის გაღების ხმაურობამ და ნადირ მეფის მიახლოვებამ გამოაფხიზლა ეთერი და ეხლა-ღა იგრძნო, რომ ის ტანთ გახდილია, და მეფე ნადირა იმისკენ მოეშურება... ტანი აეწო ისე ძლიერად, როგორც კი შეიძლება უმანკო ქალს სირცხვილისაგან აეწოს, როცა შიშველს უცხო ვინმე თავს წაადგება...

— ნუ მოსდიხარ... ნუ!.. იკივლა ეთერმა და საბანში თავით-ფეხამდის გახვევა დაიწყო...

— ხა... ხა... ხა!.. ალერსით წაიხარხარა მეფე ნადირამ და უფრო გაბედულად მივიდა ეთერთან...

იმისმა მორცხვობამ უფრო მოხიბლა მეფე ნადირას გრძნობა და ვნებად გარდაექცა... ძლიერად ჩაავლო საბანს ხელი და სწრაფად ზევით ასწია... ეთერმა წამს იგრძნო, თითქოს რაღაცა ძალამ ზევით აიტაცაო და მეორე წამს კი ისევ ძირს ლოგინზე სწრაფად დაეცა, მხოლოდ უსაბნოდ, საცვლების ამარა...

ასეთმა ძალმომრეობამ ეთერს მორცხვობის კრდომა დააკარგვინა... ის წამოიჭრა ზე და მრისხანებით თვალები დააკვესა...

სიყვარულმა, უმანკო ბავშვობამ, ტანჯვა და მრისხანებამ არ იცის მორცხვობა.

სიყვარულით დაკავშირებულთ აზრადაც არ მოუვათ ერთმანეთის სიშიშვლის ხილვაზედ თვალები დახუჭონ, ისე როგორც უმანკო ბავშვებს სქესობრივობის მიუხედავად შეუძლიანთ შიშვლებმა ერთ გუბეში იჭყუპალაონ... და ამას ბუნებრივ მოვლენად სთვლიდნენ. მხოლოდ გაჭირვება და მრისხანება დროებით ავიწყებს მორცხვობას...

ეთერს სწორედ ეს დაემართა... ანთებულ თვალებით, პერანგით ოდნავ წაფერფლილ მთრთოლვარე სხეულით... ციდგან მოწყვეტილ ვარსკვლავს ემგზავსებოდა...

მეფე ნადირა შეკრთა... ნაბიჯი უკან გადადგა, საბანი ხელიდგან გაჰვარდა, და შეაშტერდა ეთერს...

— გადი აქედან!..—უკივლა ეთერმა და ხელით კარები აჩვენა...

— ეთერ, გავიწყდება ვის ეუბნები მაგას!.. ხმის კანკალით უპასუხა მეფე ნადირამ. ეტყობოდა თავს იმაგრებდა... ჩემ სასთუმალს ვერავინ მომაშორებს და მით უმეტეს ჩემი მეუღლე!..

— შენი მეუღლე?!. რომელიც მოტყუებით მოიყვანე და... სირცხვილი!.. სირცხვილი მეფისთვის!.. ის კიდევ თავის თავს მეფეს უწოდებს, რომელიც ჩემი მამის სახლში მეფიცებოდა, „სეფეწულს არ გაჩვენებო“!.. ეს..!

— ეთერ!.. ბრაზმორეული მეფე ნადირა მიჰვარდა და მკლავში სწვდა... მძლავრად წამოიქნია და საწოლზედ წამოაპირქვავა... ეთერმა წამს დაჰკარგა შებრძოლების უნარი..; არ მოელოდა ამ ძალმომრეობას. სირცხვილმა ტანი აუწო... ელოდა უარეს შეურაცყოფას და ფიქრობდა ამას როგორ დაჰხვედროდა... განუძრეველად იწვა წამოპირქვავებული და ელოდა შემდეგს...

— ეთერ... ეთერ!.. შემოესმა მოწიწებითი ხმა .. რად გეზიზღები ეგრე?!.

ეთერი ამ ხმაზე მაშინვე წამოდგა... უკვე გამარჯვებულად იგრძნო თავი. ხმის ამოუღებლივ თავის ტანისამოსი ჩაიცო და ნადირას შეჰხედა, რომელიც მოჯადოვებულისავით იდგა და თვალს ადევნებდა ყოველ იმის მოძრაობას.

— მეფე ნადირ, რა გინდა ჩემგან?.. შეეკითხა წყნარად ეთერი...

— შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი!..

— ეგ რომ გდომებოდეს, მაგრე არ მოიქცეოდი!..

— შენმა სიყვარულმა ჩამადენინა ეგ!..

— თუ გიყვარვარ, დამტოვე მარტოკა!..

— სწორედ მაგისთვის ვერ დაგტოვებ მარტოკას!.. კმარა, რაც მარტოკა იყავი!.. ეხლა კი ერთად უნდა ვიყვეთ...

— არ ძალმიძს ერთ წამსაც შენთან ერთად ვიყვე, წადი აქედან!..

— ეთერ, აქიდგან არსად წავალ!..

— მაშ მე წავალ!.. წამოიძახა ეთერმა და კარებისკენ გაიწია...

— ვერც შენ გახვალ აქედგან! შეუტია ეხლა კი გაბრაზებულმა მეფე ნადირამ და გზა გადუჭრა:

— აი, შენი და ჩემი სასთუმალი ამაღამ და შემდეგ ღამეებსაც აქ ვიქმნებით... ეხლა კი დაწექი!.. ამ სიტყვებით ხელი მძლავრად მოჰხვია, ლოგინთან მიიტანა და ზედ დაახეთქა...

— ურჯულოვ!.. წამოიკივლა ეთერმა და მაშინვე ლოგინიდგან ძირს ჩამოვიდა...

ასეთი შეურაცყოფა მეფე ნადირასთვის არავის მიუყენებია..! წამს ბრაზისგან თავბრუ დაესხა, წატორტმანდა კიდევაც და უეჭველად წაიქცეოდა, რომ იქავე კედელს არ მიჰსვენებოდა...

ეთერს ამ გარემოებით უნდოდა ესარგებლა და გარედ გასულიყო, მაგრამ მეფე ნადირა გამოერკვია და, რა თვალი შეასწრო გარედ მიმავალ ეთერს, ვეფხვსავით ერთი გადახტომით კარებში გაჩნდა...

ეთერმა უკან დაიხია... შეეშინდა, ისევ შეურაცყოფა არ მომაყენოსო!.. და ამისთვის წამოიძახა:

— ქალს ძალლიც არ დაჰყეფს და შენ კი, მეფეე...

— კმარა ეთერ, გემუდარები!.. აღარ დაათავებინა სიტყვა ეთერს მეფე ნადირამ... ვიცი, ცუდათ მოგექეცი და ვნანობ... ჩვენი ღმერთი*) მამა ღმერთის დაა და იმის მგზავსისაზე ძალმომრეობა ურჯულობაა, მაგრამ ეს სულ შენი სიყვარულით მომივიდა, გიმეორებ... გაძლევ მეფის სიტყვას, ეს აღარ მოხდება!.. მაგრამ შენი, ან ჩემი ამ ოთახიდგან ამაღამ გასვლა შეუძლებელია!..

— რა მიზეზით?..

— სამარცხვინოთ არ მინდა თავი ავიგდო... უნდა მთელმა სასახლემ შენზე და ჩემზე ილაპარაკოს, რომ ცოლი ოთახიდგან გამოექცაო და... ეთერ, გაიგე, რას ჰშვრები?..

— მაშ რა ვქმნა, როდეს შენთან დაწოლა არ შემიძლიან და ცოლობის გაწევა?.. სასოწარკვეთილებით წამოიძახა ეთერმა...

— აი, აქედგან მეორე ოთახში შევალ... აქედგან დაკეტე, თუ გეშინიან... ამაღამ იქ ვიქმნები, შენ კი დაწექი აქ და ხვალ დილით კარი გამიღე, ჯერ მე გავალ და შემდეგ შენ გამოდი გარედ, თუ მოისურვებ გარედ გასვლას...

— კარგი!..

— ეხლა კი ამ კარის გასაღებს მე წავიღებ თან, რომ ჩემზე ადრე არ გახვიდე...

ეს დღე ამ პირობით დამთავრდა.

ორივემ პირნათლად შეასრულა პირობა, მაგრამ იმ ღამეს არც ერთს იმათგანს თვალი არ მოუხუჭნია...

დილით ეთერი ისე მოიქცა... ადრიანათ გაუღო კარი და სთხოვა გასვლა... მეფე ნადირა გავიდა ოთახიდგან იმ წამსვე, რაწამსაც კარი გაეღო, რადგანაც იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭნია და არც ტანთ გაუხდია... არც თუ ეთერს სძინებია. იმასაც ტანთ არ გაუხდია... სული მწარედ მოელოდა გათენებას, რომ გაესტუმრებინა მეფე ნადირა გარედ...

გაისტუმრა თუ არა, მაშინვე ჩაკეტა კარი და მიწვა ლოგინზე...

მხოლოდ შუა დღისას-ღა გამოელვიძა ეთერს და გადია მოიკითხა.

საწოლის ოთახის კარი გაიღო თუ არა, მაშინვე გადია იქ დაიბადა, იმის გამოსვლის უმალ კარი დაიხურა... უნდოდა შესვლა, მაგრამ მეფემ შეაყენა...

— დედოფალს მთელ ღამეს არ სძინებია, მოისვენოს... ნუ შეაწუხებ!..

*) მთვარეს გულისხმობს.

გადიამ შეჰხედა მეფე ნადირას და შეატყო, რომ იმასაც არ სძინებია... სიამოვნებით ჩაიცინა და გატრიალდა...

4

დილა ადრიანად მეფე ნადირა, დიდი მეფე, მეჯოგეთ-უხუცესი და თითქმის ქალაქის ყველა მცხოვრები: ქალი, თუ კაცი, დიდი, თუ პატარა ჩრდილოეთის მეფისგან წარმოგზავნილ რაშს შიშით შორიდგან თვალ-ყურს ადევნებდა და თან მოუთმენლად მოელოდა უგულოს მოსვლას, რომლის მოსაყვანადაც წინა დღეს შიკრიკი გაიგზავნა...

მარეხიც მეფეების შუა იდგა და ისაც სხვებსავით ღელავდა და მოელოდა უგულოს...

ვინაა ეს უგულო, რომელსაც სირცხვილისაგან უნდა დაეხსნა და, იქნება, სხვა უარესისგანაც მეფეებიც და ერიც.., არავინ იცოდა იმის ვინაობა, გარდა იმისა, რაც მეჯოგეთ-უხუცესმა უამბო: „ზამთრის პირას მეჯოგეებს ორი ვიღაც უცნობი შემოგვეხიზნა. ერთს ჰქვიან, რომელიც უფრო ახალგაზდაა, უგულო, მეორეს კიდევ ლომა, ორივე კაი ვაჟკაცები არიან, მაგრამ უგულო ჩვენ თვალწინ დავაჟკაცდა და ჯოგში არც ერთი გადარეული სამი წლის კვიცი გაუხედნავი არ დარჩაო“...

ამის მეტი სხვა არავინ იცოდა რა...

დღეს უფრო ცხარე მზე ამოდიოდა.. მთელ ღამეს თბილოდა, რის გამოც არე-მარე ახმაურებულიყო, სულ რუებად ქცეულიყო... აქა-იქა ოდნავად ღა მოსჩანდა თოვლის ნაგლეჯები...

რაშის დრო გამოშვებითი ჭიხვინი თუმცა შიშის ზარს ჰჰცემდა ყველას, მაგრამ უნუგეშობას არავინ ჰგრძნობდა, რადგანაც მოელოდა უგულოს და ამისთვის იმის მოსვლის გზას ყველა თვალს ადევნებდა..

მართლაც აგერ მდინარის პირას, რომელიც აღელვებულ ზღვასავით ტალღას ტალღაზედ მიაგორებდა, გამოჩნდა მხედარი, რომელმაც თან და თან მოახლოვება დაიწყო. ყველას თვალი გაუბრწყინდა... მხედარი კი მოაფრენდა ცხენს და იმის ფეხთა ანასხლეტი ტალახნარევი წყალი ცხენსაც და მხედარსაც წვიმასავით დასდიოდა... რა შენიშნა მეფეები და იმათ შუა მარეხი, რომლებიც სასახლის ეზოს კართან გამართულ ტახტზე იდგნენ, უბელო ცხენი სწრაფად შეაყენა, გადმოხტა, საბელი კისერზედ გადუგდო ცხენს, რომელიც თავით ფეხებამდის შეთხუპნილი იყო ტალახით გარდა იმ ადგილისა, რომელსაც მხედარი თავის სხეულით ჰფარავდა. მხედარმა სასწრაფოდ ცხენს ყურები დაუტაცა, მძლავრად დაუჭიმა, თვალები დაუ-

სრისა, კისრიდგან დაწყობილი ამის შემდეგ რამდენჯერმე ორივე ხელი მძლავრად დაუსვა კუდამდის და ის-ის იყო ახლა უნდა კუდი დაეჭიმა, რომ მეჯოგეთ-უხუცესმა მიირბინა იმასთან და ხელი დაუჭირა.

— ცხენს სხვები მოუვლიან, შენ კი მეფეებს ეახელ და...

— დამაცა, კუდიც დავუჭიმო და შემდეგ სხვებმა ატაროს, მაშინ ვეახლები მეფეებს... უპასუხა მახარემ და ცხენს კუდი მაგრად დაუჭიმა...

ცხენს ამ დროს ოშხივარი ისე ასდიოდა, რომ სულ შიგ გაეხვია...

მახარეც ისე იყო გათხუპნილი, რომ მოელვარე თვალების მეტი არა უჩანდარა... მახარე ამას არ ამჩნევდა... მხოლოდ ჰგრძნობდა, რომ რამდენიმე ათასი წყვილი თვალი იმას ისრებს ესროდა და იმათ შორის მარეხის წყვილიც...

როცა მახარე იმათ წინ წარდგა და მარეხს შეჰხედა, გონება დაებნა... მეფე ნადირა რამდენჯერმე შეეკითხა; შეეკითხა აგრეთვე დიდი მეფე, მაგრამ მახარეს არ გაუგონია იმათი შეკითხვა.

მარეხი ტანის კანკალმა აიტანა და მეფე ნადირას მიჰმართა:

— ნადირ, ვერა ჰხედავ, დაღლილია და მთლად სველი!.. უბძანე...

— მართლა, რატომ თავში არ მომივიდა ეგ?!. ეხლავე წაიყვანეთ უგულო სასახლეში, სულ მთლად გაბანეთ, გაასუფთავეთ და საუკეთესო ტანისამოსი ჩააცვით... მიუჩინეთ ოთახი, რომ დაისვენოს და სამხრობას ჩემთან მოიყვანეთ...

5

მახარეს ეგონა მეფე ნადირას გვერდით ეთერი ედგა, მაგრამ გონს ვერ მოსულიყო, თუ მართლა ეს ის ეთერი იყო, რომელიც იმას უყვარდა...

მართალია, ეთერი დღის შუქზედ არ უნახავს, მაგრამ ჰგრძნობდა, რომ აქ რაღაც უცნაური ცვლილება მოხდა... იმის სხეული ჰგრძნობდა, ეს ეთერი იმ ეთერს სრულებით არ ჰგვანდა... თუმცა ეს ეთერი უფრო განაზებულა. უფრო დამშვენებულა... მაგრამ... ხმაც რომ გამოჰცვლია?!. რამ გამოცვალა ასე ეთერი?..

ეკითხებოდა თავის თავს და ვერ ჰხსნიდა.

სამხრობამდის სულ ეს კითხვა უტრიალებდა თავში... კითხვითაც ვერავისთვის ეკითხნა... ან კი როგორ გაჰბედავდა ამის კითხვას. დარწმუნებული იყო, რომ ეთერი დედოფლად გახდა ამ ცხრა თვის წინად, როცა იმას გაჰშორდა და ისე მოტყუებით „ზარი“ გამოართვა... „ჰსჩანს დედოფლობას შეუცვლიაო“... მით უმეტესად ეს უნდა ეფიქრნა, რომ თითონაც სრულებით გამოიცვალა ამ ცხრა თვის განმავლობაში. ამას ჰგრძნობდა მახარე და ფიქრობდა: „ოქრო-მჭედელმაც

რომ მნახოს, ვერ მიცნობს, თორემ შემთხვევით მნახველი ხომ სულ ველარ მიცნობსო“...

მართლადაც მახარე ეხლა სულ სხვა იყო. რო ამბობენ: „ვინ წლით იზრდება, ეს დღითაო“ სწორედ ეს დაემართა მახარეს. დღით იზრდებოდა და არა წლით... მარტო თვალის გამომეტყველება და ხმის ოდნავი მოძრაობა-ღა შეჰრჩა. ოქროჭედლის შეგირდისა, თორემ გარეგნობით სრულ ვაჟკაცს, მერე თვალის წარმტაცს წარმოადგენდა...

დამშვიდებული იმ აზრით, რომ ეთერი ძალიან გამოცვლილა, თითონაც ძალიან გამოცვლილია, „მაშ ვერც ის მიცნობსო, თუ კი მე ვერ ვცნობილობ“... ამ ფიქრით სამხრობისას, როგორც მეფე ნადირამ განკარგულება გასცა, გასუფთავებული და სულ ახლებში გამოწყობილი, რაც მარეხის განკარგულებით მახარეს მიუტანეს, მშვიდად წარსდგა მეფის წინ... იქ დიდი მეფეც იყო და მარეხიც...

თვალი ზედ დარჩა სამთავეს... ასეთ ვაჟკაცს ჯერ არ შეჰხვედროდა არც ერთი იმათგანი. მარეხი მოჯადოვდა ნამეტნავად მაშინ, როცა მახარემ თვალი თვალში გაუყარა და წამს ასე იდგა...

„... უთუოდ მახარეც ასეთი შეხედულობისა იქმნებაო“... სწრაფად გაუელვა ამ აზრმა თავში...

ნადირ მეფე გამოერკვა ჩქარა და მიჰმართა:

— იცი, უგულოვ, რისთვის აგრე სწრაფად დაგიბარეთ...

— რაღასაც მეუბნებოდა გზირი: ჩრდილოეთის რაშზე და კი არ ვიცი, საქმე რაშია...

— ეხლავე ყველაფერს გაიგებ... აბა წავიდეთ!.. ხომ სადილი სჭამე?!. ხომ არა დაგაკლეს-რა?!.

— ყველაფერი მრავლად იყო...

გამოვიდნენ სასახლიდგან და საგანგებოდ მეფის ბრძანებით გამართულ ადგილას მიიყვანეს მახარე... ჩრდილოეთის რაში გამოეყვანათ ჯაგვაზედ დაბმული და წინ დაეყენებინათ... აქეთ იქიდგან ჩრდილოელი მცველები დაქანცულიყვნენ...

ჭამის დროსაც კი არ ასვენებდა მცველებს... სულ ბორგავდა და ფეხის ანასხლეტებს თავ-პირზე აყრიდა...

ხალხი არ დაშლილიყო... მახარეს დანახვამ ყველას სიამოვნების ღიმი გადაუშალა, მაგრამ ეს წამიერი იყო, რადგანაც ამ დროს დაიჭიხვინა ჩრდილოეთის რაშმა და ყველას სასიამო ღიმი მწუხარე აზრით შეეცვალათ: „ვაი, თუ ეს მშვენიერი ვაჟკაცი ამ წყეულმა წაახდინოსო“...

მარეხი ხომ სულ დაიბნა და...

მეფე ნადირა და დიდი მეფე შეკრთნენ... ორივემ ერთად მახარეს შეჰხედეს... მახარე წარბშეუხრელი იდგა...

— უგულოვ, ჩრდილოეთის მეფეს გამოუგზავნია ეს რაში გასახედნად, რადგანაც იქ ვერ უშოვნია გამხედნავი... მეჯოგეთ-უხუცესმა გვითხრა: „თუ გაჰხედნის უგულოვო, თორემ სხვა არავინ მეგულებაო“...

მახარე დააცქერდა რაშს... დიდხან უცქერდა და შემდეგ მეფეს მიჰმართა:

— მეფევ, რისთვის ჰკისრულობ მაგის გახედნას?!. გაუგზავნე უკანვე და ამით გაათავე...

— იცი, უგულოვ, ცოტა სიჩუმის შემდეგ გულწრფელად გამოუტყდა მეფე ნადირა: მითვლის, წაჰჩურჩულა, თუ ვერ გაჰხედნი, შენი ცოლი, რომლის ქებაც მომივიდა, უნდა გამომიგზავნოვო“...

მახარე აწითლდა და ოდნავად მარეხს გადაჰხედა... გული აეწო...

— მეფევ, „ცდა ბედის მონახევრეაო“ ნათქვამია... მეც ვცდი... მარტო ეს ადგილი სრულებით შეუფერებელია გახედნისთვის... აქ ორღობეები ბევრია... ამისთანა რაშს თავისთავის დაშავებაც შეუძლიან და მხედრისაც... ორღობეების ბოლოში გაშლილი მინდორია... იქამდის ჩააყვანინე და იქ კი ვეცდები...

მეფემ მაშინვე განკარგულება მოახდინა, რაში ორღობეების ბოლოს კარგა მოშორებით ჩაეყვანათ...

მეფე ნადირას არ გამოეპარა მახარეს მარეხისკენ თვალის გადახრა, და გაიფიქრა. „ამასაც მარეხი ჩემი ცოლი ჰგონიაო“, როგორც ჩრდილოეთით მოსულებსაო... ჩაფიქრდა მეფე... მახარემ კიდევ გადაჰხედა მარეხს, რომელიც აღტაცებით შეჰსცქეროდა იმას, თვალი თვალს მოჰხვდა, ორივე აწითლდა, და ორივემ თავი დახარა...

„ნუ თუ ეთერმა მიცნოვო?!.“ შეეკითხა თავის თავს და შემდეგ იმისკენ სრულებით აღარ მიუხედნია და მხოლოდ რაშს-ღა ადევნებდა თვალს.

მარეხი კი გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდა... ვერ აეხსნა თავისი სიწითლე და მორცხვობა... ეხლა სულ მორიდებით-ღა შეჰხედავდა ხოლმე მახარეს, რომ იმას აღარ შეენიშნა ასე ცხადი აღტაცება...

მეფე ნადირა კი ცოტა ფიქრის შემდეგ გამოერკვა უეცრივ და კარგ გუნებაზე დადგა... ღიმილით გადაჰხედა მარეხს, მერე მახარეს და სრულიად კმაყოფილმა თავის გადაწყვეტილებით გასცა ბრძანება, რომ ცხენები მოერთმიათ ორღობის ბოლომდის, რადგანაც ფეხით ჩასვლა ტალახის გამო არ შეიძლებოდა...

ხალხმა რა გაიგო, რო ორღობების ბოლოში ლაიწყებოდა რაშის ხედვნა, მოსწყდა და ტალღასავით ყველაფერი წალეკა... ღობე, ყორე აღარად მიაჩნდა და ვიდრე რაშს ორღობის ბოლოში ჩაიყვანდნენ, ის უკვე იქ იყო გაფენილი და საცქერლად დამზადებული... კიდევაც ჰკვირობდა, რომ ასე დაუგვიანდა რაშს აქნობამდის ჩამოსელა...

რაში კი შიშითა და კანკალით, დიდის კრძალვით მოჰყვანდათ... მერერა ვიწრო ორღობე იყო!.. ჩრდილოელნი ფართო ველებს მიჩვეულნი ამ ვიწრო ორღობეში თითქმის რაშის წიხლის პირდაპირ დგებოდნენ...

რაშის გამოჩენამ ორღობეების ბოღიოს სიხარული და შიში გამოიწვია ხალხში. ერთმანეთს მიეჭუჭკა და ახლა მახარეს გამოჩენას გაფაციცებით ელოდა. აგერ გამოჩნდა ორივე მეფე და მარეხი ცხენებით... ცოტა ხნის შემდეგ მახარეც ცხენით გამოჩნდა, მეფეებს გვერდი აუქცია, ცხენი წინ გააქროლა და ხმა მაღლივ დაიძახა:

— მეფევ, უბრძანე რაში იქ მოიყვანონ, სადაც ცხენს შევაყენებ... მეფემაც მაშინვე განკარგულება მოახდინა...

მახარე კარგა შორს ტრიალ მინდორში შესდგა...

რაკი აღნიშნა ადგილი, სადაც უნდა მიეყვანათ რაში, უკანვე დაბრუნდა ისევე ცხენის ქროლვით... მიაჭენა ცხენი მეფესთან და უთხრა:

— მეფევ, ხალხი გააფრთხილე, შეიძლება რაში პირველში იმათკენ გამოქანდეს... არ ვიცი, რა მოხდება, რადგანაც გახედნის დროს რაში სრულებით თავისუფალი იქნება საბლისაგან... აი საბელი წელზე მაქვს შემორტყმული... მერე ვხმარობ საბელს და სხვა სამკაულებს...

მეფე გაკვირდა, მაგრამ არა უპასუხა-რა... განკარგულება კი მოახდინა...

მახარემ ეხლა-ღა შეჰხედა მარეხს... უნდოდა იმის სახე ჩარჩენოდა, რადგანაც ძალიან ძნელ საშიშო საქმეს კისრულობდა...

მართალია ეს ის ეთერი არ იყო, რომელიც იმის გულში იყო ამოჭრილი, მაგრამ მაინც ეთერი ეგონა, რომელიც...

გაბედულად რამდენიმე წამი უმზერდა, როდესაც მეფე ნადირა განკარგულებას აძლევდა... მარეხმაც თვალი აღარ მოაშორა... გული გამოენასკვა და თვალთ წამოჟონა...

მახარემ ეს შეჰნიშნა... სწრაფად ცხენი გაატრიალა და გაჰკურცხლა დანიშნულ ადგილისკენ... ეხლა, რაკი ქალის თვალში სინოტიე დაინახა, ცა ქუდად აღარ მიაჩნდა და დედამიწა კიდევ ქალამნად...

მარეხმა თვალი გააყოლა. წყვილი ცრემლი ყაწვებზე ჩამოუგორდა, და სული ყელში მოებჯინა... უნდოდა დაეყვირა:

„უგულოვ, შესდექ, ნუ ენდობი მაგ რაშს, თორემ გაგაფუჭებს!..“ მაგრამ ვერ მოახერხა... გული მოეკუმშა, პირველ წყვილ ცრემლს ნაკადული მოჰყვა, და სუნთქვა გაუძნელდა... მამამ შეჰნიშნა ეს და მზრუნველობით გამოჰკითხა, თუ რა ატირებდა...

მარეხი სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა, რადგანაც ცრემლი აღრჩობდა და უმწეოდ ხელს მახარისკენ იშვერდა... დიდი მეფე მიუხვდა და დაეკითხა:

— გგონია, გააფუჭებს?!.

თავი დაუქნია და ძლივას წამოისლოკინა „ჰო“!

— როგორც ეტყობა, ძლიერი ვაჟკაცია!.. ჩრდილოეთის რაში ვერ გააფუჭებს!.. ანუგეშა მამამ...

მარეხი, ცოტა არ იყოს, ანუგეშა ამ სიტყვებმა და დამშვიდებით წარმოსთქვა:

— ცოდოა მაგისთანა ვაჟკაცის გაფუჭება!..

(დასასრული იქნება შემდეგ ნომერში)



კ. გამსახურდია

ექზოტიური ნოველები

I საათები

საათზე უფრო ღრმა სვიმბოლო მე არ მეგულება!

თვალწინ მიდგას ღრმად მოხუცებულის დამჭკნარი სახე, მცხრალ მთვარესავით მრგვალი და პრტყელი, თვალებ ჩანისლული და თავდავიწყებაში მთვლემარე.

ნელა, ნელა ეპარება ამ სახეს ორი ვარდისფერი თითი პაწია შვილის-შვილისა, პაწია თითებს უცაცუნებს ბებიას სახეზე და ნაოჭს უსწორებს მოხუცებულს, თითები, პაწია თითები მიცოცავენ ბებრის სახეზე.

თვალწინ მიდგება: საათები, საათები, ეკლესიების გუმბათებზე, საათები დიდი ქალაქის მოედნებზე, საათები, ფართე, ღია თვალებიანი საათები, რკინის გზის სადგურებზე, როცა შუაღამისას ექსპრეს-მატარებლით მიჰქროლავხარ სივრცეში და ისინი ისე დაღვრემილად გამოიყურებიან, როგორც მიცვალებულის ღია დარჩენილი თვალები.

მიცვალებული დროის სარკე და თვალები.

ღია დარჩენილი თვალები მარადისობისა.

ჩემს ხანგრძლივ უძინარ ღამეებში მარტოობაში და უცხოობაში ისინი რეკავენ, რეკავენ თითქოს ვიღაცას ჩემთვის ძვირფასსა და საყვარელს მიასვენებენ, სადღაც ბნელ ქუჩებში, დიდი ქალაქის ბნელ ქუჩებში! დარეკავს ერთჯერ, ორჯერ, სამჯერ... აჟღარუნდება თორმეტჯერ და ყველანი ერთის ჯადოსნური დირიჟორის ჯოხის გაქნევაზე აჟღარუნდებიან მთელი მძინარე ქალაქის საათები და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ვიღაცეებმა თორმეტი ჩირაღდანი აანთეს, სანდლები ფეხზე წამოიცვეს, ჩირაღდნები აანთეს და ემზადებიან გასასვენებლად.

საათები ბინის კედლებზე, საათები მოედნებზე, საათები რკინის გზის სადგურებზე, საათები ეკლესიის გუმბათებზე და ტრიუმფალურ ჭიშკრებზე რეკავენ, რეკავენ და ზარითა და ზათქით მიასვენებენ მზე გადასულ დროს, რომელიც ყველაფერს გვართმევს, ყველაფერი თან მიაქვს, ყველაფერს თან წაიღებს, რაც აქამდის გვიგვრძვნია, ყველაფერს რაც გვინატრია და შეგვსრულებია, გვინატრია და არ აგვხდომია, ყველაფერს რაც გვყვარებია და შეგვძულებია, ჩვენს დიდ სიყვა-

რულსა და ჩვენს დიდ ნუგეშს, ჩვენს დიდ სიხარულსა და პატარა ბედნიერებას, ჩვენს დარდსა და ჩვენს გულის ჭირს, ჩვენს ღიმილსა და ჩვენს ცრემლებს; ყველაფერს, ყველაფერს თან წაიღებენ საათები, საათები ჩვენი ბინის კედლებზე, საათები ქალაქის მოედნებზე, საათები რკინის გზის სადგურებზე, საათები ტრიუმფალურ ჭიშკრებზე.

II ტელეფონში

ზამთრის ღამეში მომიხდა ბერლინში დაბრუნდება... ჩემს ქურქში გახვეული ვიჯექ ტაქსომეტრში და ფანჯრიდან გავყურებდი დაცარიელებულ ქუჩებს, სახლების სახურავებიდან გველივით ჩამოკიდებულ წყლის ღარებიდან გრძელი, გრძელი კრისტალის შანდლებივით ბრჭყვიალებდა ყინული, ელექტრონის ფანრების დასრულებულ ღარს ქვეშ მიჩაქჩაქებს დროშკის ცხენი—უზარმაზარი ქალაქი, მკვდარი ქალაქი დაფიქრებული, მოღუშული მეგებება, დაღვრემილი, დაბნელებული ფართე ფანჯრები ისე შემომცქერიან, როგორც მკვდარი დევების გამოღამებული თვალები, ყინულით შესუდრული დათოვლილი სახურავებიანი ქალაქი თეთრი კარტონის ქალაქსა ჰგავს, ჰაუ ყველაფერი გაყინულა, გაცივებულა! ისეთი გრძნობა მაქვს თითქოს ამ ქალაქზე რომ ზღაპრულმა რუხვმა ფრინველმა გადაიაროს და სახურავებზე გადაუსვას თავისი ბასრი ფრთები, მთელი ქალაქი დაიმსხვრევა, ნანგრევებად იქცევა ეს უშველებელი დიდი ცივილიზაცია მრავალ ათას თაობათა შრომითა და ოფლით მონაგვარი, ერთ წამში ფხვიერად იქცევა. ფიზიკურად და სულიერად გაყინული გამოვედი დროშკიდან, მივარდი ჩემი ძველი ბინის წინ ჩამოკიდებულ ზარის ტარს და მაგრად, მაგრად ჩამოვსწიე, სულაც არ გამხსენებია, რომ იმ სახლში ფარდები ჩამოშვებული იყო და ყველას ეძინა, კიდევ დავრეკე. ჩამი-ჩუმი არ ისმის.

ხომ არ დახოცილან ამ სახლში მცხოვრებლები! ერთ წამში კარი გაიღო ავტომატიურად და შევედი. ჩემი სტუდენტობის დროის ბინა ნაცნობი სურათებით და კედლის ნოხებით. როგორ მინდოდა მოხუც დიასახლისს მაინც გამოეხედნა და მოეთხრო თუ რა მოჰხდა ჩემს შემდეგ ან ქალაქში, ან ჩვენ ძველ ნაცნობებს შორის. სად არიან ჩემი მეგობრები, სტუდენტობის დროის ამხანაგები, ნეტავ წავიდნენ აქედან თუ ბერლინში დარჩნენ. ხომ კარგად არიან?

ერთ წამს თვალი მოხვდა კედელზე ჩემი ნორვეგიელ მეგობრის, იოჰანესის სურსათს.

როგორ მოღუშული შემომჩერებოდა იგი თავის განიერ და ძირს ჩამოფხატულ წარბებიდან.

ნორვეგიის ყინულიანი მთების ქარი ჰქრის ამ წარბებიდან.

თითქოს ეს სურათი ძლიერ გამოცვლილა. უნებურად ავდექი და ტელეფონის ოთახისაკენ გავეჩქარე.

„ცენტრი“ ჩამძახა მექანიკურად ვიღაცამ ყურში.

„თოთხმეტი,— ორმოცდახუთი“.

მაგრად მივიდევი ყურზე ტელეფონის საყვირი.

აჩქარებული ზუილი და დრო გამოშვებითი ხრიალი მოდიოდა შორით, შორით, ერთ წამში ასე მეგონა, რომ ეს ხმა დაულეველ სივრციდან მოდიოდა და ეს ტელეფონის საყვირი ერთ დიდსა და ვრცელს, ცარიელ ქვეყანასთან მაერთებდა, უსმენდი და ტანში ცივი, უსიამოვნო ჟრუანტელი მივლიდა.

ჩუ, ვიღაცამ ხელში აიღო მეორე საყვირი და ის ახსენა, ჩემი მეგობარი!

ეს სიტყვა ისე ცივად, ისე ყრუდ ითქვა და იგი შორიდან, შორიდან გამოძახილად მოვიდა ჩემთან დაბეჟილი, გულგაცრუებული და უიმედო ფრთების ფარფატით, თითქოს რამოდენიმე წლის წინად გამოსულა ეს სიტყვა ჩემი მეგობრის პირიდან და ახლა მოაღწია მან ჩემს ყურამდის.

— იოჰენეს შენა ხარ? როგორა ხარ, რას შობი? მივაყარე მე კითხვები ერთი მეორეზე.

— გმადლობ, ვარ ასე, როგორ ვიქნები...

შენ გახსოვს ალბად როგორის იმედებით წავედი მე სამშობლოში ორი წლის წინად, როგორც კი ჩემი სადოქტორო სამუშავო დავამთავრე. ჩემი ინდენტიურობის თეორია მე უფრო გავავითარე, ამაზე დიდი პოლემიკა მქონდა კოპენჰაგენისა და ქრისტიანიის ჟურნალებში.

ის გაჩუმდა... ისევ ტრიალი და მომაკვდავი კაცებისებური ხროტინი ისმის ტელეფონიდან.

— იოჰანეს, ჰალო, იოჰანეს...

— აქა ვარ.

— მერე?

— მერე და შენ გახსოვს მესამე დიმენსიის გამოძებნას ვაპირობდი. მთელი ღამეები, მთელი თვეები ვმუშაობდი... ეს მუშაობა ცოტახნით შემაწყვეტია ცოლის შერთვამ.

— რაო, ცოლი შეირთე, ინგობორე? შევეკითხე მე.

— არა იმას აგნესა ერქვა, კოპენჰაგენის ოპერის მომღერალი. ერთი ზამთარი ნორვეგიაში გავატარეთ... მე ამ ხანებში ჩემი თავის ტკივილი მომიბრუნდა... აგნესს მოეწყინა ჩემთან. ამასობაში ერთი ჩემი კოპენჰაგენელი სტუდენტობის ამხანაგი მეწვია, შენ იცნობ მას. ის ცნობილი ანდერსენის ზღაპრების დეკლამატორი იყო, ვინმე ზილბერშტაინი, ტომით ებრაელი. მთელი ღამეები, როცა მე ავად ვიყავი, იგი ჩემ ცოლს ბუხრის წინ უამბობდა ანდერსენის ზღაპრებს.

აქ მე გავიგონე, რომ მან ხმელად დაახველა.

მერე ეს ზღაპრები ისე გათავდა, როგორც ყოველი ცხოვრების ზღაპარი თავდება ხოლმე. ერთხელ ჩემი ცოლი წაიყვანა მან ყინულზე სასეირნოდ მახლობელ ტბაზე და მესამე დღეს გავიგე, რომ აგნენს მე აღარ ვუნდოდი, კოპენჰაგენიდან მომწერა გამოსათხოვარი წერილი. რამოდენიმე თვე დავრჩი ხქ. თავის ტკივილებმა მიმატეს, საშინელი ბნელი და მარტოხელა ღამეები. ყურის ხშუილმა მიმატა, თავ-ბრუ მეხვეოდა, და როცა დავდიოდი ჩემს ფეხს ქვეშ ყველაფერი ირყეოდა, ინგრეოდა, მუდამ მიწის ძვრებს ვგრძნობდი. ჩემს თავში დიდი და საშინელი ბუნების კატასტროფები მოხდა იმ ღამეებში. ისეთი გრგვინვა მესმოდა მახლობელ მთებიდან თითქოს ნორვეგიის მთები მიწის ძვრებია და მეწყერებს გაელეწნათ. მთები, ჩემი მთები მელანდებოდა. დაჩეხილ, სახურავებიდან გადმონიჩბულ თოვლივით ეყარა მიწაზე. შენ გახსოვს, მე და შენ რო შვეიცარიაში გავემგზავრეთ ფეხით, როგორი უშიშარი ვიყავი.

იმ ხანებში კი, კიბეზე რო ჩამოვდიოდი შიშით მისქდებოდა გული, რომ კიბე არ ჩამონგრეულიყო. სახლიდან გამოსვლას ველარ ვბედავდი და მთელი დაულეველი, გაუთენელი ღამეები მოველოდი, რომ სივრცეში ყველაფერი აფეთქდებოდა და მატერია ქაოსად იქცეოდა.

მე თვითონ ვგრძნობდი, რომ სივრცის ავადმყოფობა შერეოდა, დაღუპვის უფსკრულისაკენ მიმაქროლებდა რაღაც საშინელი და ვუცდიდი, სულ უცდიდი, რომ რაღაცა ჯერ არ მომხდარი უნდა მომხდარიყო.

ეს მოხდა კიდევაც ერთ დღეს, მე მზეზე გამოვედი, როცა ცოტა დათბა მთებში. ნაშუადღევს ჩვეულებრივად სავარძელში ვიჯექი. შუშაბანდიდან შევამჩნიე ეზოში მარხილით შემოვიდა ვილაც შავტანისამოსიანი ქალი. ამოირბინა კიბეზე, თოვლი დაიფერთხა და დარეკა, მე ზარის ხმაზე მიწივლეს ყურებმა, მივვარდი კარებს და იცი ვინ შემოვიდა, ინგებორი მოვიდა ჩემთან და თავისი გრძელი, რბილი თეთრი ხელები გამომიწოდა და შუბლზე მაკოცა.

აქ იგი გაჩუმდა და ამოიოხრა, მისი ოხვრა ერთბაშად აირია ტელეფონის საყვირიდან, სტვენით მომქშინავ მარადისობისა და ღამის მძიმე სუნთქვასთან კიდევ მოისმა მძიმე, მძიმე ხროტინი და მონოტონური ტაკა-ტუკი...

შენ იცი, განაგრძო მან, მე ბუნების შეტყველობამ, ინდენტივიტეტის თეორიამ, ნიუტონმა და ლაუაზიემ კანტთან მიმიყვანა, კანტიდან ხომ დიდი მანძილია წმინდა ფრანჩისკო ასისელამდის, ან თუ გინდა შვედენ-ბორგამდის, ან მაისტერ ეკარტამდის.

ამ გზამ მისტიციზმამდის მიმიყვანა სულითა და ხორცით დაუძლურებული, მაგრამ ახლაც არ ვნანობ ამას, მე მისტიციზმის მერყევ ნიადაგზედაც თავს ვიმაგრებ... მე აქ შევაჩერე და ვთხოვე ინგებორგეზე განეგრძო.

— ჰო, და ერთხელ ვთხოვე ინგებორგს, რომ ბოლო მოეღო ჩემ ტკივილებისათვის. მან სავარძელიდან ბავშვივით ამიყვანა, მოიტანა უშველებელი ცივი ქვა და თავი დამიმსხვრია. იცი რა ვნახე, ჩემი ტვინის უჯრედები სულ გამოღრღნილი ყოფილა. ეს იყო დიდი ნათელ-ხილვა და სასწაული. მთელი თავის ქალა გამსჭვარტლული იყო თუთუნის ნეკოტინით, დიდი ქალაქის ქარხნების ოხშივარითა და მტვერით; აქ ყოფილან ნამცეცები ასფალტის, რკინის, ფოლადის, ბრინჯაოს, საფირონის, მარმალილოს, ქაღალდების, გაზეთების, წიგნების, ტრანსცენდენტალური თეორიების, კანტის, ლაპლასის, ლოუაზიეს,—აზიის, აფრიკის, მთელი ჩვენი ცარიელი ცივილიზაციის და დამპალი კულტურის...

და შიგ შუაგულში, შენ არც კი დაიჯერებ, პატარა დაღმეჭილი, გაყინული, დაკოჟრებული გული იყო, ჩემი დაუნდობელი აგნესის გული; მე ავიღე ხელში ეს ცივი მეტეორის ქვასავით გაყინული გული, რომელიც მაშინ ჩავარდნილა ჩემ თავში, როცა იგი ცეცხლ მოკიდებული იყო, მოლაპლაპე და აღზნებული, როგორიც იყო აგნესი იმ ღამეს კოპენჰაგენის ოპერაში რო ვნახე, „ჰოფმანის ზღაპრებში“.

მე ვთხოვე და ჩემმა ინგობორემ ეს უსიყვარულო გული ფეხით გასრისა, თავის კოხტა ფეხით გასრისა, გასრისა...

მას უნდოდა რაღაც ეთქვა კიდევ, მაგრამ მე გავაწყვეტინე: „ახლა როგორ გრძნობ თავს იოჰანესს... სიჩუმე.

ჰალლო, იოჰანესს, იოჰანეს.

მე მაგრად მივიკარი ყურზე ტელეფონის საყვირი, მაგრამ იგი სდუმდა, მხოლოდ მესმოდა ტელეფონის დაუცხრომელი ზუზუნი, ცივი, ბნელი, მუნჯი ღამე მეპუტუნებოდა ყურში რაღაც საშინელსა და გაუგონელს.

III პორცელანი

ჩვენ მჯუნჰენში გავიცანით ერთმანეთი, ერთ ხელოვანთა მასკარადში.

ჩემი ნიღაბი იყო, მეფე სილენი.

მისი—ნიმფა კალიპსო.

ორივენი ერთ შეზგონში ჩავჯექით, როცა უკანასკნელი „პოლონეზი“ გათავდა.

უნებურად ჩემი მუხლის თავი მისსას მოხვდა. ეს იყო ჩვენი მასლაათის შესავალი.

— „პარდონ მადამ“ წავიჩურჩულე.

— „ჟე ნე სუჯ პა მადამ“. იყო პასუხი.

— ნეტავ ვიცოდე თქვენ როგორი ჰხართ სინამდვილეში?

— მე? მე მუდამ ერთი და იგივე, როგორიც სიზმარში, ან თუ გინდათ ნიღაბოსანთა საღამოზე.

— არა სერიოზულად, მე მაინტერესებს თქვენ როგორი სახე გაქვთ, როგორი თმა?

მე გავჩუმდი.

— თქვენ ისეთი ხმა გაქვთ, რომ მთიული უნდა იყოთ.

— როგორ თუ მთიული?

— მთიული კაცი, მთიდან ჩამოსული.

— ეგ სწორია, მაგრამ როგორ შემატყვეთ?

— მე ვფიქრობ ეს ადვილია, თქვენ ფოლადისებური ხმა გაქვთ. თქვენი წინაპრები ალბად ტივებით ეზიდებოდნენ შეშას მთიდან, ან არა და ჯიხვებზე ნადირობდნენ.

ცნობილია, რომ მენავეებისა და მონადირეების მოდგმას ხმა მაღალი ლაპარაკი სჩვევია.

პაუზა.

მას ცალი ხალი მუხლზე უდევს, მეორეს შეზგონის ხავერდს უსობს.

— არა მართლა მითხარით, როგორი თმა გაქვთ, შავი?

— ჰო ჩემი თმა შავია, როგორც საქართველოს უმთვარო ღამე.

მას რაღაც უნდოდა ეკითხა, მაგრამ მე შევაწყვეტინე.

— ჰო უკაცრავად...

— რა ძნელია, რომ კაცს მასკარადშიაც არ დაავიწყდება ზრდილობა.

თქვით, რა გინდოდათ გეთქვათ.

— არა თქვენ ბრძანეთ.

— ახლა მე არაფერს ვიტყვი სანამ თქვენ...

— ჰო მე ის მინდოდა მეთქვა, მე ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ თქვენ დანიშნული ან გათხოვილი უნდა იყოთ.

— რატომ? ნუ თუ ასე ხნიერი ვჩანვარ.

— არა, ნიღაბების საღამოზე ნათქვამი უკულმა უნდა გაიგოს კაცმა საერთოდ, ქალის ნათქვამიც ხომ ხშირად...

იგი გაჩუმდა, ნიღაბი გაისწორა.

მე დაუჭირე ცალი ხელი, მაგრად მოუჭირე ხელები ხელზე:

— „ახლა უნდა მითხრათ თქვენი ნამდვილი გვარი, საცაა თქვენი კავალერი მოვა.

მან გადაიხარხარა. — თქვენ დიდი თავხედი ვინმე ხართ.

რა ბავშვური სიცილი იცის, ვფიქრობ.

— ბარონესსე ფონ შტაინ.

მე მინდოდა მისამართიც მეკითხა, მაგრამ გავჩუმდი.

— არა გატყუებთ. ეს ჩემი ქალიშვილობის გვარია. მე გათხოვილი ვარ ბარონ რასტრუპზე.

— თქვენ, თუ არ ვცდები ხელოვანი უნდა იყოთ. მხატვარი?..

— არა.

— მუსიკოსი?

— არც ეგ.

— მაშ?

— მე კაცმა რო თქვას, წმინდა ხელოვანი არა ვარ. მე ვხატავ პორცელანის ჭურჭლის დეკორაციის ნიმუშებს, ეგ დარგი მე პრაქტიკულის მოსაზრებით არ ამირჩევია.

— რა უყოთ. ინტენსიური ხელოსნობაც ხელოვნურ გულის-დადებას ჰგულისხმობ.

პაუზა.—თქვენ რაზე გაჩუმდით?

— მე ვფიქრობ, რომ ხელოვანი ქალი არ უნდა გათხოვდეს.

— რატომ.

— ისე.

— წინააღმდეგ, მე გათხოვების შემდეგ დავიწყე ხატვა.

— როგორ თუ გათხოვების...

— თუმცა მე გათხოვებამდისაც ვიტანჯებოდი მოზღვავებული ფანტაზიის სიჭარბით, მაგრამ ხელოვნების ვერც ერთ დარგში ვერ მოვეწყვე, რადგან მეგონა, რომ როგორც სიტყვითი, ისე ფერადებითი, ისე ტონალი ხელოვნება ვერ იძლევიან ისეთ ფაქიზსა და რხეულ ნაკუანსებს...

საერთოდ მე ვფიქრობ, რომ ხელოვნება დღესაც ბანალურ რაციონალიზმში იხრჩობა.

— მერე გათხოვება აქ რა შუაშია.

— აი გეტყვით. მე ბარონ როსტრუპი მიტომაც შემიყვარდა, რომ ის უფანტაზიო კაცია. იმ ხანებში იგი ბაქტერიელოგიით იყო გატაცებული. ერთხელ შინ მარტოყოფის დროს მეც ავიღე ხელში მისი მიკროსკოპი. ნამდვილი სინამდვილე მაშინ ვნახე, სულ სხვა ფერადი, სულ სხვა ხაზმოსმა, ვიდრე ის სინამდვილე, რომელსაც ჩვენ შეუიარაღებული თვალით ვხედავთ.

მაშასადამე, ვიფიქრე მე, ჩვენი სინამდვილე მტკნარი სიცრუე ყოფილა. კიდევ ყოფილა მეორე სინამდვილე.

ხელოვნება კი მესამე სინამდვილეა მხატვრის მიკროსკოპში დანახული, ამ შეგნებამდის მე ამ ათიოდე წლის წინად მივედი და ირაციონალის ფერების შეხამება დავიწყე. მაშინ სად იყვნენ კუბისტ ფუტურისტები ჩვენში. მე მათდა დამოუკიდებლად მივაგენი ირაციონალ ექსპრესიონიზმს. სულ მიკროსკოპის წყალობით.

იგი გაჩუმდა. ჩემ გულში ახალი ჭეშმარიტება ჩაეწვეთა, მე იმაზე ვფიქრობდი.

— თქვენ როგორც თქვით აღმოსავლეთიდან ყოფილხართ.

— დიახ.

— აღმოსავლეთი ჩემი ოცნების ქვეყანაა. მე სულ ინდოეთის, იაპონიისა და ჩინეთის ფერები მელანდება, ჩვენი ცა, ჩვენი ზღვა, ჩვენი ცის დისკა, ფრიად ღარიბია ფერადებით... ყველაზე უფრო დასავლეთ ევროპის ღრუბლები ღარიბების ბალში გაფენილ მჩვრებსავით წვირიანი და დაგლეჯილი. მე იაპონიის და ჩინეთის მხატვრობა მიყვარს. ისინი არასოდეს არ ჰხატავენ ჩიტს, ისე როგორც ეს ბუნებაშია, არამედ ჩიტს მუდამ ტრანზიტორულ მომენტში დახატულს.

საერთოდ ჩვენი ევროპიული რეალიზმი და ნატურალიზმი მძაგს, ბანალური რეალიზმი.

იგი გაჩუმდა.

გენატრებათ აღმოსავლეთი?

— მე აღმოსავლეთში უნდა დავბადებულიყავი.

უნებურად მომაგონდა ჰაინეს ნაძვის ხე, მთის კორტოხზე რო დგას და მზისაგან გაბრწყინვებულ ბზაზე ოცნებობს.

რა ძლიერია პოლარულ უკიდურესობათა ლტოლვა საგნებში!

ჩრდილოეთში დაბადებული ქალი სამხრეთზე ოცნებობს!..

— ქორწინებას მრავალ უბედურებათა შორის, ხშირად კარგი მხარეებიც აქვს. ჩემმა მეუღლემ თავის მიკროსკოპით მთელი ახალი ქვეყანა აღმომაჩენია, მთელი ახალი ქვეყანა ხელოვნებისა. ამბობდა მადამ როსტრუპი.

— სამაგიეროდ ჩემმა ირაციონალ ფერადებმა მას აღმოსავლეთის სული და კულტურა შეაყვარა. მისი ლექტიურებია ახლა: უპანიშადები ლაოტზე და იაპონური მითოლოგია.

მადამ როსტრუპს ხშირად ვხვდებოდი სპირიტისტულ საღამოებზე, თეატრში და ლიტერატურულ სალონებში, მალე დავრწმუნდით, რომ ჩვენი დამოკიდებულება ისე სათუთი გახდა, რომ მრავალთა შორის ყოფნა ჩვენ აღარ შეგვეძლო. უნდა მოგვეძებნა სადმე „კუნჭული", სადაც მარტო ვიქნებოდით.

ჩემს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა მან წინადადება მომცა, რომ მომავალ შაბათ საღამოს მათსას წამოვსულიყავ საღამოს ჩაიზე.

— ჩემი ქმარი, ამბობდა მადამ როსტრუპი, ისეთი გატაცებული ორიენტალისტია, რომ მას დიდად დააინტერესებს თქვენი აზრები, საერთოდ იგი სულიერად აღმოსავლეთში ცხოვრობს.

მერე დაიწყო მშვენიერი საღამოები ბარონ როსტრუპის ოჯახში...

ძველი ტრადიციული გერმანელი ბარონის ოჯახი, რომელიც თავის დეკადანსის მწუხრში წმინდა ხელოვნების იდეალებითა და არისტოკრატიული ესტეთიციზმით იკვებება.

დეკადანსი, ვამბობ, რადგანაც როსტრუპის ოჯახი, როგორც მადამ როსტრუპის სამაჯურ-სამკაულებზე შევატყვე, ვალებში იყო ჩაფლული.

ყოველ შაბათ საღამოს შავ მაჰაგონის მრგვალ მაგიდას გარს უსხედით ჩვენ სამნი: მადამ როსტრუპი, ბარონ როსტრუპი და მე, ნარინჯის ფრად შეღებილ ოთახის კედლებიდან გადმოქვცქეროდნენ მეჩვიდმეტე საუკუნის მხატვართა სურათები, ბერები—ჟინჟღილივით ანთებულ ვავსილ სახეებით და გაბრწყინვებული თვალებით—იღებენ ხელში მაღალ ფეხიან წკრიალა პოკალებს, რომელშიაც ოქროვანი ღვინო კიაფობს. იქვე მთელი პლეიადა „ალა პამპადურ“ ჩაცმული ქალებისა, ლუდოვიკო მზეთა მეფის სასახლის ამალიდან. როკოკო ტანისამოსი, რაინდები მოკლე შპაგებით და მაღალ ყურებამდის აკეცილ საყელოებით, მწევრები ამოკეცილ კუდებით და გრძელი ბანჯგვლიანი, პარტყუნა ყურებით. მერე მთელი რიგი ჰოლანდიელ „შტილ ლებენის“ მხატვრების დახოცილი იხვები, ბატები, დაკლული ნადირი. დახლეჩილი ბროწეულები, ჩვენ სამნი კი ვისხედით მწვანე აბაჟურიან ელექტრონის ლამპის ქვეშ, რომელიც ზედ ჩვენ თავზე იყო დაკიდებული, როგორც ბედუინის ოჯახი უდაბნოს ოაზისში პალმის ქვეშ, და ჩინურ ჩაის შევექცეოდით.

ერთად ერთი ნივთი, რომელიც ბარონ როსტრუპის აღმოსავლეთის სიყვარულს და აღმოსავლეთურ გემოვნებას ჰმოწმობდა, ეს იყო პორცელანის ჭურჭელი, ჩაის ჭურჭელი, რომელიც ოჯახის დიასახლისის დიდ-დედის ნამზითვარი ყოფილა. მთელ 3 თაოაბს უსვამს ამ საოცრად მოხატულ თასებიდან სურნელოვანი ჩაი, და ეს თასები უცხოდ მოხატული პეპლებით, ყვავილებით, ზღვის ღინჭილებით, მშვენიერი ჩინელი ქალების გრძელი მარაოსებურ წამწამებით რაღაც განუსაზღვრელი სიყვარულის საგანი იყო ამ ოჯახში. მე ვერ წარმომიდგენია თუ ადამიანის სიყვარული მკვდარ უაპასაკო საგნისადმი უფრო ნაზი იქნება! ვინაიდან ბარონ როსტრუპის მთავარი დებულება იყო: ახალგაზდობა ცუდი აღზრდით ფუჭდება, კარგი სურათები უგემურ მიშტერებით, კარგი ჩაი ცუდი ჭურჭელით.

როგორ უყვარდა ჩაი ბარონ როსტრუპს!

მას სპეციალურად შეუსწავლია ჩაის მოყვანის საქმე ჩინეთში. მე მგონია, რომ ყოველი ერი, და ყოველი პიროვნება ყოველდღიურ წვრილმალებშიაც ისე რელიეფურად აჩენს თავის სულიერ სახეს, როგორც თავის ფილოსოფიისა და მწერლობის უმნიშვნელოვანესს აქტებში. ცხოვრება სხვა რაღაა, თუ არა და საგნებისადმი დამოკიდებულების გამოჩენა და გამომჟღავნება, ადამიანიც წვრილმალში იჩენს თავის ხასიათს, რადგანაც დიდ საქმეში მას არაფრის დამალვა არ შეუძლია.

ბარონ როსტრუპი კარგად იცნობს ჩაის კულტურას ჩინეთის ტანგ, სუნ და მინგ დინასტიის დროს, მთელ ბოტანიკას ჩაიზე დამყარებულს.

„ჩაის ათასნაირი პირდაპირი და სვიმბოლიურ რელიგიური დანიშნულება აქვს ჩინეთში, დაიწყო ბარონ როსტრუპმა. ტაოისტების აზრით ჩაი უკვდავების ერთი მთავარ ელემენტთაგანია.

მადამ როსტრუპმა სახურავი აჰხადა ჩაიდანს. მე ახლად დამდგარ ჩაის სურნელება მეცა სახეში, თვალი დავხუჭე. მესმის თუ როგორ ჩხრიალით ივსება მადამ როსტრუპის მშვენიერი პორცელანის თასები სურნელოვანი ჩაით.

— ბუდისტებისთვის ჩაი მათრობელი საშუალებაა მათი მედიტაციის დროს, განაგრძო ბარონ როსტრუპმა. სამხრეთ ჩინეთის დინასტიის პოეტების ფრანგმენდები მინახავს, სადაც ჩაის დითირამბებს უმღერიან.

ჩაის ნეფრიტის ლივლივა წვენს ეძახის ერთი პოეტი. პარველი ჩაის მადიდებელი მოციქული ლუ ჲუ, იგი მერვე საუკუნეში ცხოვრობდა, თავის ცნობილ თხზულებაში „წმინდა წიგნი ჩაისათვის“ იგი ბუდიზმისა და ტაოიზმის სინტეზებს გვაძლევს.

დღესაც ჩინელ ჩაის ვაჭრებს პოეტი ლუ ჲუ თავის მთავარ კერპადა ჰყავთ აღიარებული...

მე ვაშტერდები მადამ როსტრუპის წინ მდგარ თასს, იგი ყვავილის ყელივით ნაზია და სიფრიფანა! ვანსაკუთრებით ის თასი მიყვარს, მადამ როსტრუპის ტუჩები რო ეხება ყოველ საღამოს. ჰოი საკვირველებავ, რომ ისეთი ადამიანებიც შოიპოვებიან, რომელთაც მატერიაში სულის ჩარგვაც ეხერხებათ!

ერთ საღამოს როსტრუპისას სხვა სტუმრებიც იყვნენ სასადილო ოთახში. მაჰაგონის სუფრაზე ახალი ჩაის ჭურჭელი ელაგა. საუბარი პოლიტიკურ თემებზე იყო, მე სულ გაჩუმებული ვიყავი, რადგან ისეთი საგნების შესახებ იყო ლაპარაკი, რომელიც ჩემ გულს არაფერს ეუბნებოდნენ. მე ვსდუმდი. აღარ მესმოდა თხელი, ბუმბულივით მსუბუქი ჩაის სერვიზის ხმა, ნაზი და ჰაერვანი ხმა ძველი, ძველი ჩინური კულტურისა. მის ნაცვლად სუფრაზე ვხედავდი ტლანქ, უხეშ, ევროპიულ ფაბრიკაციის ჩაის ჭურჭელს.

— ომმა ცხოვრება გააძვირა „მონ ბერ ამი“, ცხოვრება შეუძლებელი გახდა, ჩვენსას ერთი ამერიკელი ჟურნალისტი იყო, იმან დიდი ფული შემომთავაზა ჩვენ პორცელანში ნიუ-იორკის ერთ მუზეუმისთვის და მეტი გზა არ იყო უნდა გაგვეყიდა... მითხრა ბარონმა, როცა დამიმარტოხელა სალონში...

უნდა გაგვეყიდა!

როცა ამას მიამბობდა ბარონ როსტრუპი, მე ვხედავდი თუ როგორ გაულურჯდა მას ტუჩის კუთხეები. ყველაფერი ეს ისეთის კილოთი და ნაღვლიანი თვალებით მიამბო, თითქოს ვიღაც გარდაცვლილიყო ოჯახში. ღამე შინ რო ვბრუნდებოდი, გულზე ლოდივით მაწვა ორიოდე საათის წინ გაგონილი ამბავი.

მშვიდობით, მშვენიერო საღამოებო ბარონ როსტრუპის ოჯახში, მშვიდობით ჰაეროვანო ჩაის ჭურჭელო!

— შენც ფეხი შესდგი, მეგობარო, უკულტურობის მოლიპულ გზაზე, ქალალდის ნაგლეჯებით მოფენილ გზაზე. შენც...

რამდენი სიყვარული, რამდენი ცდა და ჯაფა მოუნდებოდა იმ მშვიდობიანობის მოყვარულ ჩინელს ამ ოთხიოდე საუკუნის წინად შენი პორცელანის ფორმებისა და ფერადების მოსაგონებლად.

მერე რამდენი სიყვარული მოიმკო მისმა ქმნილებამ შენი ცოლის წინაპრებისა და შენს ოჯახში, რამდენი სულიერი სიკეთე და მუუდრო სიყვარული უნდა გამოეჩინა შენ მახლობელთა ხელებს, რომ ამ პორცელანის სათუთი რხეული ყუნწების მსგავსი ხელ საკიდი არ დაემსხვრიათ...

და შენ ერთ წამში ხელიდან გააგდე ეს ძვირფასი საუნჯე, რომელიც მთელი რასის, მთელი ეპოქის სულიერ სიმდიდრის ჭურჭელიც იყო.

ამის შემდეგ მე ბარონ როსტრუპისას ფეხი არ დამიდგამს.

სად არის ნეტავ ბარონ როსტრუპის პორცელანი, ვფიქრობ ხან და ხან... ეგებ ნიუ-იორკის რომელიმე მუზეუმში.

ჰმ მუზეუმი!

მუზეუმი სხვა რაღაა თუ არა და უშველებელი სასაფლაო, სადაც ყოველი ერი, ყოველი რასა, თავის გრძნობებს ჰმარხავს... დიდი საფლავი მიცვალებულ გრძნობათა და დრო მოჭმულ ფერადებისა და რითმებისა...

ბარონ როსტრუპის მშვენიერი პორცელანიც ალბად ასეთ ადგილას ასაფლავია სადმე...

IV შეხვედრა

საღამოს ბინდისას ქალაქიდან გავედი.

ამოვისუნთქვო, მოვისვენო. გადავიჩრდილო ამ საშინელ სიცხეებში.

ქალაქს გარედ პარკებს მდებარე გავცილდი. იწყება მუხნარი. აქ იწყება მაღლობი, ვატყობ ფერდობზე მივდივარ, მაგრამ ფეხს უჩქარი, მივდივარ ნახევრად ბნელში. სულ წინ, სულ ზევით, არც თუ ანგარიშს ვაძლევ ჩემ თავს, საითკენ, სად?

საკვირველია სწორედ, როცა არავინ გვიჩქარის, როცა არავითარი საქმე არა გვაქვს, არც არავითარი განსაკუთრებული მიზანი, მაშინ მაინც სად მივიჩქარით, სად მიგვისწრაფის სული? როცა ჩვენ გვგონია ვისვენებთ, როცა ჩვენ გვგონია თავისუფლად ვსუნთქავთ და ბოლთას ვცემთ, მაშინაც ვიღაც კოფოზე გვაზის და სადღაც მიგვაჩქარებს.

დაბნელდა თითქმის, გაშავდნენ ხის სილუეტები, გაირუჯა ტოტების მწვანე.

მივალ გორაკის ფერდობზე, რომლის გადაღმა ცეცხლივით მოლაპლაპე ცისკიდური მოსჩანს, ქარხნის საყვირების მთელი ტყის გადაღმა, იგი უფრო მეტი სინათლეა, იქ კუნძზე ჩამოვჯდები და დავისვენებ, ვფიქრობ... ტყეში სიჩუმეა, მხოლოდ ორიოდე ღობე-მძვრალა უძახის ბნელაში ერთი მეორეს. ტყეში ჩამი-ჩუმი არ ისმის. აქა-იქ თეთრად ელავს ქალის თეთრი ტანისამოსი, მერე მოისმის მძიმე ფეხის ხმა და მხმარი შტოების მტვრევა და ტკრციალი, თეთრ სილუეტს ვიღაც თალხიანი მისდევს. ისევ იკარგება ორივე ტყის სიღრმეში, ისევ აყუდროებს და ორი ღობე-მძვრალა უძახის ერთი მეორეს.

კიდევ გაიელვა რაღაცამ, კიდევ ერთი თეთრი და ერთიც თალხი სილუეტი, ეს ქალაქიდან ტყეში შემოხიზნული შეყვარებული წყვილებია, ზღაპრულ ადამ და ევასავით ხეთა ჩრდილში რო იფარავენ თავს სირცხვილისაგან... შრიალი, შუშუნი, ტკრციალი, უჰუ, უჰუ, უჰუ, უძახიან ერთი მეორეს... გუგულია თუ ადამიანი? ადამიანი ადამიანს ეძებს ტყეში. მე კი არავის ვეძებ, არავინ მეძებს. წიპ-წიპ, წიპ-წიპ... იძახის ბნელში ღობე-მძვრალა. მე მარტო ვარ ჩემ ფიქრებში, მე მარტო მივდივარ ჩემ ბნელ გზაზე.

უახლოვდები მაღლობის კორტოხს. ერთ ხის ქვეშ რაღაც შავი მოსჩანს, ერთ პატარა ხის ძირას. უჩქარი ნაბიჯს, ვიღაცა დგას ხის ქვეშ, ვიღაც დგას ხის ქვეშ და არ ინძრევა. პირი ჩემსკენ უნდა ჰქონდეს შექცეული, კიდევ ერთი ნაბიჯი წინ, ასე მგონია ეს კაცი გორაკის კორტოხზე რო დგას, დგას იქ ბნელში და მე მიცდის, რად მიცდის ეს კაცი, რა უნდა, ვინაა? ეგებ წაცნობი ვგონივარ, უნდა მომიცადოს და თავისი გულის ჭირი გამანდოს აქ ღამე ბნელ ტყეში. ეგებ მავნე და მტერია, ტყეში რო მიცდის, ტყეში რო მიდარაჯებს. სულ რამოდენიმე ნაბიჯი დამრჩა, ახლა კი ვხედავ, რომ კაცია. კაცი სდგას, თავჩაქინდრული.

ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ის კაცი ფეხის ცერებზე დგას და ძირს თავის ფეხთან რაღაცას აკვირდება... ორივე ხელი ტანზე შოშორებით ჩამოშვებულია.

კაცი დგას ბნელაში თავჩაქინდრული და თავის ფეხებს უყურებს, ან რაღაც დაკარგვია, რაღაც დაკარგვია...

კაცი დგას ბნელაში და ბალახებში ეძებს რაღაცას,

მივედი სულ ახლოს, წინ შევეხეჩე... ის არ ინძრევა, ახლა ცხადად ვხედავ, რომ ეს კაცი თოკით ჰკიდია ხის ტოტზე, მისი ფეხები ძლივს ეკარება ძირს დაფენილი მაღალი ბალახის ქოჩორს... თავი თავთან მიუტანე, ერთი ნაბიჯიც უკან... ხელი მოვივლე სახელოზე, რაღაც უცნაურმა შიშმა ამიტანა, ხელი უშვი მის უსახსროდ დაკიდეძულ ხელს, ხელი გაქანდა და გამოქანდა, როგორც საათის პენდელი.

დავცუცქდი და ავხედე მის მზე გადასულ სახეს. თვალები ოდნავ ღია დარჩენია. სიკვდილი ტრიუმფით შესულა თვალების ჭიშკარში და სინათლე გაუნად-

გურებია მის სახეზე. მიწის ფერი ადევს მის სახეს, სიკვდილის უშველებელი ფრთა აწევს ამ კაცს სახეზე...

ბავშვობისას მინახავს ჩვენი სოფლის სასალახოს მოედანზე ცხოველის სისხლის ნაწვეთს რო დაბლაოდა გავლილი პირუტყვი, მეც ისე მინდოდა მეყვირა, მეყვირა, და მთელი ქვეყნისთვის შემეტყობია, რომ აქ ტყეში, ბნელაში ჰკიდია ხეზე და ეს არავინ არ იცის.

ეგებ ამ კაცს მოხუცი დედა ჰყავს სახლში, ზის მოხუცი თავის სახლში თავის ხელსაქნარს აკეთებს და არც კი იცის, რომ მისი შვილი აგერ ჩემს თვალწინ ჰკიდია ხეზე... ეგებ, ეგებ...

— რათ ჰქენი ეს, შე უბედურო, რათ ჰქენი, რათ ჰქენი, შე საცოდავო!..

ბნელდება, ხომ უნდა წავიდე აქედან, ხომ უნდა გამოვიდე ამ საშინელ სიზმარიდან!.. კაცი ტყეში ჰკიდია და მე ვდგავარ და უყურებ. ტყეში სულ დაბნელდა, ყველანი წასულან ქალაქში და ჩემი შიში მატულობს როცა გავიფიქრებ, ყველანი წასულან აქედან და მე და ეს კაცი, მე და მკვდარი მარტო ვართ ტყეში...

ვაცქერდები ბნელაში მის სახეს, ბნელაში ბნელ ფონზე ვკითხულობ „ძირს, ჩამომიღე, მომასვენე შე ქრისტიანო!“ მე ქვეყანაზე არაფრის ისე არ მეშინია, როგორც მკვდარის, მიტომაც მუდამ მძაგდა სასაფლაო, სასაფლაო ღამით. და ეს ტყეც ჩემთვის სასაფლაო იყო, სასაფლაო, სადაც ერთი უპატრონო მკვდარი ჰკიდია ხეზე. გავიქეცი, გავიქეცი მე მშიშარა, ისე როგორც ბავშვობისას ეკლესიიდან გავქცეულვარ ხოლმე. უკვე ქალაქში ვარ, უკვე სინათლეში ვარ.

ჩემი ოთახის კედლებს შევაფარე თავი, ვიდრემდის ჩემს კარებში თავს შემოვრგავდი, ასე მეგონა მომსდევდა ვიღაც და მეძახოდა: „ძირს ჩამომიღე, დამასვენე შე ქრისტიანო!“

საათმა 12 ჯერ დარეკა... ვტრიალებ. ვტრიალებ ლოგინში. თვალს ვხუჭავ, გვერდს ვიცვლი, ხან ბალიშს.—ღამე მახლობელ კათოლიკეთა ეკლესიაში რეკავენ. ვიხრჩობი სიცხისაგან, თვალს ვახელ და ორი სინათლე ცარიელი თვალები შემომცქერიან საყვედურით... სასთუმალი, საბანი, საგები ყველაფერი ცხელია... ჩამოვდივარ ლოგინიდან და ცივ იატაკზე გართხმული ვისვენებ... როგორ მიამა იატაკის სიგრილე! ასე უნდოდა იმ კაცსაც ძირს ჩამომეღო და მომესვენებია.

ფუი შენს კაცობას, შე მშიშარა, შე მშიშარა!.. ვწევარ პირაღმა იატაკზე და ვფიქრობ: ჩვენ ყველანი ხომ საგნების თოკზე ვკიდივართ დღე და ღამ და გამვლელ გამომვლელს ველრიჯებით: „ძირს ჩამომიღე, დამასვენე შე ქრისტიანო!“

ივნისი

ბერლინი.

არჩილ რუხაძე

* * *

„Тебя любить, обнять и плакать надъ тобой"...

(მუსიკის ხმაზე)

შემოდგომის წყნარი ღამეა...
ცა მობურულა, ყომრალ ბურუსში იფანტება შემოდგომის მწარე ფიქრები...
გული დანისლულა... მწარე ფიქრებში გახვეულა... შემოდგომაა...
ვარდი დამჭკნარა ლამაზ ბაღნარში...
და ტყვიის ფერ ღრუბლებს შორს, შორს მიჰყვება მწარე ფიქრები...

* * *

გაზაფხულის სისხამ დილაზე გნახე შენ... მოლიკლიკე მდინარესთან ამომავალ მზის ლამაზი სხივები გბანდა ახალგაზრდული ეშხით აკოკრებულ სახეს...
ალის ფერ ბაგეებზე თრთოდა სიყვარულის შუქი... და შემიყვარდი... უსაზღვრო... გამოუთქმელი სიყვარულით...

* * *

გაზაფხულის მშვენიერ საღამოს ერთად ვისხედით...
შორს, შორს მიჰქროდა ჩვენი ფიქრები...
სიყვარული, სიხარული, აღტაცება, თავდავიწყება გვაერთებდა ჩვენ...
და როიალის მომხიბვლელი მელოდია ატკბობდა გულს, გვიტაცებდა ჰაერში...

* * *

გავიდა გაზაფხული...
მშვენიერ საღამოს დაჰქროლა მძაფრმა ქარმა...
და დაფლითა ჩვენი სიყვარულის ძველი რვეული...
დღეს ჩვენ უცხონი ვართ...
შენ ვერ მცნობ მე...
მე კი შორიდან ვტკბები შორეულ წარსულით...
და ეხლაც სტირის, სტირის ჩემს ყურში შოპენის გამოსათხოვარი პრელიუ-
ლია...

* * *

შემოდგომაა...
ყომრალ ღამის საიდუმლოებას არღვევს სადღაც ჭოტის კივილი...
გული დანისლულა...
არსით სინათლე...
არ სჩანს განთიადი...
გაჰქრა გაზაფხული...
და ყურში წივის გედის სიმღერა...
საიდანღაც ყურს სწვდება ნაღვლიანი ჰანგი მუსიკისა... და ვფიქრობ:
— ნუ თუ კიდევ მოვა გაზაფხული?... ნუ თუ კიდევ ვიქმნები ოდესმე ბედნიერი?!..
— არა! არა!..
— დადუმდი, გულო, შესწყვიტე ტოკვა!..
ჩამძახის იდუმალი ხმა... და მიმღერის საშინელ სიმღერას...
შემოდგომაა...
შავი ნისლი ჰფარავს არე-მარეს.
ვიგონებ შორეულ წარსულს...
და ოცნებაში კვლავ გეალერსები, კვლავ შენთან ვარ...

დრამა

ტრიფონ რამიშვილი

ფრთა მოტეხილი ყორანი

დრამა 3 მოქმედებად

ამ ნაწარმოებს ვუძღვნი ჩვენს მვირფასს დემოკრატიას ნიშნად მძაური სიყვარულისა

მოქმედნი პირნი

იას**ე ბ**ر**ოგ**ი**შ**ვ**ილ**ი . . . . . 50 წლ.
ფა**რ**ნ**ა შ**ა**ვ**გ**ულ**ი**ძ**ე . . . . . 36 წლ.
სი**კ**ო ჩ**ხ**ი**რ**ა**ძ**ე . . . . . 28 წლ.
კო**წ**ი**ა უ**მ**ა**ნ**ი**ძ**ე . . . . . 31 წლ.
ივ**ა**ნ**ე ზ**ო**ს**ი**ა**შ**ვ**ილ**ი . . . . . 29 წლ.
ჯა**მ**ლ**ეთ ი**ნ**გ**ე**რ**ა**ძ**ე . . . . . 29 წლ.
შა**ლ**ვ**ა ა**ნ**დ**რ**ი**ა**ძ**ე—(ინ**ჟ**ენ**ერ**ი) . . . . . 32 წლ.
ნე**ს**ტ**ო**რ კ**ი**რ**ს**ა**ნ**ი**ძ**ე . . . . . 40 წლ.
მი**ქ**ე**ლ**ა ი**ნ**გ**ე**რ**ა**ძ**ე—(ჯ**ა**მ**ლ**ეთ**ის მ**ა**მ**ა) . . . . . 60 წლ.
ქე**რ**ა**ბ**ი**ნ**ა მ**ი**ნ**დ**ა**ძ**ე . . . . . 65 წლ.
კო**მ**ი**ს**ა**რ**ი—კ**ო**ტ**ე მ**ე**ხ**ა**ძ**ე—(რ**ა**ი**ო**ნ**ის კ**ო**მ**ი**ს**ა**რ**ი) . . . . . 28 წლ.
მა**რ**ი**ა**მ**ი . . . . . 60 წლ.
ერ**მ**ი**ს**ა—(ჯ**ა**მ**ლ**ეთ**ის დ**ა**ნ**ი**შ**ნ**ულ**ი) . . . . . 20 წლ.
არ**ე**თ**ა—(**დ**ა ე**რ**მ**ი**ს**ა**ს**ი) . . . . . 16 წლ.
ირ**ი**ნ**ე—(**დ**ე**დ**ა ე**რ**მ**ი**ს**ა**ს**ი **დ**ა **ა**რ**ე**თ**ა**ს**ი) . . . . . 50 წლ.
თა**მ**რ**ი**კ**ო—(ნ**ე**ს**ტ**ო**რ**ის ქ**ა**ლ**ი) . . . . . 17 წლ.
ორ**ი მ**ა**ნ**დ**ი**ლ**ო**ს**ა**ნ**ი**
პა**ვ**ლ**ე თ**ე**თ**რ**ა**ძ**ე**
თე**დ**ო—(ს**ო**ფ**ლ**ის მ**ი**ლ**ი**ც**ი**ელ**ი)
სა**მ**ი **გ**ლ**ე**ხ**ი—I, II **დ**ა III
ეფ**რ**ო . . . . . 35 წლ.

(ხალხი, სახალხო გვარდიელნი, მილიციელნი და სხვანი).

მოქმედება პირველი

(სცენა წარმოადგენს სასოფლო მოედანს. მოსჩანს მომხიბლველი ბუნება. მარცხნივ მოსჩანს სათემო გამგეობის სამმართველოს წინა მხარე აივნით, რომელსაც პირი მარჯვნივ აქვს მიმართული. შუადღეა. ფარდის ახდისას სცენა ცარიელია. მცირე პაუზის შემდეგ შემოდის სამი კაცი და შედიან სამმართველოში. მოდის მარჯვენა მხრიდან სადათ, მაგრამ შნოზე ჩაცმული ტურფა ერმისა წუვიდი დოქით ხელში. მივა წყაროსთან და შეუდგამს ერთ-ერთს. გამოდის მარცხენა მხრიდან მოხუცი მიქელა, მოზრდილი ტყლეთ ხელში. აცვია სადა ახალუხი, საუელო გახსნილი, ფეხთ წუღები და თავზე განიერი გარსიანი ძველი ნაბდის ქუდი ჰხურავს. ჭკვიანი და სერიოზული კაცია. რა შენიშნავს ერმისას, სახეზე დიმილი ადებეჭდება და მიუახლოვდება).

მიქელა გამარჯობა ერმისა...

ერმისა (შეკრთება და ფიცხლავ მისკენ მოტრიალდება) ახ, ეს თქვენა, ბატონო მიქელ.

მიქელა მე ვარ, შენი ჭირიმე,—შეგაშინე განა...

ერმისა ცოტათი—მაგრამ არაფერია...

მიქელა მწყინს, რომ ისევ ბატონს მეძახი და არა მამას...

ერმისა ნუ მიაქცევთ ამას ყურადღებას... ჩვეულების ბრალია, თორემ ისე, რა თქმა უნდა, ჯამლეთის მამა ჩემი მამაცაა... სხვა, დღეს ადრე გამოგიშვიათ უქმის ძალი.

მიქელა ჰო... შაბათობით მუდამ ასე ვიცი... სხვა დღეს ჯამლეთს თქვენსა არ შემოუვლია?..

ერმისა არა თუ დღეს, გუშინაც არ ყოფილა; არ ვიცი კი, რა მიზეზია...

მიქელა ბარემ უნდა, მუდამ შენთან რომ იყოს, მაგრამ რას უზამ, შვილო, ამდენ დავიდარაბას. განა იმის გზა-კვალს გაიგებს კაცი... ხან სად უკრავს გარემოება თავს და ხან სად... მაგრამ არაფერია... მაგიერში ხალხი აჯილდოებს მას განუზომელი ნდობით და სიყვარულით.

ერმისა ეს კი დიდი ნუგეშია.

მიქელა (დიმილით) სხვა, ამ დღეებში ჩემს უქალო ოჯახში ვინ უნდა შემოიტანოს სიცოცხლე და ბედნიერება...

ერმისა (ოდნავ თავ-დახრილი) არ ვიცი...

მიქელა ვითომ. ახ, რომ იცოდე, როგორ მახარებს თქვენი მომავალი შეუღლება... ვინ იცის, გაის ამა დროს ფუფალამ ოქროს კალათით ერთი ფუნჩულა შვილის-შვილი ჩამოგიგოროს. (იცინის).

ერმისა (თვალებზე ხელ მიფარებული ჩაიკისკისებს) აბა ამას რას ამბობთ...

მიქელა შენი მხიარული კისკისის ჭირიმე, შენი, შვილო! ხუმრობა იქით და შენ უთუოდ უნდა მომიშინაურო ჩემი გარეული და როგორმე სოფლისკენ მოუბრუნო პირი... თორემ მე რომ იმისი ამბავი ვიცი, საბოლოოდ აქ არ გაჩერდება... რაკი აქაურ საქმეებს მიალაგ-მოალაგებს, ან, როგორც თითონ ამბობს, აპარატს მოაწყობს, ისევ ქალაქს მიაშურებს და მე ისევ აქ დავრჩები ყველასაგან მიტოვებული.

ერმისა არხეინათ იყავით... არაფერია. როგორმე ორივეს შევათავსებთ, ჩვენში ასეა მუდამ... ქალაქის მუშა სოფელთანაც დაკავშირებულია.

მიქელა შენს პირს შაქარი... თქვენ იცით, თუ კერას არ გამიცივებთ...

ერმისა (ავსებულ დოქებს კანზე მიდგამს).

მიქელა მართლა, რა გითხრა... ხვალ, ან ზეგ სირეთში მივდივარ... მოყვარეს შემოუთვლიათ დაპირებული ფური და ხბო წაიყვანეთო...

ერმისა მართლა?

მიქელა მართლა... ყველაფერი შენთვის, ჩემო ციცინათელა.—ყველაფერი შენთვის.

ერმისა (დოქებს მოკიდებს ხელს).

მიქელა (ერთ დოქს მოკიდებს ხელს) ამას მე წამოგიღებ.

ერმისა არა ნუ სწუხდებით... მე თითონ...

მიქელა შენგან არ მიკვირს. აბა ეს რა შეწუხებაა (მიდიან მარჯვნივ და მიეფარებიან. იმავე დროს ფეხ აკრეფით მარცხნით შემოდის იასე ბროგიშვილი და ფარნა შავგულიძე, ფარნას ადელვება ეტყობა).

ფარნა (გამოიდაპარაკებს ნერვიულად) ახ... შენ და შენი ტაქტიკა. (ორივენი გაფაციცებით გაადევნებენ თვალს მიმავალთ).

იასე დინჯად, ფარნა... ცუნცრუკი საქმეს ავნებს... (ერმისას თვალი გაადევნა) ახ, მართლა რა ლამაზია გასაქროობი... კიტრია, ნამდვილი კიტრი... გააგორე და გამოაგორე... გააგორე და გამოაგორე... (ფარნასაც იქით გაახედებს) აბა, შეხედე რა ეშხით მიაქნევს ალვის ხესავით ჩამოქნილ ტანს... არა, ძმაო, რაც გინდა სთქვი და აზნაური მაინც აზნაურია... აბა შენი მაჯა ვნახო. (ფარნა არ ანებებს) ეს ხომ არის და არის, შენ მეორე, კუდრაჭა ჯერეთა უნდა ნახო... ჯერ თუმც მკვახეა, მაგრამ გაის იმის ჩახრამუნებას არა ემჯობინება-რა.

ფარნა ხომ ნახე, რა გუნებაზე იყო ბებერი ძაღლი.

იასე არაფერია... კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, ნათქვამია... იასე მოგიკვდეს, თუ ამ ორს დღეში მაგას მე თმა და წვერები არ ვაგ-

ლეჯინო... ხუმრობა იქით და თუ ჩვენ დროზე არ ვიყოჩაღეთ, ამ კვირია მეტოქე შემოეხლართება შენს ციცუნიას უსურვაზის წნელივით... და მერე უყარე კაკალი. აგერ ჩემი შტაბიც (შემოდიან სიკო, კოწია) სხვა როგორ გუნებაზე ხართ... მოგხვდათ განა გვერდებში... (ხითხითებს).

სიკო დალახვროს ღმერთმა... რა ვიცოდი, თუ ასეთი ღონიერი იქნებოდა...

იასე სიკვდილი რომ მოგანათებს თვალებში, მოდი და ნუ გაღონიერდები.

კოწია ერთი ისეთი მთხლიშა ყურის ძირში, რომ ეხლაც მიწივის...

სიკო მე, ცოტას გაწყდა, კინაღამ ყბა მომიქცია (ფარნას) მგონი შენც გაგკრა სადღაც კბილები...

იასე ნიშანი ხომ არა დარჩა-რა?

ფარნა ისეთი პირდაღებული იარა, რომ შენი მოწონებული (მიჯდება ცაცხვის ძირში... წუთით მუნჯურათ კამათობენ. ფარნას სიფიცხე ემჩნევა).

იასე აი ახირებული კაცი... ვინ უნდა გაგვცეს. ვინც ვიყავით ერთის გარდა ყველანი აქა ვართ... არა მგონია ვინმე ჩვენგანმა გალესილ დანას ყელი მიუშვიროს...

სიკო ჯერ არ გავგიჟებულვართ (ჩამოჯდება კოწიას გვერდით).

ფარნა ჭირისუფალნი?

იასე უკვე აწრიალებულან და საცაა მოირბენს მამა მისი ქერაბინა გამგეობაში.

კოწია მეგონა გუშინ ღამ საუკუნოთ. შევეწებეთ ერთმანეთს მეთქი (ფარნაზე) და ეს კი ისევ თავიდან გვაწყებინებს...

იასე რას იზამ მოდგმის ბრალია... მაგის თავში ყველაფერი ძნელად შედის, მაგრამ თუ როგორმე შეაკიტინა, მორჩა—მეორედ მოსვლამდი ჩაეკირება. მაგრამ არაფერია; რაკი ნასვამი ყოფილა, ჩვენი ბრალია, ერთხელ კიდევ აუხსნათ, (ფარნას) ყური მიგდე. სიტყვა ჩემი იქნება მოკლე და საქმიანი... (აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედავს) ამ ჩემმა შტაბმა (სიკოზე და კოწიაზე მიუთითებს) ამას წინად კოსტა მინდაძეს სიკვდილი მიუსაჯა.

ფარნა რისთვის?

იასე მრუშობისათვის. (სიკოს და კოწიას) ვითომ მართლა არ ახსოვს... აბა ერთი ჩამოსწიეთ, ხა, ხა, ხა, ხა. ჰო და ხომ იცი ქალებში რა მსუნაგი იყო ის ცხონებული. ერთსა და იმავე დროს ამის (სიკოზე) ცოლსაც უცაცუნებდა ხელს და რძალსა... რამდენიმე მხურვალე კოცნა

დასტყუა ორივეს და რომ დასცლოდა, ამას ხომ იცი, რა მარცხი მოყვებოდა. თქვენთან დიდი ბოდიში და თუ დედაკაცმა, რაც უნდა პატიოსანი იყოს იგი, ერთხელ მაინც გაიხსნილა, მორჩა... ბიჭი ხარ და შეაჩერებ... სიკო, თუ შენ ამ ნიადაგზე დაია მაროსთვის რამე დაგიშავებია—იცოდე ჩემთან გექნება საქმე... (ფარნას) მე რომ ეს გავიგე, გულზე გადამიარა და ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ—ამაში ჩვენი საერთო მომავალი ჩავაქსოვე და რა კუდიც გამოვაბი ხომ ნახეთ გუშინ ღამ.

ფარნა დიდ ხათაბალაში გამაბი, შე წყეულო, და არ ვიცი, რა ვიფიქრო.

იასე რა კაცია. (ხითხითებს) ბიჭო, ხალხი კოსტას გვამს იმის საბძელში ნახავს და არ გაცოფდება!? ესეც რომ არ იყოს, სად წაუვა მტერი ფეთიან ნათესავებს, იმავე დღეს გააგორებენ... ხალხი, რომ აირ-დაირევა, აი მაშინ ვეცდები, რომ მოჰკლან და ჩავასვენოთ ჩვენი დიქტატორი ცივ სამარეში ხალხისა და დანიშნულის თვალში—სახელ გატეხილი, შერცხვენილი და თავსლაფ დასხმული.

სიკო ჩვენი მიზანიც ხომ ეს არის სწორედ,

იასე იმისი მზე, რომ ჩაესვენება—ამოვა შენი—სხვა გზა არაა, ჩემო ძმაო. ხომ ხედავ მტერმა რა საფუძვლიანად დაისადგურა ხალხის გულში, იმის იქიდან ძირ ბუდიანად აღმოსაფხვრელად საჭირო იყო რაიმე განსაკუთრებული საშვალება და ამას ჩვენ უკვე მივაგენით... არა უგვიანეს სამი დღისა აქ მე ისეთ კოცონს დავაგუზგუზებ, რომ მისი ალი ზეცას სწვდებოდეს.

სიკო ზემო უბანი ჩვენია... მარტო იმათი ახმაურებაც კი შეანძრევს არემარეს.

კოწია ადვილი შესაძლებელია, ეს ჩვენი შეგნებულებიც ავიყოლიოთ...

იასე არა. ეს ამბავი მეხივით გავარდება და აბა ნახეთ როგორ ავაღრიალოთ ეს მურტალი თემი... (ფარნას) ისარგებლე შემთხვევით.

სიკო თავის მოჭრაა, რომ ჩვენს ბედს განაგებდეს ვიღაც თავაღებული მუშა ინგერაძე.

იასე ოდესღაც-კი შენ იყავი აქ პირველი კაცი... სოფლის მსუქან სუფრას შენ ეჯექ თავში... მოვიდა ის და ბერი ქედანივით ბოლოში მიგეპყლიტა. დღეს ის ყველაფერია, შენ კი მისი მაჩანჩალა.

სიკო საცოლოც წაგართვა.

იასე ყოჩაღი ბიჭია. იცის ცხოვრების ფასი... არა, რაკი ითქვა „ანა“ ამას

ბარემ „ბანიც“ თან მივაყოლოთ. დაუმთავრებელი და შუაზე გაწყვეტილი არა ვარგა-რა. რას იტყი?

ფარნა ღმერთმა ქნას ფონს მშვიდობით გავიდეთ, თუ ეს მოხდა, მაშინ მე ვიცი და ჩემმა კაცობამ, მით უმეტეს... ინგერაძე მეც ჭირივით მძულს.

იასე ჯან. (იმათ) ძლივს არ მოიხსნა ანგელოზის წამოსასხამი. აკი გეუბნებოდით, ადრე იქნება თუ გვიან, თემის „პოლიცმეისტარს“ ჩვენკენ გადმოვითრევ მეთქი...

სიკო და კოწია დაგაფჯსებთ ფარნა, დაგაფასებთ...

იასე (ფარნას) დაჰკა ხელი... რისკი, ამხანაგო, რისკი... პირველობისთვის ბრძოლაში ყველაფერი ნება დართულია... ეს ქვეყანა ჭიდილია— ვინც მოერევა ქვეყანაც იმისია... ამხანაგებო, ვინც ჩვენ შორის ერთმანეთს უღალატოს, დედა ბუდიანათ გადავწვათ...

სიკო და კოწია ამინ, ამინ.

სიკო რამდენია ფული?

იასე არც იმდენი, რომ გვეგონა... 120 ათასი... დღეს საღამოს გამოიარეთ ციხესთან და გაგინაწილებთ...

სიკო და კოწია კარგი... კარგი...

იასე (ფარნას) შენც მოდი. აბა ეხლა ენას მაგარი კლიტე. ისე მაგრად ჩაჰკეტეთ, რომ მისი გაღება ეშმაკმაც ვერ შეიძლოს... (მარცხნიდან მარჯვნივ მიემართება ჰატარა ბოხჩით დედაკაცი ეფრო).

ეფრო (შენიშნავს იმათ) იასეს გაუმარჯოს.

იასე ღმერთმა შენი თავი მიცოცხლოს, ჩემო ეფრო. საით ამ დროს?

ეფრო მე აგერ მეწიეთში...

იასე გავიგე, ბიჭი გყავს მძიმე ავათო და უნდა გითხრა ძალიან შევწუხდი... როგორაა ეხლა?

ეფრო მადლობა უფალს, გადამირჩა.

იასე აი გიშველა ღმერთმა...

ეფრო ნახვამდის, ჩემო ბატონო (მიდის).

იასე ნახვამდის, ნახვამდის, ეფრო ჩემო (მოტრიალდება) აი ეშმაკმა კი წაგიღოს, რა შენი მცხელა.

სიკო ვინაა ეს ჩხიკვი. თითქოს მეცნობა...

იასე ზამბახიძიანთ ეფრო—ქვრივია... თავის დროზე ესეც კაი საკნატუნებელი იყო, ბევრი ვეხვეწე და არ ქნა. ეხლა პირიქით თითონ მეხვინტრიცება და მე არ მინდა...

ფარნა ჭინკაა ეს წყეული, ჭინკა.

იასე შენ კი სული წმინდა ხარ, მამა გიცხონდება. (სამმართველოს აივნიდან ერთი გლეხი კაცი).

გლეხი ფარნა, ფარნა.

ფარნა მოვდივარ, მოვდივარ,

იასე ამხანაგებო, ეხლა დავიქსაქსოთ... ამ საქმის დანა[illegible] კაი მე მომანდეთ... თქვენ დროზე გაინაბეთ და შორიდან სეირს უყურეთ... აბა, ფარნა, ადი შენს საქმეს მიხედე. (ფარნა აივანზე ადის) ეს კარგი ვინმე გადმოვიბირეთ.

სიკო ჯიუტია, ოჯაქორი...

იასე მუტრუკის თავი აბია და მიტომ. ინგერაძეს რომ მოვსპობთ... მესვეურობას ვიცი მაგას დააკისრებენ და მეც იმიტომ გავაბი მახეში, რომ გაჭირვების დროს წინ ავიფაროთ. (უეცრივ) ეხლა სად არის თუ იცით?

სიკო ინჟინერი მოსულა და დიდი წყაროს სათავეს ათვალიერებენ...

იასე ქვეყანას აშენებენ. ხა, ხა, ხა! აბა ეხლა აქედან თქვენც მარშ... (სიკო და კოწია გადიან მარცხნივ, იასე სამმართველოში მიმავალ გლეხს), ონისიმე! პაპიროსს გიქებენ, მოდი ერთი გავაბოლოთ, (მოუკიდებენ და ადიან აივანზე და იქ მოკამათე გლეხებში შეერევიან, მარჯვენა მხარედან შემოდიან ჯამლეთი და ინჟინერი ანდრიაძე).

ჯამლეთი (შემოიღაპარაკებს) დროებით ამ შენობაშია მოთავსებული ჩვენი სათემო გამგეობა...

ინჟინერი (აივანზე მდგომ გლეხებს) გამარჯვებათ, მოქალაქენო... (გლეხები უპასუხებენ, ინჟინერი ათვალიერებს მიდამოს) მართლაც ჩინებული მოედანი გქონიათ... ოჰო, წყაროც. (მიიწევს წინ) ვიშ, რა გადასახედია.

ჯამლეთი მთელი მაზრა ხელის გულივით მოსჩანს...

ინჟინერი ახ, რა ლამაზია ჩვენი ქვეყანა...

ჯამლეთი (უჩვენებს მარცხნივ) აგერ, ჩვენი სკოლა. (მეორე მხრივ მიუთითებს) იქ გვექნება სახალხო სახლი ბიბლიოთეკით... იქ კი ერთ შენობაში გვინდა მოვათავსოთ სათემო გამგეობის სამმართველო, ფოსტა-ტელეგრაფი და ტელეფონი... თუ ამას წყალსადენიც მიემატება, მაშინ ხომ სულ რა...

ინჟინერი გვექნება, ყველაფერი გვექნება...

ჯამლეთი ეხლა მე თქვენ გაგაცნობთ ზოგიერთ საპატიო პირთ... სხვათა შორის იმასაც...

ინჟინერი ვის იმას?

ჯამლეთი რეაქციის ფრთა მოტეხილ ყორანს, იასე ბროგიშვილს...

ინჟინერი მართლა?

ჯამლეთი დიახ, ბედზე ისიც აქ ყოფილა.

ინჟინერი ამ კაცით თქვენ და სიომ ძალიან დამაინტერესეთ... ჰო, ეს ძალიან საქმეა...

ჯამლეთი ვინ იცის, წყეულმა ნამეტნავათ 905-ში რამდენ ჩვენგანს უტირა დედა და ციმბირს გაუყენა. ოდესღაც მეტად მძვინვარე, ამ ჟამად ცუდ დღეშია ჩავარდნილი... რაკი ინათლა, გაბრაზებული აქეთ-იქით აწყდება... პოლიცია არა ჰყავს და არ იცის სად შეაფაროს თავი.

ინჟინერი სიოს თითქოს მის შვილებზედაც უნდა ეთქვა რაღაც საინტერესო და შეაწყვეტინეს...

ჯამლეთი სამაგალითო ვაჟების მამა იყო... ბევრს ეცადა იმათ გათახსირებას, მაგრამ მე დავასწარი და სამუდამოთ მოვსწყვიტე ბიჭუნები იმის დამღუპველ გავლენას... ამან ძალზე გააცოფა და ამოიჭამა...

ინჟინერი რა ბედი სწია უბედურებს?

ჯამლეთი შური იძია, განსაკუთრებით უფროსი ამოიღო ნიშანში... დასწამა დედასთან კავშირი და ჩინებულ ყმაწვილ კაცს თავი მოაკვლევინა... უმცროსმა მაშინ იკრა ტყვია შუბლში, როცა უტყუარის საბუთით დამტკიცდა მამის სამაზრო პოლიციის ჯაშუშობა.

ინჟინერი საოცრებაა. ხალხმა იცის ეს და არას ამბობს.

ჯამლეთი ხალხმა ამ შემზარავი ამბებისა არა იცის რა...

ინჟინერი დაუმალეთ?

ჯამლეთი დიახ... გულის მკვლელ გამოსათხოვარ წერილებში ორივემ ცალ-ცალკე, გვთხოვეს ამხანაგებს, იმათი ოჯახური ამბავი საიდუმლოთ შეგვენახა და ჩვენც პატივი ვეცით სპეტაკი და ნაზი ყმაწვილების წმინდა სახელს... ყორანი კი ჩუმად არის, ვერას მიბედავს, მაგრამ თუ ერთი მიხელა, მზეს დამიბნელებს. ისე კი გარეგნულად დიდი დოსტები ვართ... მან იცის, რომ მე ეს საიდუმლოება შეტყობილი მაქვს. და ესაა, რომ უფრთხობს ძილს. ეშინიან, არ იცის, როდის ან საიდან წამოუქროლებს... (ეძახის აივანზე მდგომ გლეხებს) პეტრე,

ივანე, ბესო, მამუკა, იასე, მოდით გაგაცნოთ ჩვენი მაზრის ინჟინერი. (ისინი ჩამოდიან და მიეგებენ ახლოს, რომელთაც ჯამლეთი აცნობს ინჟინერს) ესენი თემის საპატიო პირნი არიან... პეტრე ბურჯანაძე, ივანე ცინცაძე... ბესო მახარიაშვილი... მამუკა ივანიძე... (ინჟინერი ხელს ართმევს უფროსს) ეს კი (იასეზე) ჩვენი სახალხო მოღვაწე—რევოლიუციონერი იასე ბროგიაშვილია... დიდი დამსახურება მიუძღვის დემოკრატიის წინაშე, განსაკუთრებით 905-ში...

ინჟინერი (ხელს უჭერს მოწიწებით) მოხარული ვარ... მოხარული თქვენის გაცნობით...

იასე არ ვლირსვარ, ბატონო, არ ვლირსვარ. ჯამლეთს ეს გულკეთილობით მოსდის, თორემ ვინ მე და ვინ ასეთი ცაში აყვანა... თვითონ რომაა თვალის ჩინი, სხვაც ასეთი ჰგონია...

ჯამლეთი არ დაუჯეროთ, მორცხვია...

ინჟინერი მეც ასე მგონია... ჭეშმარიტ მოღვაწეებს თავის გამოჩენა არ უყვართ...

იასე (კანზე) თუ შეგიტანე სიაში დედა გეტირება (იმათ) აი, გიდი რა არის მემკვიდრეობა... (ჯამლეთზე) ზედგამოჭრილი ბაბუა მისი მახარეა...

ჯამლეთი გამიგონია ისა და მამა შენი დიდი მეგობრები ყოფილან...

იასე სული სულში ჰქონდათ გაყრილი...

ჯამლეთი ალბათ ესაა მიზეზი, რომ მას მემრე ჩვენ შორის არ შეწყვეტილა ეს იშვიათი კავშირი...

იასე და არც შეწყდება... სანამ თავები მხრებზე გვაბია, მე ასე მგონია და თქვენი კი არ ვიცი... (ამ ლაპარაკის დროს თან და თან ემატებიან გლეხები აქეთ იქიდან, ამათთან ერთად კოწია და სიკოტ).

ჯამლეთი (გლეხებს) აი, ძმებო, მოქალაქე ინჟინერმა ჩვენი წყაროს სათავე ძალიან მოიწონა... და თუ ჩვენ როგორც ყოველთვის—ეხლაც დავტრიალდებით, მალე წყალსადენიც გვექნება.

ინჟინერი უეჭველად. ბარემ ესეც დააგვირგვინეთ. ვიშრომოთ ყველამ და ხელი-ხელ ჩაკიდებული გავსწიოთ საუკეთესო მომავლისაკენ; ამ დროებაში რის გაკეთებაც შეიძლება გავაკეთოთ—დანარჩენს მოგვცემს განათლება, მუდმივი შრომით საქვეყნო განვითარება. სხვათა შორის ამხანაგ ჯამლეთის გეგმები. გისურვებთ წარმატებას თქვენ მომავალ მუშაობაში და ფრიად კმაყოფილმა აქ ნახულით, ნება მომეცით გითხრათ,—ნახვამდის.

ყველანი დაგაფასებთ, დაგაფასებთ...

იასე დავაფასებთ თქვენ ამაგს, ღმერთმა გვიცოცხლოს თქვენი თავი...

ყველანი გვიცოცხლოს, გვიცოცხლოს...

ინჟინერი აბა, ჩემი ეტლი.

იასე ეტლი, ბიჭო!

მილიციელი ეტლი მზათ გახლავს...

ინჟინერი (ჯამლეთს) ნახვამდის, ჯამლეთ, დიდი მადლობა პატივის-ცემისათვის...

ჯამლეთი აბა რასა ბძანებთ.

ინჟინერი (ხელს უჭერს) სიო დიმიტრაძეს საპასუხო მოკითხვას გადავცემ და როგორც დამავალეთ მეჯვარეთაც დაიპატიჟებთ...

ჯამლეთი იმასთან ერთად თქვენც მოგელით...

ინჟინერი უსიკვდილოთ... მაშ ამ კვირას, არა?..

ჯამლეთი დიახ... რა თქმა უნდა, თუ რამე საიმისო არ გამომეკრა... (კედან. გლეხები რაღაცას ლაპარაკობენ.

I გლეხი არა, ძმაო, რაც მართალია, მართალია, ჩვენი თავმჯდომარე მეტად ყოჩაღი ბიჭია...

II გლეხი ჯამლეთი ჩვენი სიამაყეა.

ყველანი მართალია, მართალი.

იასე კარგი რამაა, იმიტომაც მივანდეთ მას ჩვენი ბედი (შემოდიან მარტსენა მხარიდან ინტელიგენტი ნათავადარი ნესტორ კირსანიძე, რომელსაც შემოუყვება 17 წლის ქალიშვილი თამარ, სტუმრად მოსული მეგობარი და ორი მანდილოსანი).

ნესტორი ესეც ჩვენი მოედანი. აქ ალბათ იმასაც ვნახავთ. მანდილოსნებო, ფრთხილად... ლამაზი სულით, ის ლამაზია გარეგნობითაც.

I მანდილოსანი ეს ჩვენ მოგვანდეთ.

ნესტორი წინდაწინვე გიცხადებთ, იმედი გაგიცრუვდებათ. იმისი გული ერთმა ადგილობრივმა „პრიმადონამ" მიისაკუთრა...

I მანდილ. გული-კი გაწყალდა და... გუშინს აქეთ სულ იმაზედ ველაპარაკებით... მოიღეთ მოწყალება და გვიჩვენეთ, ბატონო, ის კაცი, გვიჩვენეთ...

ნესტორი (მილიციელს) აქ არის ჯამლეთი?

მილიციელი დიახ, ბატონო. ინჟინერი გააცილა და საცაა გიახლებათ... აგერ მოდის კიდეც (ნესტორი გაიხედავს)

ნესტორი მართალია. მოდის ჩვენი თეთრ ყაბალახიანი რაინდი თავისებური სიარულით... (ჯამლეთს) გამარჯობა, ბატონო ჯამლეთ.

ჯამლეთი (შემოდის) აა. სალამი თავადს.

ნესტორი ეხ, ბატონო ჯამლეთ, ღვთის გულისათვის, ნუ მეძახით თავადს... რაღა ფასი აქვს... თქვენმა დეკრეტმა ის სულ ჩაჰყლაპა. იყო და გაჰქრა. ეხლა მე თუ მკითხავთ თავადებიც თქვენა ხართ და ყველაფერი... აბა გაიცანით ჩემი სტუმრები... მასწავლებელი ქალი ელენე იორამიშვილისა, ჩემი ცოლის და ქეთევან მაქსიმიძისა, ჩემი მეგობარი პავლე თეთრაძე. ეს კი ჩემი ქალი და თქვენი მეგობარი პიანისტკა თამრიკო... (ჯამლეთი ყველას ხელს ართმევს, თამრიკოს ზურგზე ხელს მოუთათუნებს).

ჯამლეთი მოხარული ვარ, ბატონო, თქვენის გაცნობით. მხოლოდ ვწუხვარ, რომ აქ ამ ალაგას მოკლებული ვარ საშვალებას შესაფერი პატივი გცეთ...

მანდილოსნები ნუ სწუხდებით. ჩვენ მალე გიახლებით.

ჯამლეთი (ნესტორს) სხვა, როგორ გიკითხოთ ოჯახობით და ყოველი თქვენი კეთილებით.

ნესტორი ჯერ-ჯეროობით არა გვიშავს-რა... ჩემმა მეუღლემ გისურვათ ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე...

ჯამლეთი გმადლობთ... მერე ხომ არავის შეუწუხებიხართ?

ნესტორი ის იყო, ის. თუ თქვენი ყურადღება კვლავაც არ მოგვაკლდება, ჩვენი ოჯახის მყუდროება უზრუნველყოფილია.

იასე (თავისთვის) მეგობრებს, დამიხედე, მეგობრებს...

I მანდილ. ბატონო ჯამლეთ, ვერ დაგიმალავთ, რომ ჩვენ თქვენი გაცნობის უზომო სურვილმა მოგვიყვანა აქ.

II მანდილ. ნესტორმა იმდენად დაგვაინტერესა თქვენით, რომ სხვა გზა არ იყო...

ჯამლეთი რა დაგიშავეთ, ბატონო ნესტორ, რომ მუდამ ასე მაწითლებთ. მართლა (ნესტორს) თქვენ თითქოს გული გწყდებათ თავადობაზე, არ მოველოდი.

ნესტორი პატიოსნებას გეფიცებით არა. ვიხუმრე, თორემ განა არ ვიცი, რომ ანაქრონიზმის განამდვილება უაზრობაა, სხვა არაფერი...

ჯამლეთი მეც ასე მგონია. გავერთიანდეთ, გავერთიანდეთ, და როცა საჭირო იქნება კარზე მომდგარ მტერს მეტის სიმტკიცით შეუცაცხანოთ. თუ

რამ არის თქვენში მოსაწონი და მისაღები, გაუფრთხილდეთ და ერის საუნჯეთ გადავაქციოთ.

I მანდილ. მორჩა. უფსკრული ამოიევსო.

ჯამლეთი რასა ბრძანებთ! განა შეიძლებოდა ამდენი ხალხის ერის გარეშე დატოვება? ეს რომ ასე არ მომხდარიყო, მოსალოდნელი ბრძოლა და შფოთი, ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, ძვირფას თამრიკოს დაგვაშორებდა. ის გალმა—ჩვენ გამოლმა, მოუთმენელი რამ იქნებოდა (იცინიან).

ნესტორი თქვენი სიტყვები რომ ვიხმაროთ, უთუოდ თოფიც გავარდებოდა (იცინიან).

ჯამლეთი ზარბაზანი, ბატონო, ზარბაზანი. (იცინიან, მიუბრუნდება თამრიკოს) თამრიკო ჩემო! თქვენი მუსიკით მთელი სოფელი სტკბება, ამას წინეთ თქვენზე, იცით, ხალხმა რა მითხრა. როცა სახალხო სახლს ავაშენებთ, რა თქმა უნდა, ჩვენს ქალებს პიანინოს უყიდით და მასწავლებლად ჩვენი ნიჭიერი თამრიკო მოვიწვიოთო. რას იტყვით? აგერ ხალხი და აგერ თქვენ, მართალს არ ვამბობ?!

ხალხი მართალია, მართალი.

ჯამლეთი (თამრიკოს ორივე ხელებს აუწევს მაღლა) აი, ამ თითებშია ის თილისმა, ეშმაკის ფანდურს რომ ისე საუცხოოდ ალიკლიკებს. (უველანი იცინიან).

ნესტორი მართლა, ვინ ინჟინერი გეწვიათ?

ჯამლეთი შალვა ანდრიაძე...

ნესტორი აი ის ფედერალისტი?

ჯამლეთი დიახ. ჩინებული ყმაწვილია...

ნესტორი ვიცი. რაო?

ჯამლეთი ჩვენი წყარო მოიწონა და იმედია მალე წყალსადენიც გვექნება...

ნესტორი ვაშა, ვაშა. (შემოდის მოხუცი მარიამი).

მარიამი (უველას თავს უკრავს) გამარჯვებათ თქვენი...

ყველანი გაგიმარჯოს, გავიმარჯოს.

ჯამლეთი აბა რას გვეტყვი, ბებია მარიამ?

მარიამი (ჯამლეთს) შვილო, თუ გცალიან, აქეთკენ მოდი—საჭირო საქმე მაქვს.

ნესტორი (თავის სტუმრებს) აბა, ეხლა წავიდეთ, თორემ ხელს შეუშლით...

ყველანი (ჯამლეთს) ნახვამდის, ნახვამდის... (ჯამლეთი შიაცილებს, თავაზიანათ თავს უკრავს. როცა სტუმრები სცენის სიღრმეს გასცილდებიან, უეცრად მოტრიალდება).

ჯამლეთი აბა, მარიამ, სთქვი, ყურს გიგდებ. ან იქნებ ცალკე გინდა მითხრა.

მარიამი არა, მაგათთანაც შეიძლება...

ჯამლეთი ხალხნო აქეთ მოიხედეთ, მარიამს უნდა რამე გვითხრას.

ხალხი გრძანოს, გრძანოს...

ფარნა (ჩამოდის ავნიდან ძირს).

მარიამი (ჯამლეთს) შენ ალბათ იცნობ ქვემო უბნელ გოგია როსტომაძის ქვრივს—აშარ, ავყია მაგდანეს.

ჯამლეთი ვიცნობ... მერე?

მარიამი ალბათ ისიც გეცოდინება, რომ იმას ყავს 15 წლის გერი, ჩახატული სოფიკო.

ჯამლეთი ვიცი...

მარიამი ცით მოწყვეტილი ვარსკვლავია საწყალი გოგო, მაგრამ წყეული მაგდანე ეხლა ათხოვებს ვიღაც მდიდარ ჩარჩზე „50 წელს“ გადაცილებული ნამდვილი მაჯლაჯუნაა...

ჯამლეთი ბიჭოს, ბიჭოს!

მარიამი სამაგიეროთ მისგან იღებს დიდ-ძალ ფულს და სხვა საჩუქრებსაც.

ჯამლეთი ერთი სიტყვით ჰყიდის.

მარიამი ჰო, შვილო, გამოიცანი, ეხლა შენ იცი და შენმა კაცობამ, როგორც უპატრონებ... შენ ხომ ჩვენი შემბრალე მამა ხარ და ბარემ იმასაც გადააფარე მადლიანი კალთა...

ჯამლეთი რა თქმა უნდა... რა თქმა უნდა... ამის წაყრუება უდიდესი დანაშაული იქნებოდა.

ხალხი მართალია, მართალი (ფარნა გამოდის შენობიდან და ძირს ჩამოდის).

ჯამლეთი (ერთ ერთ გლეხს) კეთილო სიმონ! იმ ქალს დრომდე შენს ოჯახში დავაბინავებთ.

ხიმონი ბატონი ბრძანდები... შენი სიტყვა ჩვენთვის კანონია...

ჯამლეთი ამხანაგო ფარნა! ეხლავე მოიყვანე სისრულეში ეს განკარგულება. ბავშვი რომ დააბინავო, ის დედაკაციც წარმომიდგინე გამგეობაში...

ფარნა ავასრულებ...

მარიამი (ჯამლეთს) ვენაცვალე ბიჭუნასა... იფ ძლივს არ მომეშვა! (გადის მარიამი ისმის ეულისებში მოხუცი ქერაბინას ხმა) „ხალხო“, ჯამლეთი აქ არის, თუ იცი?

ხმები აქ არის, აქ არის.

ქერაბინა (შემოიჭრაბარაკებს) აქა ხარ, ჯამლეთ, მადლობა ღმერთს, მოგისწარი...

ჯამლეთი რაშია საქმე, ქერაბინა?

ქერაბინა უბედურება და დაქცევა ჩემი... კოსტა დამეკარგა და მიშველე შენი ჭირიმე. (ხალხში ჩოჩქოლია).

ჯამლეთი (ხალხს) სიჩუმე, ხალხნო! რას ამბობ, როგორ თუ დაიკარგა.

ქერაბინა ამ ორი დღის წინად, ესე იგი ხუთშაბათ დილით ირმეთში წავიდა თუთუნის ფულის მისაღებათ... უნდა იმ დღესვე დაბრუნებულიყო, მაგრამ ჯერაც არა სჩანს...

ჯამლეთი ვაი, შენ ჩემო თავო...

ქერაბინა გუშინ ზალიკო ვაფრინე ამბის გასაგებათ—იქ უთქვამთ ფული მიიღო ას ოცი ათასი მანეთი და იმ დღესვე გამობრუნდაო... რა ვქნა. რა წყალში გადავარდე.

ჯამლეთი ახ, ეს ვერაა კაი საქმე, ვერაა კაი საქმე (გაივლ-გამოივლის).

ქერაბინა ჯამლეთ, ჩვენი გაჭირვების ტალკვესო, გვიშველე, შენი ჭირიმე.

ხალხი (ჩოჩქოლი).

ჯამლეთი უთუოდ... უთუოდ... სხვა რომ არა იყოს რა, ეს ჩვენი პირდაპირი მოვალეობაცაა...

იასე ჩვენც დაგეხმარებით.

ყველანი დაგეხმარებით... დაგეხმარებით...

ჯამლეთი აქა ხართ, მილიციელნო...

მილიც. აქა ვართ, აქა.

ჯამლეთი იარაღი აისხით!

მილიც. ეხლავე... ეხლავე... (რამდენიმე კაცი შედის გამგეობის შენობაში).

ჯამლეთი ფარნა! ზარები! მეზობელს უჭირს, შევსძრათ ხალხი.

ფარნა ეხლავ... ეხლავ... (ერთ ერთ გლეხს) პეტრე, გაიქე ყარაულს ამ წუთას ზარები დაარეკინე (გლეხი გადის მარცხნით).

ჯამლეთი (ერთ ბიჭს) ვასო! აირბინე ჩვენსა და ცხენი მომგვარე ეკლესიის გალავანთან... მამა ჩემი შინ არის... ჩქარა თუ ძმა ხარ! რა ნელა მიდიხარ. ჰეი, ბიჭებო, სად დაიკარგეთ!

მილიც. (გამოდიან) მზადა ვართ... მზადა ვართ...

ჯამლეთი (ხალხს) აბა გავსწიოთ გალავნისკენ. იქ სხვებიც მოვლენ, მოვილაპარაკოთ შეერთებული ძალით, მოვედვათ მთა და ბარს.

ხალხი ბატონი ბრძანდები... ბატონი ბრძანდები.

ერთი ხმა მაშ გაგვიძეხ წინ, წავიდეთ.

ჯამლეთი აბა მომყევით.

ხალხი მოვდივართ... მოვდივართ... (გადიან ეკეულანი ღრიალით მარცხნივ. ეკეულზე ბოლოს იასე, რომელიც ერთის წამით შესდგება).

იასე აბა, იასე, ერთხელ კიდევ შენებურათ და მერე თუნდ მეხმა ჩაანგრიოს ეს ქვეყანა. (გადის მარცხნივ, ამავე დროს ისმის ხარების რეკვა).

ფ ა რ დ ა

მოქმედება მეორე

(სცენა წარმოადგენს ეზოს. მარცხნივ სახლი აივნით. პირდაპირ დაბალი ღობე, შუაში ჭიშკარი. ფარდის ახდისას შუა ეზოში ზეწარ გადაფარებულ მაგიდას ერთი მეორის პირდაპირ უსხედან ერმისა და არეთა, არეთა ქარგვაშია გართული, ერმისა კი ახალუხს დილებს აკერებს. მტირე პაუზის შემდეგ კულისებში მოისმის ირინეს ხმა: „სალომე, სალომე“ დედაშვილობას არ დაივიწყო, რაც დაგავალე)...

არეთა დედა დღეს დიდ ფაცაფუცშია... რაც კი რამ სურნელოვანი იყო ჩვენს ბაღში, სულ მოჰკრიფა; რა არის სასიძოს ვასიამოვნოვო...

ერმისა ვინ იცის, როგორ უჭირს და ჩვენ კი ვერ მივხედეთ.

არეთა შენი რა მოგახსენო და მე კი ვალი პირნათლად მოვიხადე... წყალი მიუტანე, ნიგოზი დაუნაყე, ქათამი გაუპუტე და სხვა... (უჩვენებს ერმისას ნამუშევარს) აბა, ჭრაკერვის პროფესორო, ერთი ეს მინახე... ვისწავლე?

ერმისა (ათვალიერებს) რა გითხრა... ისწავლე და ვერც ისწავლე... (ერთ ადგილზე თითს მიადებს) ჩემი აზრით აქ ასე ემჯობინებოდა... (ჩუმათ უსსნის).

არეთა (ჩამოარომეკვს) ღმერთო, რა უნიჭო რამა ვარ.

ერმისა გულს ნუ გაიტეხ—საქმე გამოსწორდება... (განაგრძობენ მუშაობას).

არეთა ირაკლის წერილისა ჯამლეთმა იცის რამე?

ერმისა ჯერ არა, დღეს კი გაიგებს.

არეთა ვენაცვალე ლეიტენანტ ძამიკოსა... ამ სასიხარულო ამბავს რომ თქვენი ქორწინებაც ზედ მიბმიყო—ავშენდებოდით სწორედ... მაგრამ დახე უბედობას—ისევ გადაიდო...

ერმისა თვალი დაუდგეს გარემოებას... რა ვქნათ, უნდა მოვითმინოთ...

არეთა თქმა ადვილია — მოვითმინოთ... ვინ იცის, როგორ ვოცნებობდი ჯამლეთის შენზე მიკერებაზე...

ერმისა ნუ გეშინია, ის მაინც ჩვენი იქნება...

არეთა „ჩვენი იქნება!“ ერთიც ვნახოთ კვანტი გამოგდვეს და წაგართვეს, მაშინ!

ერმისა ვითომ რატომაო.

არეთა მამაკაცების კრიზისია და მიტომ.

ერმისა (ჩაიკისკისებს) ახ, არეთა, არეთა, რა სასაცილო რამა ხარ...

არეთა გენაცვალეთ, სადაური კანონია... „რაკი კოსტა მინდაძეს სახლში მისვლა დაგვიანებია, ჯვარი არ დაიწეროთო“...

ერმისა არეთა... ვინ შენ და ვინ ასეთი უგულობა...

არეთა ჰო, მართლა, ძალიან შევსტოპე... სხვანაირად არ იფიქრო... წამომცდა, თორემ ძია კოსტას დაკარგვა მეც ძლიერ მაღონებს...

ერმისა რამდენჯერ მითქვამს, უაზრო ლაპარაკს გადაეჩვიე მეთქი...

არეთა თავის დროზე ასეც იქნება. ჯერ ხომ ბავშვი ვარ...

ერმისა ბავშვი კი არა... (მცირე პაუზა).

არეთა ერმისა! ერთი რამ მინდა გკითხო და მეშინიან...

ერმისა რისა?

არეთა ვაი თუ კიდევ სისულელე წამომცდეს...

ერმისა სთქვი, ვნახოთ.

არეთა ეს გადატრიალება რომ არ მომხდარიყო, ჯამლეთი და მისი ამხანაგები ეხლაც ხომ ციმბირში იქნებოდნენ?

ერმისა ალბათ.

არეთა არც საქართველო იქნებოდა ხომ თავისუფალი?

ერმისა ლაპარაკი რომ არ გავაგრძელო, გეტყვი: ურევოლიუციოთ არაფერიც არ იქნებოდა... ამასაც მოვრჩი, აბა ეხლა გაისაჯე და უთო მომიტანე...

არეთა სადღეისოთ მეც მოვრჩი...

ერმისა აბა უთო ჩქარა.

არეთა მოიცა ქა... ცეცხლი ნუ მოგეკიდა... (აიღებს თავის საქნარს და შედის სახლში. ერმისა გაშლის ახალუხს. არეთა უთოს გამოუტანს, მაგიდაზე დასდებს და გაბრუნდება. ერმისა შეუდგება დაუთოებას დიდის მზრუნველობით. ამ დროს მოადგება დობეს ჯამლეთი. შუა ზომის პარკით ხელში და, რა დაინახავს ერმისას, ნაზი დიმილით შესდგება ერთის წამით).

ჯამლეთი ვაშა! ვაშა!..

ერმისა (შეკრთება და ფიცხლავ მისკენ მიბრუნდება) ახ, ჯამლეთ, შენ...

ჯამლეთი დიახ, ერმისა, მე ვარ შენი ჯამლეთი... შენი კაცი... (შეშოდის და მსურვალეთ ეკოცნებს) ახ, დავიწვი... დავიწვი. უნდა გითხრა, ჩემო ყველავ, რომ ეს სიყვარული დიდი ახირებული ვინმე ყოფილა და არ ვიცოდი... ბიჭი ვარ და ქვეყანას ვატრიალებო—იმას ეთქმის სწორედ; შემოგეკრება ოჯახში და დააბრიგინებს ალმა-დალმა... თუ მაგრათ არ დახვდი, ერთს ისე ჩაგცხებს, რომ იმ შენს იდეებს სულ პანტი-პუნტათ გიქცევს.

ერმისა (უჩვენებს ახალუხს) როგორია?

ჯამლეთი ჩინებულია, ჩინებული.

ერმისა აბა, ეხლა დაჯექი და მიამბე ქვეყნის ამბები.

ჯამლეთი რა გითხრა ჩემო კარგო... ამ ჟამად ჩემი ფიქრი და გონება კოსტა მინდაძემ შებოჭა...

ერმისა ღმერთო, რა საწყენია ეს. ნუ თუ არავითარი იმედი არაა?

ჯამლეთი რა ვსთქვა... რა ვიცი... ჩაიყლაპა კაცი... გაჰქრა უკვალოდ.

ერმისა ხალხი რას ამბობს?

ჯამლეთი რა უნდა სთქვას... თუმცა ზოგნი თურმე ჩემზე უკმაყოფილონი არიან და შეხვედრისას რაღაც ალმაცერად მიყურებენ...

ერმისა ბიჭოს, რას გერჩიან?

ჯამლეთი ალბათ მემდურიან, რომ იმავ წამს კვალს ვერ მივაგენი...

ერმისა როგორ ფიქრობ... რა მოუვიდოდა?

ჯამლეთი მოჰკლეს უთუოდ...

ერმისა ღმერთო, რა საშინელებაა...

ჯამლეთი (ადგება, ბაბირაზს გაბრაზებს და ბოლთას სცემს... უეცრათ უბიდან იღებს შუა ზომის წიგნს და გადასცემს ერმისას) აი, ესეც „გაბზარული გული", თამრომ გამოგიგზავნა...

ერმისა (ფურცლავს) აი ყოჩაღ, თამრიკო. ვმადლობ. იმათსა იყავი?

ჯამლეთი ჰო, ცოტა ხნით საქმე მქონდა... რაც ქალაქიდან მოვიდა, განა თქვენსა არ შემოუვლია?

ერმისა ჯერ არა, მაგრამ იმედია, არ დაგვივიწყებს... ალბათ შვებულებაშია... ის ვგონებ რომელიღაც სამინისტროში მსახურობს...

ჯამლეთი უმსახურნია მხოლოდ ათი დღე...

ერმისა ასე ცოტა... მიზეზი?

ჯამლეთი წარმოიდგინე, ქართული ენა...

ერმისა როგორ?..

ჯამლეთი მეტად ახირებულ ამბავს გეტყვი... თამროს, რა თქმა უნდა, იქ თვისი ლამაზი ქართულიც შეუტანია... ეს თურმე ვერ მოინელეს ჩვენმა მოპარუსკე ბარიშნებმა და მეათე დღეს აჯანყებულან... „სული წაიღო ამდენი ქართულით, გვიშველეთ, ვინ ხართ ქრისტიანნო“ (იტინის).

ერმისა ვაი ჩვენი ბრალი... ნუ თუ, ჯამლეთ, ჩვენი ცხოვრება მუდამ ასე იქნება გაოხრებული?

ჯამლეთი სრულიადაც არა, ეს მარცხი ინტელიგენციისა... ერის ბურჯი დემოკრატიაა... იქ ამაშიც ყველაფერი თავის რიგზეა... არაფერია... პოლიტიკური თავისუფლება სულ ამოკაფავს ღვარძლიან ბალახს...

ერმისა შენს პირს შაქარი. მართლა რა მოვიაზრე, ჯამლეთ, მოდი თამრიკო გაურიგე ამ ჩვენს რაიონის კომისარს.

ჯამლეთი ბიჭოს! ეს კარგი რამე მომაგონე... ფერი-ფერსა—მადლი ღმერთსაო—ეს იქნება სწორეთ... აბა ნახავ, თუ ამ ბოლო დროს მაჭანკლობა არ დავიწყო...

ერმისა ვფიქრობ, უარს არ ეტყვის.

ჯამლეთი არა მგონია... აბა რისთვის... კოტე მეხაძე ძალიან კარგი ყმაწვილია... კაცი იურისტი, თვალტანადობით მიმზიდველი, ნიჭიერი, პატიოსანი.

ერმისა მიკვირს—სად ის და სად კომისარი.

ჯამლეთი დემოკრატიულ ქვეყანაში ყველანაირი თანამდებობა საპატიოა... ყოველ შემთხვევაში ის იქ დროებითაა... როცა ჩვენი მილიციის დეზინფექციას მოათავებს—მაშინ მსაჯულის ადგილზედ გადაიყვანენ, ან იქნებ როგორც ნიჭიერი ადმინისტრატორი ინსპექტორადაც დანიშნონ. სხვა თქვენსა რა ამბებია?

ერმისა არაფერი ისეთი... რატომ მამაც არ წამოიყვანე.

ჯამლეთი მამა დღეს დილით სირეთში წავიდა.

ერმისა რომ იქიდან მეწველი ფური და ხბო მომიყვანოს?

ჯამლეთი (გაოცებული) ბიჭოს! მერე შენ საიდან იცი?..

ერმისა ამას წინათ წყაროსთან შეხვედრისას მითხრა...

ჯამლეთი ჰო. გამიჭირა საქმე. ამ დღეებში სულ მაგაზე მელაპარაკებოდა... მეწველე ფური და ხბო... ხბო და მეწველე ფური...

არეთა (აივანზე გამოდის) აბ... მოსულა ჩვენი დაუდეგარი... (გასძახებს შიგნით) დედა, დედა... სიძე ბატონი უკვე მოსულა...

ირინე (აივანზე გამოდის) ოხ, შენ კი გენაცვალე ულვაშებში, რომ მოხვალ და აქაურობას აახმაურებ (ჩამოდის ძირს და გადაკოცნის).

არეთა (ჩამოდის ძირს) ეი, შენ... სიძევ... დედაში ნუ გვეცილები, თორემ...

ჯამლეთი როგორ, არეთა?

არეთა ისე... მაგას მგონი ჩვენზე უფრო შენ უყვარხარ...

ირინე ვინ მოგახსენა...

არეთა რა ვიცი... გემრიელ სადილს მხოლოდ მაშინ აკეთებ, როცა მაგის მოლოდინი გაქვს...

ირინე ხმა ჩაიწყვიტე... თქვენც მიყვარხართ და ესეც ვენაცვალე სულში, ეს ხომ ჩვენი ოჯახის მფარველი ანგელოზია...

ჯამლეთი უთუოდ, შენი ჭირიმე, უთუოდ...

ერმისა ჯამლეთ... დედა დღეს ძალიან გახარებულია, მოულოცე...

ჯამლეთი რა მოულოცო?

ირინე იცი, ჯამლეთ, ირაკლისაგან წერილი მივიღეთ...

ჯამლეთი მართლა? მერე და, ერმისა, რატომ წინათ არ მითხარი.

ერმისა მართლა, იმ ლაპარაკში სულ დამავიწყდა...

ჯამლეთი (ირინეს) რას იწერება?

ირინე უკვე დაუსრულებია სამხედრო სკოლა...

არეთა და ისიც ეროვნული... პირველი ხარისხით...

ირინე მოიცა, ნუ მიშლი (ერმისასა) რა მიუციათო, შვილო?

ერმისა ლეიტენანტობა.

ირინე ჰო, „ლეიტენანტობა" და სანაპირო ჯარშიც გაუმწესებიათ...

ჯამლეთი (ხელს უჭერს) მომილოცნია, მომილოცნია. მოგესწრათ შვილი—მოქალაქე და რესპუბლიკის თავდადებული მუშაკი...

ირინე ეს სულ შენი წყალობაა, შენ შემოგევლე... თუ ვიცოცხლე, არც მე დაგრჩები ვალში...

ჯამლეთი არა, ბატონო, ეს პირადათ მისი ღირსების საქმეა და არა ჩემი.

არეთა გაგონილა ასეთი ბედი! კაცი, რომელიც ყველას უყვარს... ყველა პატივს სცემს, ამის მეტი არ მინახავს ჩემს სიცოცხლეში... საითაც მივიხედე, ყველა მაგის ქებაშია (ჯამლეთზე სთქვა).

ირინე ეს გასაქრობი ესა... კარგია, ნუ ატლიკინებ მაგ ენას...

არეთა ტლიკინისა რა მოგახსენოთ და ჯამლეთის აწმყო ძალიან მაფიქრებს...

ერმისა რატომ?

ჯამლეთი ალბათ იმიტომ, რომ მდგომარეობა, რომელშიც ეხლა მე ვიმყოფები, უდრის ქარიშხლის წინ ზღვის დაწყნარებას... ხომ ეს უნდა გეთქვა, არეთა?

არეთა არა. ამ ბოლო დროს ძალზე გბერავენ და მეშინიან ტვინში სიცხემ არ აიწიოს (უკვლანი იცინიან).

ჯამლეთი ყოჩაღ, ჩვენო ცქრიალა, ყოჩაღ... (უეცრივ აიდებს ბარკს და მიაწოდებს ირინეს) მიირთვით ჩემგან ეს მცირე ძღვენი...

ირინე (ბარკს სინჯავს) რალაც მძიმეა, რა მოგვიტანე?

ჯამლეთი ბევრი არაფერი... ჩემი წილი შაქარი, საპონი, ძაფი და ოთხიოდე არშინი ჩითი.

არეთა ჩითი ალბათ მე მომიტანა, ჩემი სიძიკო...

ირინე შენ ბოლოკის კუდი და მეტი არაფერი, (ჯამლეთს) ეს ხომ ამაშენე ქალი...

ჯამლეთი არაფერია... არაფერი.

ირინე რაცა ბრძანებ... ეხლანდელ დროში ეს მართლაც იშვიათი საჩუქარია... (არეთას აძლევს) ჯამლეთს რომ სურდეს, ყველაფერი თავსაყრელად ექნებოდა...

ჯამლეთი გვასწავლეთ, რა გზით შეიძლება ამის მიხწევა.

ირინე მიმოიარე სხვა თემები და ნახე, რა მეფურად სცხოვრობენ იქ შენი ამხანაგები.

ჯამლეთი (ერმისს) ა, პა—პა, პა—პა! აი ეხლა-კი დამაქცია კაცი... ეხლა-კი გამომჭრა ყელი (უკვლანი იცინიან).

ერმისა დედა, დედა, აბა რას ამბობ.

ჯამლეთი არა, ბატონო, ეს არაა ჩემი ხელობა.

ირინე განა რა ვსთქვი ისეთი, რომ ყველანი შემომეცინიეთ...

ჯამლეთი ისა სთქვი, ბატონო, რომ ჩვენში რიგიანობა მეტი ბარგია და ურიგო ხალხის ურიგო ქცევამ, ლამის გადახრას ტურფა ქვეყანა, ახ ღმერთო ჩემო, რამდენი შრომა და რაოდენ დაბრკოლების გადალახვაა საჭირო ჩვენი ცხოვრების მოსაგვარებლათ.

ერმისა მიუხედავათ ამისა, საბოლოო გამარჯვება მაინც ჩვენია.

ჯამლეთი უთუოდ, ჩემო კარგო, უთუოდ. დემოკრატია ამას შესძლებს.

არეთა (ირინეს) მოგხვდა?! ასე გინდა შენ... ისე გაგხადა როგორც საპონი... არა მგონია ამის შემდეგ შენ მაგას ნაირ-ნაირი საცივები ჩაუბუზბუზო...

ჯამლეთი არეთა... პროვოკაციას ნუ ეწევი... ყოველივე რაცა ვსთქვი ძვირფას ირინეს არ ეხებოდა...

ირინე რა თქმა უნდა... მე რა შუაში ვარ... (არეთას) შენ ამ ბოლო დროს, ქალბატონო, ძალიან გამითამამდი... წყნარათ თორემ, ხომ იცი, ჯერ კიდევ შეიძლება შენი წათაქება.

არეთა მოდი ეხლა და ამისი გაიგე რამე... (ერმისას) ამისათვის დიდი ვარ, ამისათვის პატარა... აი გიდი დაბალო ღობევ.

ჯამლეთი მდგომარეობა მართლაც ჭანდრაკულია...

ირინე (არეთას) გეყო რატრატი. წაიღე სახლში (არეთას მიაქვს ბარგიცა და უთოც და ისევ კამოდის. ამ დროს ღობის კაკადმა ვიღაცამ დაახვედა. ერმისა გადაიხედავს).

ერმისა იასე ბროგიშვილი მოდის.

ირინე ფუი, ეშმაკს... ნეტა ამ დროს რას მოეხირება... მამა უცხონდა, რაც მე იმას სადილი არ ვაკამო...

ჯამლეთი ალბათ ჩემთან მოდის... წელან დავიბარე გამგეობაში...

იასე (ღობის კაკადმა) ეი, მასპინძელო! (ახალგაზრდები კინმარტოებით დაბარაკობენ).

ირინ მობრძანდი, იასე, შინა ვართ... (იასე შემოდის და ირინეს მოწიწებით ორივე ხელს ართმევს).

იასე (ირინეს) ირინე ჩემს ძმური სალამი... როგორ მყავს თქვენი თავი?.. (ახალგაზრდებს თავს უკრავს) თქვენც გაგიმარჯოთ, ახალგაზრდებო. (ისინი თავის დაკვრით უპასუხებენ).

ირინე დაბრძანდით.

იასე (ჯდება) უნდა გითხრა, დაია ირინე, რომ ჩვენში მხოლოდ ერმისა გამოდგა ყისმათიანი (არეთა მოახედებს ჯამლეთს და ერმისას და ანიშნებს, რომ იმათზე დაბარაკობენ).

ირინე კარგია ერთი... თვალი არა ჰკრა... ფუი ეშმაკსა... ფუი ეშმაკსა!.. (ახალგაზრდები იცინიან).

იასე არ ვიცოდი, თურმე კუდიანიც ვყოფილვარ... ხა, ხა, ხა, ხა, სხვა, ერმისა, როგორ გუნებაზე ხარ? ამაყოფ განა მეტოქეებზე უმაგალითო გამარჯვებით! მიუხედავათ იმისა, რომ მთელ ჩვენს ბარიშნობას (ჯამლეთზე უჩვენებს) ამისკენ ეჭირა თვალი, შენ ყველანი ძირს დაანარცხე და ალმასივით ბიჭი ხელიდან გამოსტაცე... მალადეც მე და ჩემმა ღმერთმა, მალადეც... ასე უნდა მაშ... ეს ცხოვრება ჭიდილია, ვინც მოერევა ქვეყანაც იმისია.

ირინე სხვა, როგორ გიკითხო.

იასე (ხელს ჩაქნევს) ეხ, ღირს კი მაგაზე ლაპარაკი...

ირინე როგორ?

იასე ისე... განა არ იცი, რა გუნებაზე იქნება იმ ცოლ-შვილის დამკარგავი... მართლა, როდის უნდა შევაგდოთ ქუდები ჭერში?

ირინე რა ვიცი... გადაიდო...

იასე რატომ?

ირინე აი, ჩვენი კოსტას დაკარგვის გამო.

იასე ჰო, მართლა. სულ არ მომგონებია... საწყალი ბიჭი, ძალიან მენანება... სოფელში დღეს ამის თაობაზე რაღაც ფაცი-ფუცი და მითქმა-მოთქმაა (ამ დაბარაკს ახალგაზრდები ყურს არ უგდებენ).

ირინე რაო? რას ამბობენ?

იასე ამბობენ, თითქოს კვალს მიაგნესო... ბევრი უთვალთვალე, მარა ვერც თავი გაუგე და ვერც ბოლო. (უეცრივ) ხა, ხა, ხა, ხა. მეც რას ვჩმახავ (ჯამლეთისკენ) „ქმარი ლაშქარს იყო და ცოლი ამბავს ახვედრებდაო, „ნათქვამია". თუ რამეა ახალი ამ ჩვენ თემის თავს უკეთ არ ეცოდინება: (ადგება) აბა, ჯამლეთ, მიბრძანე, რისთვის დამიბარე.

ირინე (შვილებს) აბა, წავიდეთ. ჩვენ ეხლა აქ მეტნი ვართ (ქალები შედიან სახლში).

ჯამლეთი მე დაგიბარე გამგეობაში და არა აქა.

იასე თუ ჩემი აქ მოსვლა გეწყინა, წავალ.

ჯამლეთი რაღა დროსია... დარჩი. ბარემ მოვილაპარაკოთ.

იასე აბა, აბა!

ჯამლეთი მე ის მინდა გითხრა, რომ მიუხედავათ ჩემი სასტიკი გაფრთხილებისა შენ მაინც არ ისვენებ და აშკარად სცილდები იმ ფარგალს, რომელშიაც მე ოდესღაც ჩაგაყენე.

იასე შენ ალბათ იმაზე ამბობ, ჩემზე რომ რაღაც ჭორი გაუვრცელებიათ.

ჯამლეთი რა ჭორი?

იასე თითქოს მე რესპუბლიკის მტერი ვიყო და რუსის მთავრობის კვლავ ჩვენზე გაბატონების მომხრე...

ჯამლეთი (გაეცინება) არა, ეს მე არ გამიგონია, მაგრამ მართალი კი იქნება.

იასე ვითომ რატომ?

ჯამლეთი მიტომ, რომ ეს შენი მუდმივი ფიქრი და ზრუნვაა.

იასე ჰმ, მოდი ეხლა და ასეთ კაცს ელაპარაკე.

ჯამლეთი ნუ ირჯები, ნუ ირჯები... შენ ხომ იცი, მე ის კაცი ვარ, რომელმაც ბოროტი ხალხის გულის წიგნის წაკითხვა იცის. თუ იმ დიადი ამბების შემდეგ, კიდევ გიღვივის იმედი გულში, სჩანს დაბერებულხარ და ჭკვიან კაცს ჭკუა შეგთხელებია. ეს კმარა, საქმეს შეუდგეთ.

იასე ასე ემჯობინება, თორემ მეც საქმეზე მიმეჩქარება.

ჯამლეთი იმ ობოლი ქალის ბებერ ჩარჩზე მითხოვებას მართლა შენ აჭახრაკებდი?..

იასე (ვითომ და აღშფოთებული) ეხლა კი გადვირევი სწორეთ.

ჯამლეთი კარგი, კარგი, ყველაფერი ვიცი, ამის უტყუარი საბუთებიც ხელში მიჭირავს...

იასე რა თქმა უნდა, როცა საქმე მე შემეხება, მაშინ შენთვის ყველაფერი უტყუარია...

ჯამლეთი კიდევ კარგი, რომ როგორც ყოველთვის, ეხლაც ჩაგიშალე მზაკვრული განზრახვა... მაგრამ ეს რომ ასე არ მომხდარიყო, მაშინ ხომ უნდა ჩაგეჩხრიალებია უმანკო ბავშვის ხარჯზე ათასები?!. ა—შე პირშავო, შე ჯამბაზო შენა! როგორ მინდა, გათახსირებულო, მოგიქნიო და იმ დიდ ხეს მიგანარცხო, მაგრამ აგერ შენი ბიჭები წინ აგეფარნენ და ულირს მამას თვისი კალთები გადაგაფარეს.

იასე რაღას აგვიანებ... დღეს მეფე ხარ ჩვენი და რაც გინდა იმას გვიზამ. მიკვირს რათ არ სარგებლობ შენის უფლებით...

ჯამლეთი უკანასკნელად გაფრთხილებ დაეტიო შენს ტყავში, თორემ ჩამოგხსნი ნიღაბს და წაგაყენებ ხალხის წინაშე მთელი შენის ავლა-დიდებით... ამასთან მოგაგონებ, რომ თუ დღეს სული გიდგია, უმადლიდე შენი შვილების წმინდა ხსოვნას. ეხლა წადი და ჩემი ნათქვამი არ დაივიწყო... ხომ იცი, ხუმრობა არ მიყვარს.

იასე კარგი ბატონო... ყველა ამის შემდეგ რა, თქმა უნდა, მე გავშორდები ამ გაუტანელ წუთი-სოფელს... სხვა გზა არაა, ძლიერი კაცი რომ პატარას ჩაემტერება, იმას სიკვდილის მეტი ვერა იხსნის-რა. მხოლოდ გეტყვი, ჯამლეთ, რომ ვაი თუ უჩემობა მალე ინანო და საფრთხე იქიდან მოგევლინოს, საიდანაც არ მოელოდე. ჭორებზე თუ მიდგება საქმე, ჩვენი მელაკუდები სოფლის ორღობეებში დღეს შენზეაც ბევრს რამეს ლაქლაქებენ, მარა ამით რა! მშვიდობით...

ბედის წერას აუტანიხარ და ღმერთი იყოს შენი მფარველი... (გადადის ჯიშკარში და მიეფარება. ჯამლეთი თვალს გაუყოლებს).

ერმისა (შემოდის) ოჰო, ის კიდეც წასულა. (ძირს ჩამოდის) რაღაც ცხარე კამათი გქონდათ.

ჯამლეთი ჰო...

ერმისა რაზედ? არ შეიძლება გამიზიარო.

ჯამლეთი ისე, საქმე იყო...

ერმისა მაინც?

ჯამლეთი ეხლა ნუ, ჭირიმე, თავის დროზე ყველაფერს გეტყვი.

ერმისა კეთილი.

ირინე (ივნიდან) აბა, შვილებო, მოდით სადილი მზათაა...

ერმისა მოვდივართ (ჯამლეთს კბილს უჩვენებს. ამ დროს შორიდან მოისმის ნაზი მუსიკა).

ყველანი სუს... (სმენით გადაიქცევიან).

ჯამლეთი ვაშა თამრიკოს! იასეს შემდეგ ეს მუსიკა სულზე მისწრებაა...

ირინე (შიგნით გასძახებს) არეთა, არეთა! კარში გამო (არეთა გამოდის ივნიზე) გესმის?..

არეთა ახ... (წუთით ყველანი ისმენენ... შემდეგ მოისმის შორიდან ერუ ხმაურობა, რომელიც იმ წუთშივე შეწყდება... ამავე დროს მოადგება დობეს მოხუცი ქერაბინა მინდაძე).

ქალები ქერაბინა. (ჯამლეთი ფირცხლავ იქით მიიხედავს).

ქერაბინა ჯამლეთ ინგერაძე!

ჯამლეთი ბატონო.

ქერაბინა სად არის ჩემი შვილი?

ჯამლეთი მემდური განა, რომ პოვნა მისი დაგიგვიანე? მგონი შენც ნახე, როგორ ერთგულათ დაგიტრიალდი, არ დარჩენილა ამ მიდამოში ერთი კუნჭული, საცა მე არ შემეხედოს, მაგრამ რა ვქნა თუ ჯერ ჯერობით მაინც ვერას გავხდი.

ქერაბინა ხმა ჩაიკმინდე, მატყუარა, პირმოთნე, ქლესავ...

ირინე უი დამიდგეს თვალები...

ერმისა
არეთა } დედა, დედა... რას ამბობს ეს კაცი!?.

ჯამლეთი გონს მოდი, ქერაბინა... ვინ შენ და ვინ მეგობრის ასეთი ლანძღვა. ვფიცავ დედიჩემის მზეს, რომ ამ თავხედობას სხვას არავის ვაპატიებ-

დი. მაგრამ რა გიყო შენ, ვისთვისაც, როგორცა სჩანს, დიდ მწუხარებას წაურთმევია ყოველივე ის, რაც მაგ ჭაღარას ასე ამკობდა. დინჯათ, მოხუცო... მოთმინებიდან ნუ გამომიყვან... გარკვევითა სთქვი, რას ითხოვ ჩემგან.

ქერაბინა იუდა! ეხლა მაინც ნუ აფუჩეჩებ... ყველამ გაიგო, რა კაციც ყოფილხარ... იქ შენს საბძელში, ყელში თოკით ვინ დაგიმარხავს?..

ყველანი ახ!

ქერაბინა იყავ წყეული, კაცის მკვლელო... იყავ წყეული! (გარბის და მუსიკაც შესწყდება).

ქალები ვაიმე, ვაიმე, ვაიმე!

ჯამლეთი (შუბლში შემოიკრავს ხელს) ღმერთო, მომკალი... ღმერთო, მომკალი... არიქა ჩქარა ჩემი ყაბალახი... (მიეგარდება მოჯირს, გადიგდებს ყაბალახს მხარზე და მოტრიალდება).

ერმისა (გზას გადაუღობავს) ჯამლეთ, საით! მეშინიან... ვერსად გაგიშვებ...

ჯამლეთი რომ მომკლა, მაგ თხოვნას მაინც ვერ აგისრულებ... (ისმის ზარების რეკვა).

ერმისა დედა... არეთა... უთხარით... სთხოვეთ... დაიღუპება...

ჯამლეთი არ შეიძლება. იქ ნაღმი ჩაუწყვიათ, რომ არ წავიდე ამაფეთქებენ... აშკარაა აქ საქმე გვაქვს ჯოჯოხეთურ შეთქმულებასთან... ყოჩაღათ, სიცოცხლეე... ყოჩაღათ, მზეო... ნუ გეშინიან... გამარჯვებული მოვალ... ჩემი ფარხმალი—ჩემი სიმართლეა... გზას გამინათებს სიყვარული ჩემი საუნჯის... დედა ირინე, ერმისა, არეთ! იმედიანათ... იმედიანათ... (გარბის. ქალები გასდევენ დობის გადადმა და შესდგებიან. ისმის შორეული ხმაურობა და ზარების რეკვა).

ჯამლეთი (შორიდან) იმედიანათ... იმედიანათ... (მიეფარება).

ირინე მეორედ მოსვლაა... მეორედ მოსვლა... ღმერთო, შენ იყავი ჩვენი მფარველი...

ერმისა უზენაესო... გევედრები—მაჩუქო მე მისი სიცოცხლე...

არეთა და შინ მშვიდობით დაგვიბრუნე საყვარელი ჩვენი რაინდი... (ისმის ძლიერი ხმაურობა და ორი გასროლა).

ქალები ახ...

ხმები (კულისებში) რა ამბავია? რა ამბავია?

საპასუხო ხმები (კულისებში) მოჰკლეს—მოჰკლეს...

ხმები (კულისებში) ვინ მოჰკლეს? ვინ მოჰკლეს?

საპასუხო ხმები (კულისებში) ჯამლეთი მოჰკლეს... ჯამლეთი მოჰკლეს... (ქალები სასწარლად შეჭეიგლებენ და კარბიან სიდანაც ხმაურობა ისმის. ამ დროს მოსჩანს ცეცხლის ალი და კვამლი შორიდან).

ფ ა რ დ ა

მოქმედება მესამე

(სცენა წარმოადგენს იმ გაშლილ ადგილს, სადაც ჯამლეთი მოჰკლეს. მიდამო ორივ მხრით მაღალი ხეებითაა კარშემორტყმული. პირდაპირ მოსჩანს კლდოვანი მთა, რომლის ძირში მოქუხს პატარა მდინარე და მიიკლაკნება გზა ტყეტილი... ფარდის ახდისას სცენაზე შემდეგი სურათია: პირდაპირ ტოტა მარჯვნივ ამაღლებულზე ასვენია ჯამლეთი. ზემოდან ნაბადი ხურავს და პირზე მისი თეთრი უბალახი აქვს გადაფარებული. მიცვალებულს უარაულობს თოფიანი კოწია. მარცხნივ მხარეს კულისებში დრო გამოშვებით ისმის ხალხის ურუ გუგუნი. შემოდიან სამი კლეხი და იასე).

ოთხივე (მიცვალებულის დანახვაზე) ვაი ამ დღეს, ვაი ამ დღეს!..

I გლეხი ღმერთო, ეს რა მეხი დაგვატეხე თავს...

II გლეხი ბიჭო ჯამლეთ, ეს რა დღე გაგვითენე...

იასე რა დამაჯერებდა, რომ ეს ასე შეირცხვენდა თავს. აფსუს! ჩვენო წინამძღოლო, აფსუს...

I გლეხი ხედავ, რა ძნელი ყოფილა ადამიანის გამოცნობა?

III გლეხი დავიჯერო—ეს უბედური მართლა ურევია ამ საქმეში?

იასე მოდი და ნუ დაიჯერებ... ეხ, ძველი დრო გვერჩივნა, ძმაო, ძველი დრო. ჩაუვარდით ამ ქალაქის მუშებს ხელში და როგორც ნებავთ ისე გვათამაშებენ... მომავალს ჩვენა ვქმნითო", მითხრა ამას წინათ ერთმა იმათგანმა... სოფელი მეთქი? ამაზედ წასკდა სიცილი და მუცელზე კანი არ შერჩენია. „აგვიშენდებოდა ოჯახი, ქვეყნის ბედი რომ თქვენს ხელში ყოფილიყოო"... მაშ ჩვენ ვინა ვართ, შენი აზრით მეთქი... „ეშმაკმა იცის თქვენი თავი, რა ვიცით ვინა ხართო...

არც თავადი, არც ბურჯუა, არც პროლიტარი. არავის არ ენდობით—სავსებით არც ჩვენი ხართ არც სხვისი და გარდა გაძღომისა არა გაინტერესებთ-რაო“... არა, ჩვენ თუ არ გიკამანდრეთ, კლდეში გადაიჩეხებითო. ჩვენი არა სწამთ-რა და წაღებით კი ყველაფერი ჩვენგან მიაქვთ... „გიკამანდრებთო“ და აი მაგათი კამანდრობაც ხომ ნახეთ. ვაი თუ ერთი პირი გვექნებოდა!..

III გლეხი ფუ როგორ წახდა ხალხი...

II გლეხი ჩვენ დროში მართლაც არ ეცხოვრება კაცს... უმჯობესია მოვიხუროთ მგლის ტყავი და ტყეში გავიქცეთ.

იასე ჭეშმარიტად... ჭეშმარიტად... დაბალ ღობედ ვართ მიჩნეული... ყველა ჩვენ გვატყუებს და გვცარცვავს... სიტყვით რას არ გვპირდებიან—საქმით კი ამასავით შანტაჟისტობენ. საქორწილო ფული სჭირდებოდა, ნახა შემთხვევა და ასწაპნა. მაგრამ დიდია ღვთის განგება, იგი ყველაფერს ხედავს და არავის არაფერს შეარჩენს...

II გლეხი ხალხი რას ამბობს?

იასე რა უნდა სთქვას... (მიუთითებს მარცხნივ) აი, მიდი ნახე, თავზარდაცემულნი როგორ ენარცხებიან ერთმანეთს...

I გლეხი (კოწიას) კოწია, ვინ უნდა მოვიდესო?

კოწია რაიონის კომისარი.

III გლეხი ვიცი ეხლა ამ საქმეზე მთელი ქვეყანა შეინძრევა...

იასე შეინძრეს, არ შეინძრეს—ეხლა გვიანღაა...

I გლეხი ამბობენ მთელი მაზრა დაძრულა და ქალიან კაციანათ ყველანი აქეთკენ მოეშურებიანო.

II გლეხი ვაი ჩვენი ცოდვის ბრალი...

I გლეხი მიქელა ჯერ კიდევ არა სჩანს?

იასე სირეთში ყოფილა, ფარნამ წელან კაცი აფრინა... საწყალი ბერი კაცი, როგორ მებრალება... იცით, სახლი არ უნდა დაეწვათ უნამუსოებს... ეს მეტის მეტი თავხედობაა... მე და ჩემმა ღმერთმა (შემოდის ფარნა და კოწიას ეტყვის რადაცას).

I გლეხი ვერ გაიგეთ, ვინ ესროლა?

ფარნა (მოიხედავს) ესტატე მინდაძემ... ხომ იცი რა ფეთიანია... (გლეხები გადიან მარცხნივ).

იასე (ფარნას) სხვა, როგორ გუნებაზე ხარ, მომავალო თემის თავო? სახე თითქოს მოგღრეცია... რა მიზეზია? ხომ არ გინდა გითაქო... გაიხედე, იქ ცის კიდურზე შენი მზე უკვე ამოდის. (მიტვალებულისკენ

მიიხედავს) მეტი ჩარა! ეხლა ხომ ნახე რა შესძლებია „ფრთა მოტეხილ ყორანს“... (ხითხითებს).

ფარნა ქალის რა გაიგე?

იასე თითქოს გონება შერყევია, მაგრამ არაფერია. როგორც წესია, ცოტა ხანს გიჟობანას წაითამაშებს—მერე, როცა ყველაფერე თავის კალაპოტში ჩადგება, მიიხმე და დაგაქორწილებ... ჩვენები ყველანი აქ არიან თუ იცი?

ფარნა ყველანი—გარდა ზოსიაშვილისა.

იასე იქნება ხალხშია არეული.

ფარნა არა, არსად არა სჩანს.

იასე მერე რა! დიდი ამბავი მომხდარა.

ფარნა ნუ მასხრობ, მაგის დრო არ არის. იმის საქციელი მე ძლიერ მაფიქრებს...

იასე როგორ?.. შენ გგონია ის ჩვენ გაგვცემს? არა... დაგარწმუნებ, ჩემს მოწაფეებში ყველაზე სანდოთ ის მიმაჩნია... ცოტა გულ ჩათხრობილი ბიჭია და მიტომ გეჩვენება ასე. (ისმის ხმაურობა ხალხის მხრიდან).

ფარნა ეჰე... ამ საქმეზე ახლა იქ დიდი კამათი და აურ-ზაურია.

იასე რა გენაღვლება... ერთმანეთიც დაუჭამიათ... გამიგონე, რა გითხრა...

ფარნა აბა...

იასე ქალაქიდან ისინი მოსულან ყორნაძის მეთაურობით.

ფარნა რომელი ყორნაძის?

იასე აი, ცნობილი რაზმელი... 905-ში რომ თარეშობდა და კანაფის ძაფზე აცმულ ადამიანთა გამხმარ ყურებს ჯიბით დაათრევდა... (ჯამლეთზე მიუთითებს) მაშინ ამათთან იყო, ეხლა კი იმათთან.

ფარნა მერე?

იასე დახმარებას ითხოვენ... რაკი ეს მოვიშორეთ... (ჯამლეთზე) და იმედია თემსაც შენ ჩაუდგები სათავეში, რა დაგვიშლის ფარულათ ხელი შეუწყოთ, მით უმეტეს ფულებს ჩეჩქივით არიგებენ...

ფარნა რაში უნდა დავეხმაროთ?

იასე ყველაფერში... ფარნა! ბედი კარს მოგვდგომია და აბა შენ იცი როგორ შასახელებ... ეს ის ხალხია, რომელიც, რა თქმა უნდა, დიდხანს ვერსად ვერ იბოგინებს... მაგრამ ძველ რუსეთს კი ჩქარა დაგვიბრუნებენ... მაშინ კი სამკალი ბლომათ გვექნება... ვინ იცის, მაშინ რამდენ ამისთანას (ჯამლეთზე) ჩამოვაპროწიალებთ თოკზე.

ფარნა ვინ არიან?

იასე სულ ქართველები, მაგრამ ისე სძულთ საქართველო, როგორც ურიას ღორის ხორცი. დიდი შტერი და აბრაგი ხალხია, მაგრამ ჩვენ რა, მგლებსაც დაუჭამია ყველანი...

ფარნა კარგი... მაგაზე შემდეგ... წელან ხომ ნახე, თავადებმა როგორ იტირეს...

იასე დაგვაცადონ... ჩვენ მაგათ თავის დროზე სულ სულ სხვა ხმაზე ავატირებთ... (ისმის ჩოჩქოლი მარჯვენა მხრიდან, ისე გაიხედავს) ეჰე—შეინძრა ხალხი... ალბათ მობრძანდება მაგათი „პრისტავი", ყველაფერი ისეა, როგორც ძველად. პრისტავი და კომისარი—რა განსხვავებაა. თავის ჭკუაში ვითომ ცხოვრებას სხვა იერი მისცეს... (ხითხიოებს) თუმცა სიმართლე უნდა ითქვას, მოქალაქე მეხაძე მართლაც, რომ მეხი ვაჟკაცია. (შემოდის სოფლის მილიციელი თედო).

ფარნა რა ამბავია, თედო?

თედო კომისარი ერთი როტა მილიციელთა რაზმით...

იასე (ფარნას) რა მოგდის, თითქოს გაფითრდი.—ახ, ღმერთო ჩემო, რა უშნო კაცს გადავეკიდე, გასწი შეეგებე. (ფარნა გადის).

თედო (ხალხს გასძახის) ხალხნო! მანდ რას უდგეხართ. აქ მოდით ჩქარა... (ხალხი ზღრიალით შემოდის) ამხანაგებო! ნუ ხმაურობთ, დაირაზმეთ. (ხელით აჩვენებს და ისინიც ჩამწკვრივდებიან სულ განაბული. ისმის კულისებში კომისარის მკვეთრი ბრძანება) „გარს შემოერტყით და ვინც გაიქცეს, ტყვია გულში"... (შემოდიან შეიარაღებულნი მილიციელი და ხალხს გარშემო ერტყმიან).

კომისარი (შემოდის და რა დაინახავს მიცვალებულს, შუბლში ხელს შემოიკრავს) ახ, ღმერთო ჩემო, ამას რას ხედავს ჩემი თვალები... ეს იყო, ბიჭო, შენი ქორწილი! (გულ ამოსკვნით) ჩვენო სიამაყევ, ვინ წყეულმა შეანგრია შენი სპეტაკი შუბლი და კეთილშობილი გული. ჯამლეთ! ჩვენო უბადლო რაინდო, ჯამლეთ! (კომისრის სიტყვებზე ხალხშიაც გაისმის ქვითინი, ხალხს) ხალხნო, ეს რა საშინელება დატრიალებულა აქ. იცით თქვენ ვინ იყო ეს ადამიანი? ჩვენმა მოწინავე დემოკრატიამ დამხმარე ძალათ ახალ ცხოვრების მოწყობაში შემოგთავაზათ თვისი ბაღიდან უმშვენიერესი თაიგული. კაცი, რომელმაც მთელი თავისი ნორჩი და ფრიად ლამაზი სიცოცხლე საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლაში გაატარა, მაგრამ თქვენში კი ის მოჰკლეს.

ეთი ხმა ამხანაგო კომისარო! საშინელია თქვენი ბრალდება. ხალხი აქ არა-

ფერ შუაშია... ის მოჰკლეს კოსტა მინდაძის ნათესავებმა... როცა ზარის ხმაზე ჩვენ მოვგროვდით, საყვარელი კაცი უკვე მკვდარი ეგდო სწორეთ იმ ალაგას, საცა ეხლა ასვენია... ჩვენ ამ საქმისა არა ვიცით რა... თავზარდაცემულნი ველით თქვენგან ამ საქმის გაშუქებას... თუ რამე იცით, გვითხარით ღვთის გულისთვის...

ხალხი გვითხარით, გვითხარით.

მეორე ხმა თუ იცით დამნაშავენი, ჩვენ მოგვეცით, რომ აქვე გამოვლადროთ ყელები...

ზოგი ხმა მოგვეცით, მოგვეცით.

კომისარი დიახ, მე ყველაფერი ვიცი... ეს შეიქმნა მსხვერპლი საზარელი შეთქმულობისა... ეხლა თქვენს წინაშე გადაიშლება მომხდარ ამბავთა საზარელი სურათი... მე მეშინია ამ გარემოებამ არ დასწყვიტოს თქვენი მოთმინების ძაფები, ვინაიდან ყოველივე, რასაც აქ გაიგონებთ, გამოიწვევს თქვენი სინიდისის უკიდურეს აღშფოთებას... მაგრამ გთხოვთ მოიკრიფოთ ძალ-ღონე და ბოლმა-ვარამი გულში ჩაიკლათ... მოიქეცით ისე, ვით შეეფერის შეგნებულ ხალხს... (ამ დროს მილიციელებს უკან შემოუერთდება რამდენიმე ათეული შეიარაღებული კაცი) თქვენ ვინა ხართ, ყმაწვილებო?

ერთი იმათგანი ჩვენ ახლო-მახლო თემების გვარდიელები ვართ. მოვედით, რომ გავიზიაროთ საერთო უბედურება...

კომისარი კეთილი. აბა, დინჯათ, წესიერება არ დაირღვეს, მე ვიწყებ: შემოიყვანეთ ის კაცი... (ორი მილიციელი შემოიყვანს ბირ ახვეულ ზოსიაშვილს) მოხადეთ ყაბალახი... (მოხდიან) აი მინდაძის ერთი მკვლელთაგანი, რომელიც დღეს გამომეცხადა და თუმცა გვიან, მაინც ყველაფერი აღიარა. (მილიციელებს) რკალი მაგრათ... არავინ გაბედოს გაქცევა... (ზოსიაშვილს) ზოსიაშვილო! როდის მოხდა მინდაძის მკვლელობა?

ზოსიაშვილი ხუთშაბათ საღამოს.

კომისარი რამ გაიძულათ უეჭველათ მოგეკლათ?

ზოსიაშვილი ერთი ჩვენთაგანის ცოლს ყვარობდა ფურმე და შური ვიძიეთ.

კომისარი ფულებიც ხომ წაართვით?

ზოსიაშვილი დიახ 120.00Მ.

კომისარი კარგი, მაგრამ იმას რაღას ერჩოდით, საპძელში რომ დაუმარხეთ მოკლული? (ჯამლეთზე).

ზოსიაშვილი თავდაპირველათ ეს ჩვენ ფიქრადაც არ მოგვსვლია, მაგრამ ჩაგვა-

გონა ერთმა წყეულმა: ის ჩვენი მტერია, მოჰკლავენ და ხალხზე ჩვენ გავბატონდებითო.

კომისარი შენ რანაირი მონაწილეობა მიიღე მკვლელობაში?

ზოსიაშვილი მე მხოლოდ საბძელში საფლავი გამათხრევინეს... კოსტას დახრჩობას თუმც დავესწარი, მაგრამ მონაწილეობა არ მიმიღია. ამხანაგებს ვყარაულობდი.

კომისარი დაასახელე განმეორებით მონაწილენი.

ზოსიაშვილი ბატონო კომისარო, რა საჭიროა... აკი იქ მოგახსენეთ.

კომისარი (მკაცრათ) სთქვი... მე მსურს ხალხმა შენი პირიდან გაიგოს ყველაფერი. დაიწყე.

ზოსიაშვილი სიკო ჩხირაძე.

კომისარი გამოდი! (გამოდის ხალხიდან ჩხირაძე და განცალკევებით დგება) მერე?

ზოსიაშვილი კოწია უმანიძე (კომისარი შეხედავს კოწიას თოფით მდგარს მიცვალებულთან).

კომისარი ახადეთ იარაღი! (ერთი მილიციელი იარაღს ახდის და ჩხირაძეს ამოუუნებს გვერდში. უმანიძეს), ვისი განკარგულებით ყარაულობდი მიცვალებულს?

კოწია ფარნა შავგულიძის...

კომისარი (დაჭკვესავს) წყეული და კრულვა! (ზოსიაშვილს) შემდეგი?

ზოსიაშვილი მე...

კომისარი შემდეგი?..

ზოსიაშვილი სათემო გამგეობის წევრი ფარნა შავგულიძე...

კომისარი გამოდი, გათახსირებულო... (ფარნა გამოდის, კომისარი ზოსიაშვილს) დაასახელე შეთქმულობის მოთავე...

ზოსიაშვილი იასე ბროგიშვილი... (გამოდის იასე).

კომისარი (იასეს) შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ათას სიკვდილსაც არ გაკმარებდი, კაცთა შორის უსაზიზღრესო.

ხალხი სიკვდილი მაგათ, სიკვდილი!

კომისარი სიჩუმე, ხალხო... (ხალხი დაწყნარდება) გადაჭრით ვაცხადებ, რომ ეს ავსულნი თქვენ კვლავ აღარ დაგიბრუნდებათ... მაგათი სუნთქვა შემზარავი ამ მიდამოს ველარ მოშხამავს... ალბათ დაჰყნოსეს ვერაგებმა აღსასრულის მოახლოება და, ერთი ვინმეს თქმისა არ იყოს—კარებიც მიტომ ისე მაგრად მიაჯახუნეს... (დამნაშავეებს) ჩვენი ცხოვრების ტარტაროზნო, ეხლა ხომ ნახეთ, რომ ის კაცი, (ჯამლეთზე) თვენ ვერ დაამარცხეთ ვერც ცოცხალი და ვერც მკვდარი... გამოეყოს მი-

ლიციას რამდენიმე კაცი... (გამოეყოფიან) გარს შემოერტყით! წაიყვანეთ ესენი გამგეობაში და ელოდეთ ჩემს განკარგულებას. ფხიზლათ იყავით. (გაჭეავთ. მოისმის შორიდგან ქალთა ერთიანი შეკივლება).

თედო (შემოდის სასწრაფოდ) ბატონო კომისარო. მიცვალებულის მამა და დანიშნული მოდიან თავიანთ ნაცნობ-ნათესავებით. წინ მოუძღვით სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე დიმიტრაძე და ახალი ინჟინერი, რომელთაც ირმეთიდგან თან მოჰყვა გვარდიელთა ორი ასეული მუზიკით. (ჩამოდგება).

კომისარი (ჯამლეთს) გაიღვიძე, ჩვენო არწივო, შენს მჩქეფარე ბუნებას არ შეჰფერის ეს მდუმარება, ხომ გაიგონე მოდიანო, „ყველანი მოდიანო". მაშ წამოხტი და შენებურათ დაგვიტრიალდი. ახ, ამის მომსწრეს ბევრათ მიჯობდა, ეს დღე რომ არც მე გამთენიბოდა. (ხალხს მკვეთრი ხმით) სახელოვანი მოქალაქის, მებრძოლის და მამულიშვილის დიდ მწუხარებაში მყოფნი მამა და დანიშნული მობრძანდებიან... გთხოვთ ქუდები მოიხადოთ ყველამ... (მილიციის და გვარდიის რიხიანათ) ამხანაგებო! სახალხო გვარდია და მილიცა, სმენა! (თითონ ხელს მიიდებს ქუდთან და ისე ჩერდება, მილიციელნი და გვარდიელნი ფიცხლავ გასწორდებიან რიგზე. ამ დროს ორკესტრი კუდისებში სამგლოვიარო მარშს დაუკრავს. მცირე პაუზის შემდეგ გამოჩნდებიან უზომო მწუხარებაში მყოფნი: წინ მიქელა, რომელსაც მიურდნობია თავს კაბაში გამოწყობილი ერმისა, იმათ მოჰყვებიან ირინე, ანეთა, ნესტორ კირსანიძე ტოლ-შვილით, დიმიტრაძე, ინჟინერი და იმათ უკან ირმეთელ გვარდიელთა თოფიანი რაზმი).

მიქელა (მიცვალებულის დანასვისას) ვაი ჩემს სიბერეს! ვაი ჩემს მოსწრებას! (იმავე დროს დიაცნი ერთს შეკივლებენ და მეისვე ჩამოშვება)

ფარდა

სარედაქციო კოლეგია:
ივ. ბოლქვაძე
ს. აბაშელი
ვარ. ბუბაძე
არ. რუბაძე
ობოლი მუშა

1919 წ. დეკემბრიდან გამოდის ყოველ-თვიური სამსატვრო-სალიტერატურო ჟურნალი

„ცისარტყელა“

გამოცემა რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან არსებულ კულტურა-განათლების კომისიისა.

ყოველგვარ პირობების გასაგებად მსურველებმა უნდა მიმართონ ამავე კომისიას,—თბილისი, ელისაბედის ქუჩა, № 200.